# ქართული კინოს

# სამეტყველო ენა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თეა ქამუშაძე, ციკო ინაური

# ქართული კინოს სამეტყველო ენა

## პრაქტიკული სავარჯიშოები ქართული ენის შემსწავლელთათვის

უნივერსიტეტის გამომცემლობა

კინოს, როგორც სასწავლო რესურსის, გამოყენება მსოფლიო პრაქტიკისთვის სიახლეს არ წარმოადგენს. ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში კინო უცხო ენის შესწავლისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია, მაგ., ცელულოიდის ენები. გერმანიაში, გოეთეს ინსტიტუტში, ფილმებით ენის შესწავლა (ყურება, მოსმენა, საუბარი) ძალიან პოპულარულია.

წიგნის მიზანია, რომ იმ უცხოელმა სტუდენტებმა, რომლებსაც სურთ ქართული ენის საფუძვლიანად ათვისება, მაქსიმალურად მარტივად, მცირე დროში და ეფექტურად შეისწავლონ ის. კინოკურსის საშუალებით სტუდენტები შეიძენენ არა მხოლოდ ენობრივ კომპეტენციებს, არამედ ეზიარებიან ხელოვნების უმნიშვნელოვანეს მიმართულებას, რომელიც მათ ინტელექტუალურ და ენობრივ შესაძლებლობებს გააფართოებს.

წიგნი ასევე განკუთვნილია კინემატოგრაფისტთა და მკითხველთა ფართო წრისთვის.


რედაქტორი: **პროფ. კახა გაბუნია**

რეცენზენტები: **ფილ. დოქ. მზია შენგელია**
**პროფ. მერაბ კოკოჩაშვილი**
**ფილოლოგი ანა თოდუა**

*გარეკანის დიზაინი: ნინო იოსელიანი*

*გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით.*



@ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016



ISBN 978-9941-13-501-9

# შინაარსი


| | |
|---|---|
| შესავალი | 7 |
| 1. ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი | 11 |
| 2. გაღმა ნაპირი | 18 |
| 3. ქუჩის დღეები | 25 |
| 4. სახლი სიხარულისა | 33 |
| 5. გრძელი ნათელი დღეები | 40 |
| 6. ქვევრი | 47 |
| 7. ოთარაანთ ქვრივი | 54 |
| 8. ვერის უბნის მელოდიები | 61 |
| 9. მაგდანას ლურჯა | 70 |
| 10. ნატვრის ხე | 78 |
| 11. მე, ბებია, ილიკო და ილარიონი | 86 |
| 12. გიორგობისთვე | 93 |
| 13. ფიროსმანი | 101 |
| 14. შერეკილები | 110 |
| 15. ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი | 118 |
| 16. კინოს დაბადების ისტორია | 127 |
| 17. ქართული კინოს დაბადება | 131 |
| 18. საბჭოთა კინო | 135 |
| 19. დოკუმენტური კინო | 137 |
| 20. მულტიპლიკაციის შექმნის ისტორია | 139 |
| 21. ჰოლივუდი | 142 |
| 22. კინოფესტივალები | 143 |
| გამოყენებული და დამოწმებული ლიტერატურა | 149 |

# შესავალი

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლებას გარკვეული ტრადიცია გააჩნია ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში. უკვე მეხუთე წელია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად, სწორედ მათთვის ახორციელებს ქართულ ენაში მომზადების სახელმწიფო პროგრამას – „1+4". პროგრამის ფარგლებში არაქართულენოვანი სტუდენტები ერთი წლის განმავლობაში ეუფლებიან სახელმწიფო ენას, რომელზედაც მათ სწავლა უნდა განაგრძონ სხვადასხვა საბაკალავრო სპეციალობაზე. ქართული ენის სწავლებისას შეძენილი გამოცდილების საფუძველზე, პროგრამაში ჩართული სტუდენტებისათვის არაერთი სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელო შემუშავდა და დაინერგა. სიახლეების შემოტანა ქართული ენის სწავლებაში გრძელდება. ენის სწავლების პროგრამაში, არჩევით კურსად, ქართული კინოს სამეტყველო ენისა და მასზე აგებული სავარჯიშოების ჩართვა ჩვენს მოკრძალებულ წვლილად შეიძლება ჩაითვალოს.

კინოს, როგორც სასწავლო რესურსის გამოყენება, მსოფლიო პრაქტიკისათვის სიახლეს არ წარმოადგენს. ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში კინო უცხო ენის დაუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია (ე.წ. „ცელულოიდის ენები"). მაგალითად, გერმანიაში კინოს საშუალებით ენის შესწავლა ჩვეული პრაქტიკაა. გოეთეს ინსტიტუტში კურსზე „ყურება, მოსმენა, საუბარი" – ფილმებით გერმანულის შესწავლა უაღრესად პოპულარულია და ყოველწლიურად მილიონობით უცხოელი სტუდენტი რეგისტრირდება. პროგრამაში შედის ფილმები, რომლებითაც სტუდენტებს თანამედროვე გერმანულის შესწავლა შეუძლიათ. ფილმის ყურების შემდეგ იმართება დისკუსია, სტუდენტები ერთმანეთში საუბრობენ როგორც ფილმის შინაარსის, ისე მასთან დაკავშირებული პრობლემატიკის შესახებ. შემდეგი ეტაპია ტესტირება:

სტუდენტებს ფილმის ჩვენების შემდგომ ურიგდებათ სპეციალური ტესტები, რომელთა საშუალებითაც ისინი ამოწმებენ, თუ როგორ გაიგეს კინოენა, შემდგომ ასწორებენ შეცდომებს და აჯამებენ შედეგებს. როგორც გოეთეს ინსტიტუტში აცხადებენ, ენის შემსწავლელი ეს პროგრამა არ ჩამორჩება მსოფლიოში აღიარებულ TestDaf-სა და DSD-ს. მათი აზრით, ენის შესწავლის ეს მეთოდოლოგია ბევრად უფრო სწრაფია და ეფექტური.

ჩვენს მიზანს,ცხადია, არ შეადგენს რომელიმე ქვეყნის ან ინსტიტუტის გამოცდილების პირდაპირი გადმოღება. ეს პროექტი ჩვენს სამუშაო გამოცდილებაში გაჩნდა და თავისებური სახე მიიღო. ვინაიდან სამეტყველო ფუნქციები (მოსმენა/ლაპარაკი) შედარებით რთულად განსავითარებელ კომპეტენციებს წარმოადგენს, მივიჩნიეთ, რომ ამ თვალსაზრისით ქართულ კინოს დადებითი როლი შეეძლო ეთამაშა. კინოს საშუალებით სტუდენტები შეიძენენ არა მხოლოდ ენობრივ კომპეტენციებს, არამედ ეზიარებიან ხელოვნების ამ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას, რომელიც მათ ინტელექტუალურ და ენობრივ შესაძლებლობებს გააფართოებს. პროექტის განხორციელებისათვის, რომელიც სწავლების ერთ სემესტრზეა გათვლილი, შეირჩა 15 ქართული ფილმი. რა შემადგენლობისაც არ უნდა ყოფილიყო ეს ჩამონათვალი – კითხვები მაინც გაჩნდებოდა... თუმცა, გარკვეულ კრიტერიუმებს დავეყრდენით და შერჩევისას გავითვალისწინეთ ფილმების როგორც ენობრივი მხარე, ისე მათი მხატვრულ–ესთეტიკური ღირებულება. ერთ–ერთ ნიშანდობლივ კრიტერიუმად ავიღეთ ფილმების შინაარსობრივი მრავალფეროვნებაც. შევეცადეთ, სტუდენტებისათვის ქართული რეალობის ამსახველი განსხვავებული სიუჟეტების მქონე ფილმები წარმოგვედგინა. ფილმების შერჩევის შემდგომი საგულისხმო ასპექტი იყო მათი დალაგება. ამ შემთხვევაში მთავარ კრიტერიუმად ქრონოლოგია ავიღეთ: პროგრამას ვიწყებთ თანამედროვე ფილმებით, რომელთა კინოენა ჩვენი სტუდენტებისთვის უფრო ახლობელია და გასაგები.

ფილმის ჩვენებამდე სტუდენტები, ლექტორის დახმარებით, გარკვეულ ინფორმაციას მიიღებენ მისი ისტორიისა და სიუჟეტის

შესახებ. ფილმებზე რეფლექსიის სახით დართულია განსხვავებული ტიპის ტექსტები, ეს შეიძლება იყოს ინტერვიუ, ბლოგი, სტატია თუ რეცენზია, რომელიც სტუდენტების წარმოდგენებს ფილმებთან დაკავშირებულ თემატიკაზე მნიშვნელოვნად გააფართოებს. ფილმის ჩვენების შემდეგ გაიმართება დისკუსია-საუბარი შესაბამის თემებზე, რომლის მოდერაციაც ლექტორმა საკუთარ თავზე უნდა აიღოს.

დისკუსიის დასრულების შემდეგ სტუდენტებმა უნდა შეავსონ სპეციალურად მომზადებული ტესტი. ყოველი ტესტი მოიცავს 20 საკითხს, რომელთაგან ნაწილი სავარაუდო პასუხებით გვხვდება, ნაწილი კი ღია ტიპის შეკითხვების სახითაა დასმული. ტესტი ამოწმებს სტუდენტის სხვადასხვა კოგნიტურ უნარ-ჩვევას, როგორებიცაა: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება (ბლუმის ტაქსონომიაზე დაყრდნობით). სტუდენტის ნაშრომი არ ფასდება ქულებით. ლექტორი შეაჯამებს თითოეული სტუდენტის ნაშრომს და შევსებული ტესტის საფუძველზე მასთან ინდივიდუალურად დაიწყებს მუშაობას.

კინოპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სტუდენტებისათვის საშინაო დავალების მიცემა, რომელიც ერთი ქართული ფილმის მოძიება-ყურებას და მასზე ესეს დაწერას გულისხმობს.

სახელმძღვანელოში ასევე წარმოდგენილია მასალები ზოგადად კინოს შესახებ, რაც სტუდენტებს დამატებითი საკითხავის სახით მიეწოდებათ.

დაბოლოს – ჩვენი ამოცანაა ქართული ფილმების საშუალებით დავეხმაროთ ქართულ გარემოში მცხოვრებ არაქართულენოვან სტუდენტებს, ენა მარტივად და საფუძვლიანად შეისწავლონ. ამავე დროს, გაეცნონ კინოს, –ხელოვნების საინტერესო დარგს.

პროგრამის – „ქართული კინოს სამეტყველო ენა და სავარჯიშოები არაქართულენოვანთათვის", უმთავრესი მიზანია, სტუდენტებს, ენის სრულფასოვან ცოდნასთან ერთად, ზოგადი გა-

ნათლება, ქართული ენაზე დისკუსიისა და საკუთარი ხედვის გამოხატვის უნარი შესძინოს და განუვითაროს.

ვინაიდან პროექტი საქართველოს მასშტაბით ინოვაციურია როგორც შინაარსობრივი თვალსაზრისით, ასევე განხორციელების გზების თვალსაზრისითაც, შესაბამისად, ავტორებს არ აქვთ პრე-ტენზია მის სრულყოფილებაზე და არც ხარვეზების შესაძლე-ბლობას გამორიცხავენ. აქედან გამომდინარე, წინამდებარე სახ-ელმძღვანელოს ავტორები მიიღებენ ნებისმიერ საქმიან შენიშ-ვნას, რომელიც პროექტის საბოლოო დახვეწას მოემსახურება.




## 1.1
## ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი

**გამოშვების წელი: 2012**
**რეჟისორი: გიორგი ლიფონავა**

ფილმი სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების" ციკლის ერთი კონკრეტული ნაწილია.

თავად სერიალი შეიძლება მოვიაზროთ სოციალურ კინოდ, რომელიც დღევანდელ თბილისს, ადამიანების ურთიერთობებსა და სოციალურ პრობლემებს ასახავს. „ჩემი ცოლის დაქალები" ნამდვილად შეგვიძლია დავასახელოთ თანამედროვე კინოს ქართულ ხასიათზე მორგებულ სურათად, რომელიც ყველა ასაკისა თუ გემოვნების ადამიანს მოსწონს.

ფილმში „ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი" ნაჩვენებია ქართული მამაპაპური ქორწილის ტრადიცია, მისი მიმდინარეობა და შედეგები: უზარმაზარი რესტორანი, სადაც ასობით ადამიანია დაპატიჟებული, მთვრალი კაცები და ჩხუბში გადაზრდილი ქორწილი, რომელიც

საბოლოოდ მაინც კარგად მთავრდება და ყველა კმაყოფილი რჩება... ფილმში ხაზგასმულია ირონია ზოგადად ქორწინების ტრადიციისა და ამ ტრადიციით აღფრთოვანებული ადამიანების მიმართ.

ფილმით რეჟისორმა სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების" ერთ-ერთი სეზონი დაასრულა. კრიტიკოსების აზრით, რეჟისორის ასეთი სტრატეგია ცნობილი ამერიკული სერიალის „სექსი დიდ ქალაქში" დასასრულის იდენტური იყო, რომელიც ასევე მთავარი გმირის – ქერი ბრედშოუს ქორწინებით სრულდება.

## 1.2

## ამონარიდი სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების" სცენარისტის, ქეთი დევდარიანის ინტერვიუდან:

ქეთი დევდარიანი: „ჩემი ცოლის დაქალები" არის არა მარტო ქალის, არამედ კაცის თვალითაც დანახული ქალური და კაცური თემები. რადგან დაინტერესება სერიალის მიმართ თავიდანვე დიდი იყო, სერიალი ქალებისა და სამზარეულოს თემიდან ძალიან სწრაფად გადავიდა მისაღებში, ტელევიზორთან, ქუჩაში, კაფეში, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში. თუმცა, სერიალში რომელ სოციალურ ჯგუფსაც შევეხებით, პირველი რეაქცია არის აგრესია, შემდეგ – დისკუსია, შემდეგ – მიმღებლობა ან მიუღებლობა; მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ გაჩნდეს **დისკუსია**. შემოქმედებითი ჯგუფის მთავარი მიზანიც ეს არის – არ ვიყოთ მორალისტები და მზა რეცეპტი არ მივაწოდოთ ადამიანებს, თუ როგორ უნდა იცხოვრონ: რა არის კარგი და ცუდი. ყველა ადამიანს აქვს თავისი სიმართლე, გადაწყვეტილებების მიღების დროს მოქმედების სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გათვალისწინებით. მთავარია, გაჩნდეს დისკუსია: ვიკამათოთ, ვილაპარაკოთ, კამათში იბადება ჭეშმარიტება... მართალია, ყოველთვის არა, მაგრამ ზოგჯერ მაინც ჩნდება! ამიტომ, აუცილებელია კრიტიკაც, რომელიც დახვეწის პროცესშია საქართველოში. როცა რამეს იწუნებენ ან იწონებენ, უნდა აიხსნას, თუ რატომ მიიჩნევენ ასე. ეს არის რაციონალური მსჯელობისკენ სვლა. რა თქმა უნდა, არ მაქვს ამბიცია და პრეტენზია, რომ მაინცადამაინც სერიალით უნდა

მოხდეს კრიტიკული აზროვნების განვითარება ქვეყანაში, მაგრამ ერთი პაწაწინა აგური ყველამ უნდა დადოს – სკოლამ, უნივერსიტეტმა, ტელევიზიამ. ტელევიზიამ, რომლის როლი ძალიან დიდია, თუ როგორ აწვდის ინფორმაციას ხალხს. ვისურვებდი, რომ იგი გაცილებით უფრო პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს თავის საქმეს, ვიდრე დღეს ამას აკეთებს. პასუხისმგებლობა დიდია სერიალის შემოქმედებით ჯგუფშიც. მნიშვნელოვანია, რომ რაღაც დამკვიდრებული სტერეოტიპები არ გავამყაროთ, ან ახალი არ შევქმნათ”.



## *ფილმის ჩვენება*



### 1.3

**სადისკუსიო საკითხები მსჯელობისათვის:**

- *რატომ იხდიან ადამიანები ქორწილს?*
- *ვის ეპატიჟებიან ქორწილში და რატომ?*
- *რატომ იქცევა ხოლმე ქორწილი ღრეობად ?*

### 1.4. შეამოწმეთ, როგორ გაიგეთ ფილმი ტესტით №1

**1. ვინ ქორწინდება ფილმში?**

ა) ნანა და გოგი

ბ) ლიკა და ირაკლი

გ) მაია და ვაჟა

დ) კატო და დიტო

**2. საიდან ჩამოვიდა კატოსა და ლიკას დედა?**

ა) გურიიდან

ბ) რუსეთიდან

გ) ამერიკიდან

დ) არსაიდან

**3. რამდენი წელი უყვარდა სიძეს პატარძალი?**

ა) ერთი
ბ) ხუთი
გ) ათი
დ) ორი

**4. სად ვითარდება მოქმედება ფილმის მიხედვით?**

ა) თბილისში
ბ) ბათუმში
გ) გურიაში
დ) ქუთაისში

**5. მერამდენედ თხოვდება პატარძალი?**

ა) პირველად
ბ) მეორედ
გ) მესამედ
დ) არავინ იცის

**6. რა აზრისაა დედამთილი მომავალ რძალზე?**

ა) ძალიან მოსწონს
ბ) არ იცნობს
გ) არ მოსწონს
დ) არ გამოხატავს საკუთარ აზრს

**7. რატომ ერევა გული კატოს დას?**

ა) ფეხმძიმედაა
ბ) მოიწამლა
გ) ვირუსი აქვს
დ) გადაიღალა

**8. ქორწილის წინა დღეს რა მიიღო საჩუქრად მეუღლისგან პატარძალმა?**

ა) მანქანა
ბ) ბინა
გ) იახტა
დ) ბრილიანტის ყელსაბამი

**9. რა გადასცა დედამთილმა პატარძალს ქორწილის დღეს?**

ა) სახლის გასაღები

ბ) საგვარეულო ბეჭედი

გ) ანტიკვარული მაჯის საათი

დ) თავისი ნაქონი ყელსაბამი

**10. გადმოეცით თქვენი სიტყვებით დიტოსა და დედამისის დიალოგი:**

დიტო ------------------------------------------------

------------------------------------------------------

დიტოს დედა ------------------------------------------

------------------------------------------------------

**11. დაალაგეთ ფილმში განვითარებული მოვლენები თანამიმდევრობით:**

იარაღის გასროლა, მანქანების შეჯახება, კაბის არჩევა, კატოს მამის სტუმრობა

ა) ---------------------------------------------

ბ) ---------------------------------------------

გ) ---------------------------------------------

დ) ---------------------------------------------

**12. ვინ არიან ერთმანეთისათვის? დაასრულეთ წინადადებები ქვემოთ ჩამოთვლილი სიტყვების გამოყენებით:**

შვილი, დედა, მამა, დედამთილი, სიდედრი, ცოლი, ქმარი, და, მეჯვარე

მაგ. დიტო კატოს ქმარია

| | |
|---|---|
| ლეილა დიტოს ............. | ლიკა კატოს ........... |
| კატო დიტოს ........... | გოგი კატოს ............ |
| ნანა დიტოს ......... | თინა კატოს ............ |
| გოგი დიტოს .......... | ლეილა კატოს ........... |

**13. აღწერეთ საქორწინო სუფრა, რა დევს მაგიდაზე და როგორაა გაფორმებული?**

------------------------------------------------------

------------------------------------------------------

14. **რომელი სადღეგრძელო დაგამახსოვრდათ და რატომ?**

---------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------

15. **ძირითადად რას აკეთებენ ადამიანები ქორწილში და რას – არა?**

| რას აკეთებენ | **რას არ აკეთებენ** |
|---|---|
| მაგ. სვამენ | მაგ. კერავენ |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |



16. **გადმოეცით თქვენი სიტყვებით, რაზე კამათობს სიძე–პატარძალი ქორწილში?**

---------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------

17. **როგორ დაახასიათებდით სიძე–პატარძალს? თქვენი შეხედულებისამებრ გამოიყენეთ შემდეგი ზედსართავი სახელები; ლამაზი, სიმპათიური, კეთილი, გულუხვი, შეძლებული, ტრაბახა, თამამი, იმპულსური, გამგები, ლაღი, თავისუფალი, უპასუხისმგებლო, სტუმართმოყვარე, არასერიოზული...**

18.

| **სიძე** | | **პატარძალი** | |
|---|---|---|---|
| **დადებითი** | **უარყოფითი** | **დადებითი** | **უარყოფითი** |
| | | | |
| | | | |
| | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | | |
| | | | |

**19. როგორია „ნამდვილი" ქართული ქორწილი? როგორ აფასებენ ფილმის პერსონაჟები ზოგადად ქორწილს და როგორია თქვენი აზრი?**

---------------------------------------------------

---------------------------------------------------

**20. გაიხსენეთ, ბოლოს როდის იყავით ქორწილში და მოძებნეთ მსგავსება-განსხვავება ფილმსა და რეალობას შორის:**

| მსგავსება | განსხვავება |
|---|---|
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

**21. თქვენი აზრით, რისი თქმა სურდა ამ ფილმით რეჟისორს?**

---------------------------------------------------

---------------------------------------------------

---------------------------------------------------

---------------------------------------------------

---------------------------------------------------

**1.5**

**საშინაო დავალება:**

*მოიძიეთ ინტერნეტში რეჟისორ ლევან კოღუაშვილის ქართული მხატვრული ფილმი „შემთხვევითი პაემნები" და დაწერეთ ესე: „ქორწინება და საზოგადოება".*



## 2.1

## გაღმა ნაპირი

**გამოშვების წელი: 2009**

**რეჟისორი: გიორგი ოვაშვილი**

ფილმი „გაღმა ნაპირი", რომელიც ახალი ხედვითა და საინტერესო, ლამაზი კადრებით გამოირჩევა, 12 წლის ბიჭის ისტორიას მოგვითხრობს. ფილმის მთავარ გმირს თედო ჰქვია და მას სამოქალაქო ომის შემდეგ არაფერი დარჩა. ფილმი ძალიან ბუნებრივი სცენებით ხასიათდება და თედოს განვლილ გზას ასახავს. ბიჭი მამის მოსაძებნად უამრავ სირთულეს აწყდება. ფილმის პრემიერა ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე 2009 წლის 7 თებერვალს საკონკურსო პროგრამა „თაობაში" შედგა.

ფილმი ერთი წლის განმავლობაში ოცდაათამდე ქვეყანაში აჩვენეს. „გაღმა ნაპირი" ორმოცდაათამდე საერთაშორისო კინოფესტივალზე იყო წარდგენილი და უამრავ პრიზთან ერთად კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის ორი პრიზიც FIPRESCI მიიღო.

## 2.2

## ამონარიდი თედო ბექაურის ინტერვიუდან

**2010–09–03 ჟურნალი „თბილისელები"**

***ავტორი: თამუნა ნიჟარაძე***

მას თავის გმირთან საერთო ბევრი არაფერი აქვს და არც ცხოვრების ისტორია აქვს ისეთი სევდიანი, როგორიც მამის სა-

ძებნელად წასული პატარა ბიჭს „გაღმა ნაპირიდან", რომელმაც გულგრილი არავინ დატოვა. თედო ბექაური ჯერ ნამდვილი მსახიობი არ არის, ერთი ჩვეულებრივი ბიჭია, მაგრამ გამორჩეული მსახიობური ნიჭით, ამის სათქმელად „გაღმა ნაპირის" ფინალური სცენაც კი კმარა. თედო თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ორბეთში ცხოვრობს, მარჯვეა და მხიარული, მეგობრებთან ერთად გართობა ყველაფერს ურჩევნია, თუმცა, კინოსთან დაკავშირებული დიდი გეგმები აქვს, რომელსაც ამ ინტერვიუში ჩვენც გვანდობს.

***თედო ბექაური:*** ჩემი ცხოვრება ისევ ისეთი გახდა, როგორიც ფილმამდე იყო. ძალიან მინდა, რომ კიდევ გადამიღონ კინოში, მაგრამ ჯერჯერობით შემოთავაზება არ მაქვს. ვფიქრობ, კიდევ გადამიღებენ. ვცხოვრობ ისევ სოფელ ორბეთში, ისევ კარგად ვერთობი, ვთამაშობ ფეხბურთს მეგობრებთან ერთად. ჩემგან დიდი ფეხბურთელი არ გამოვა, მაგრამ გოლები გამაქვს. მეგობრებთან ერთად გვერდზე სოფელში დავდივარ მდინარეზე, ცურვა კარგად არ ვიცი, მაგრამ ნელ-ნელა ვსწავლობ. სახლში მე, დედა, მამა და ჩემი ორი ძმა ვართ. მე ძმებში ყველაზე პატარა ვარ, მაგრამ ამის გამო სულაც არ მანებივრებენ, მეც ვეხმარები მშობლებს სოფლის საქმეებში. ქათმები გვყავს, ძროხებიც, ჩემი ძმა ნახირშიც კი დადის, მე ჯერ პატარა ვარ და ნახირში არ მიშვებენ. მე უფრო ზვინისთვის ვაგროვებ ხოლმე თივას. ახლა ვიცი, რომ იღბლიანი ბიჭი ვარ – კინოში გადამიღეს, თეატრში მოვხვდი... მაგრამ, იმ დღეს გიორგი ოვაშვილს კლინიკაში რომ არ ვენახე, ჩემს ცხოვრებაში არაფერიც არ შეიცვლებოდა.

– თბილისში გადმოსვლა არ გინდა?
– თან მინდა, თან – არა. გიორგი ოვაშვილი მეუბნება, თბილისში უნდა ისწავლო სკოლაშიო, მერე, ალბათ, დედაც უნდა გამომყვეს, მამაჩემს და ჩემს ძმას ხომ მიხედვა დასჭირდებათ? დედაჩემი კოჯრის ბატალიონის ინფრასტრუქტურაში მუშაობს, მამაჩემიც იქ მუშაობდა, მაგრამ სამსახურიდან გამოუშვეს. ჩემი უფროსი ძმა ჯარშია, სახლში მარტო მე და შუათანა ძმა ვართ. არ ვიცი, ის როგორ უნდა დავტოვო და როგორი იქნება ჩემი ცხოვრება თბილისში, თან ახლა უფრო ხშირად მინევს მანდ წამოსვლა. სამი

თვეა, რაც „კარის თეატრში" შევედი. ამ ფილმში რომ არ გადაეღოთ ჩემი თავი, ამ თეატრშიც, ალბათ, ვერ მოვხვდებოდი. უკვე გასტროლზეც ვიყავი ქობულეთში, ჯერ მარტო ერთ სპექტაკლში ვარ დაკავებული, პატარა როლი მომცეს – ლოთი ვიყავი, საერთოდ არ გამჭირვებია ამ როლის შესრულება.

– ჰგავხარ შენს გმირს „გაღმა ნაპირიდან"?

– ვგავარ, მაგრამ, ის უფრო თამამი და გაბედული იყო, ვიდრე მე ვარ. მე ამდენ რამეს ვერ გავბედავდი, ესე ვერ მოვიქცეოდი. დედასთან დაკავშირებითაც სწორად მოიქცა, მაგრამ მე მაგას ვერ გავაკეთებდი. მე სინამდვილეში უფრო მხიარული და ცელქი ვარ, ხანდახან ბევრ რამეს ვაფუჭებ კიდეც, ბიჭებთანაც ვჩხუბობ.

– როგორ წარმოგიდგენია შენი ცხოვრება მომავალში?

– ჯერ კარგად უნდა ვისწავლო, მერე კინოში ვიმუშავებ. ჩემი ოცნებაა, ჰოლივუდში მოვხვდე და ტრაგიკული როლები შევასრულო. ასეთი როლები უფრო მომწონს. ახლა ინგლისურიც უნდა ვისწავლო, მერე ძალიან დამჭირდება. აი, ჰოლივუდს თუ დავიპყრობ, მერე ვიტყვი, რომ გაღმა ნაპირზე გავედი.





## *ფილმის ჩვენება*

## 2.3

**სადისკუსიო საკითხები მსჯელობისათვის:**

- *როგორ მოქმედებს ომი ადამიანების ცხოვრებაზე?*
- *რა განაპირობებს ადამიანების ქცევას?*
- *მტრის ხატი და რეალური მტერი*

## 2.4. შეამოწმეთ, როგორ გაიგეთ ფილმი ტექსტით №2

**1. რამდენი წლისაა ფილმის მთავარი გმირი?**

ა) 7 წლის

ბ) 12 წლის

გ) 20 წლის

დ) 45 წლის

**2. სად დაიწყო თედომ მუშაობა?**

ა) ვულკანიზაციაში

ბ) ბაზრობაზე

გ) მეთევზეებთან

დ) სადგურზე

**3. საიდან არის თედო წარმოშობით?**

ა) ზუგდიდიდან

ბ) სოხუმიდან

გ) თბილისიდან

დ) ტყვარჩელიდან

**4. რით უმასპინძლდება თედოს თავისი მეგობარი?**

ა) ჩაით

ბ) ლიმონათით

გ) ყველითა და პურით

დ) ძეხვითა და პურით

**5. რა მისცა თედომ დედას?**

ა) საჭმელი

ბ) ბეჭედი

გ) ფული

დ) გასაღები

**6. რა შეემთხვა თედოს მეგობარ წუპაკას?**

ა) საავადმყოფოში დააწვინეს

ბ) დაიჭირეს

გ) ახალი სამსახური დაიწყო

დ) უცნობია

**7. ვინ დარჩა თედოს ტყვარჩელში?**

ა) ბებია
ბ) მამიდა
გ) მამა
დ) ძმა

**8. იცოდა თუ არა თედომ აფხაზური?**

ა) იცოდა
ბ) არ იცოდა
გ) ესმოდა, მაგრამ ვერ საუბრობდა
დ) ფილმში არ ჩანს

**9. როგორ გესმით შემდეგი სიტყვები?**

საქმეც გაგეჩარხა ------------------------------------------
ლტოლვილი ----------------------------------------------
შარი გინდა ----------------------------------------------
არ ევასებათ --------------------------------------------
არ გამიტეხო -------------------------------------------

**10. თქვენი სიტყვებით გადმოეცით თედოსა და დედამისის დიალოგი:**

თედო -----------------------------------------------------
თედოს დედა --------------------------------------------

**11. დაალაგეთ ფილმში განვითარებული მოვლენები თანამიმდევრობით:**

მატარებლიდან ჩამოგდება, მკვლელობა საზღვარზე, მარო ბებოსთან შეხვედრა, მძღოლების გაქურდვა, თედოს ცეკვა

ა) ----------------------
ბ) ----------------------
გ) ----------------------
დ) ----------------------
ე) ----------------------

**12. დააკავშირეთ ერთმანეთთან:**

| | |
|---|---|
| თედოს დედა | აფხაზი მასპინძელი |
| ზიტა | ლტოლვილი |
| ორი ბიჭი წითელ მანქანაში | ძალადობის მსხვერპლი |
| წუპაკა | მანქანის გამტაცებელი |
| მარიამი | ჯიბის ქურდი |

13. ჩამოთვალეთ, რომელ ენებზე საუბრობენ ფილმის გმირები“:

14. როგორია ფილმის მთავარი გმირი?

| გარეგნულად | ხასიათით |
|---|---|
| | |
| | |
| | |
| | |

15. თქვენი აზრით, როდის ხუჭავს ფილმის მთავარი გმირი თვალებს მაგრად და რატომ?

16. რატომ აჩვენებს თედო თავს მუნჯად?

17. რა გაარკვია თედომ მამის შესახებ?

18. რა გაიგე ფილმიდან იმ ომის შესახებ, რომელმაც თედო ლტოლვილად აქცია?

19. რატომ ჰქვია ფილმს „გაღმა ნაპირი“?

**20. როგორ შეაფასებდით ფინალურ სცენას? თქვენ როგორ დაასრულებდით ან გააგრძელებდით ამ ფილმს?**

## 2.5

**საშინაო დავალება:**

*მოიძიეთ ინტერნეტში რეჟისორ რეზო ჩხეიძის მხატვრული ფილმი „ჯარისკაცის მამა" და დაწერეთ ესე მამაშვილობაზე.*



## 3.1

## ქუჩის დღეები

**გამოშვების წელი: 2009**

**რეჟისორი: ლევან კოღუაშვილი**

„ქუჩის დღეები" წარმოადგენს უკანასკნელ წლებში ქართული რეალობის ერთ-ერთ ყველაზე კარგად ამსახველ კინოსურათს. იგი 45 წლის ნარკომანიით დაავადებულ მამაკაცზე მოგვითხრობს. კაცი თავისი ცხოვრების ყველაზე კრიტიკული არჩევანის წინაშე დგას: კორუმპირებული პოლიციელები მისგან მეგობრის შვილის, 16 წლის ბიჭის, დაბეზღებას ითხოვენ. თუ დათანხმდება, წამლითა და ფულით დაასაჩუქრებენ, ხოლო, თუ უარს იტყვის – 10 წლით გაუშვებენ ციხეში და ამით მისი ცხოვრება, ფაქტობრივად, დასრულდება...

ფილმის საფესტივალო ბიოგრაფია საკმაოდ დიდია – მან თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი გახსნა, შემდეგ როტერდამის საერთაშორისო ფესტივალზე აჩვენეს, სადაც პრესის საუკეთესო გამოხმაურება დაიმსახურა, ვისბადენში კი მთავარი პრიზი ერგო. ფილმი ფესტივალის ჟიურიმ ქართული ნეორეალისტური კინოს საუკეთესო ტრადიციებში გადაწყვეტილ ნამუშევრად და ნამდვილ აღმოჩენად აღიარა.

## 3.2

## სტატია ინტერნეტგაზეთიდან „კათედრა“. ამ ბლოგში ჟურნალისტები ახალი კულტურული მოვლენების შესახებ ინდივიდუალურ შეფასებებს წერენ.

### სტატიის სახელწოდება: „ქუჩის დღეები ანუ მავნე ქიმია“

### ავტორი: უცნობი

ვიცოდი, რომ ქართველ რეჟისორებს თბილისური ნარკომანიის თემა არაერთხელ და თანაც უხარისხოდ გადაეღეჭათ, მაგრამ მაინც წავედი „ქუჩის დღეების“ სანახავად. მით უმეტეს, ყურმოკვრით გამეგო, რომ ლევან კოღუაშვილს მანამდე კარგი დოკუმენტური ფილმი ჰქონდა გადაღებული შტატებში მომუშავე ქართველი ქალების შესახებ. კინომანების ენები იუწყებოდნენ, ნიჭიერი კაციაო. როგორც მოსალოდნელი იყო, დარბაზში თვალშისაცემი სიხალვათე დამხვდა. სულ ხუთნი ვისხედით: ფიზიკურად მოსიყვარულე და ვერბალურად მოჩხუბარი წყვილი, ორი შუახნის მამაკაცი და მე. ფილმში მრავლად შეხვდებით მოძველბიჭო, ბაბულიკა ელემენტებსა და წამლის მომხმარებლებს, მაგრამ ძალიან იშვიათად გაიგებთ გინებას. იმ დღის შემდეგ, როცა კინოს საქმეში მეტ-ნაკლებად ხვითო ადამიანები „ქუჩის დღეებს“ დეკადის საუკეთესო ქართულ ფილმად არ ასახელებენ, ისეთი მრისხანება მიპყრობს, თითქოს ჩემს ნამუშევარს ჩაგრავენ და სურვილი მიჩნდება, ხელში ასტამი ავიღო.

თავიდანვე ვაღიარებ, რომ კოღუაშვილმა ჩინებულად მოახერხა ის, რაც იქამდე ქართველმა კინოს მკეთებლებმა ვერ შეძლეს: აირჩია ფეხით ნატკეპნი იდეა და დახვეწა. განმინდა ნადებებისგან; იპოვა ლიტერატურული ღერძი, აიღო მიმართულება, შექმნა სცენარი და ბოლომდე მისდია მას. ერთიცაა: არის ასეთი რეჟისორი – პოლ ტომას ანდერსონი. ეს ახალგაზრდა კაცი როგორღაც ახერხებს იმას, რომ მის ფილმებში მსახიობებმა თავიანთი საუკეთესო როლები შეასრულონ. ამ პარამეტრით ლევან კოღუაშვილი პოლ ტომას ანდერსონს ჰგავს. „ქუჩის დღეე-

ბში" თითქოს იქამდე მიმკვდარებული მსახიობები კოღუაშვილმა საიქიოდან იმპოტენტის მსგავსად გამოიხმო და ფილმისადმი მიკუთვნებულობის გრძნობა გაუჩინა.

„ქუჩის დღეებში" ნაჩვენებია არა მხოლოდ ის, თუ როგორ იხარშებიან თავიანთ წვენში ნამალდამოკიდებული ადამიანები; დღითიდღე როგორ ემსგავსება მათი ყოველდღიურობა ჯოჯოხეთს ისე, რომ თავიანთ ცხოვრებაზე გული ერევათ; როგორ სძულთ საკუთარი თავი და ეჭიდებიან ხავსს; ერთი ბაიანის გამო როგორ კარგავენ ყველანაირ ადამიანურ ღირსებას, არამედ ისიც, თუ რა საფრთხეს უქმნის ასეთი ადამიანების არსებობა სხვებს, განსაკუთრებით კი – ახალგაზრდებს.

რა თქმა უნდა, კოღუაშვილის ფილმი არაფერი იქნებოდა, მხოლოდ ნამალდამოკიდებულთა დაცბორილი და ჩამყაყებული ცხოვრება რომ ეჩვენებინა. მთავარი ისაა, რომ რეჟისორმა ნარკომანიის მუტაციის საფრთხე გვაჩვენა, რაც სიუჟეტში მოზარდების შემოყვანით მოახერხა. მოსწავლეები, რომლებიც თავიანთი სკოლის გადაღმა წამალზე მოჩალიჩე ელემენტებს ხედავენ, მიმბაძველობის გამო ცდილობენ, თავადაც გასინჯონ აკრძალული ხილი. ფილმის სიუჟეტი კარგად გვიჩვენებს, რომ ნარკომანია ავთვისებიანი სიმსივნეა, რომლის მეტასტაზებიც ძალიან სწრაფად ვრცელდება და ყველანაირი მასშტაბის სოციუმში აღწევს – ქუჩიდან იწყება და სკოლაში, ოჯახებში, ცოლქმრულ, მამაშვილურ და მეგობრულ ურთიერთობებში ძვრება. სხვათა შორის, „ქუჩის დღეები" ყველა ამ სოციუმის მანკიერ მხარეებზეც საუბრობს. პერსონაჟების „ლომკა" იმდენად გაცხოველებულია, რომ ერთ ეპიზოდში მარიხუანაზე უარს ამბობენ – ეს უკვე მეტისმეტად საბავშვოა მათთვის.

კოღუაშვილის ფილმი, მიუხედავად იმისა, რომ ნათელ ფერებშია გადაღებული, შინაარსით ფრანსისკო გოიას იმ ნახატებს უფრო ჰგავს, რომლებშიც მხატვარმა სიმახინჯით გადმოსცა ყოფიერება, ვიდრე გადაპრანჭული რეალობის ტილოებს.

ფილმის მთავარი გმირი – ჩეკი, ერთი სამოსით დადის. სხვისა არ ვიცი, მაგრამ „ქუჩის დღეების" ნახვისას ისეთი გრძნობა

მეუფლება, თითქოს ჩეკის მსგავსად ეს ტანსაცმელი მეც მახრჩობს, სხეული მექავება. სურვილი მიჩნდება, მზისგან გახუნებული ქურთუკი საკუთარ კანთან ერთად შემოვიხიო და სადღაც, ძალიან შორს, უკანმოუხედავად გავიქცე, თუმცა დავაპირებ თუ არა გაქცევას, ფეხზე გამობმული ზანზარი მაჩერებს.

ფილმის დასასრულს, რეჟისორი ბოლო იმედსაც მიკლავს, რომ მსხვერპლშეწირვის შემდეგ, რაიმე შეიცვლება. მარწმუნებს, რომ ჩეკის თაობამ ცხოვრების შანსი საბოლოოდ გაუშვა ხელიდან. იქნებ ამ ფილმით თქვენც დაარწმუნოთ მოსწავლეები, რომ ცხოვრების ვენაში გაშვება არ ღირს.



## ფილმის ჩვენება



## 3.3

**სადისკუსიო საკითხები მსჯელობისათვის:**

- *რა დამოკიდებულებაა საზოგადოებაში ნარკოტიკების მომხმარებელთა მიმართ?*
- *დანაშაული თუ ავადმყოფობა?*
- *რა იწვევს ნარკოდამოკიდებულებას ახალგაზრდებში?*

## 3.4

**შეამოწმეთ, როგორ გაიგეთ ფილმი ტესტით №3**

1. **ფილმის დასაწყისში რისთვის აგროვებენ ფულს ჩეკი და მისი ქუჩის მეგობრები?**

   ა) დაბადების დღისთვის

   ბ) ოპერაციისთვის

   გ) წამლისათვის

   დ) დაკრძალვისთვის

**2. რამდენი შვილი ჰყავს ჩეკის?**

ა) ორი

ბ) სამი

გ) არც ერთი

დ) ერთი

**3. რა გამოსდიოდა ჩეკის კარგად სკოლაში სწავლის დროს?**

ა) მათემატიკა

ბ) ტანვარჯიში

გ) ხატვა

დ) მუსიკა

**4. რას აპროტესტებს სკოლის დირექტორი ლიანა?**

ა) სკოლის წინ მშენებლობას

ბ) სკოლის წინ ნარკომანების დგომას

გ) მანქანების ხმაურს

დ) სკოლის წინ ხეების მოჭრას

**5. რისი როლი მისცა სკოლის რეჟისორმა მინისტრის შვილს?**

ა) მგლის

ბ) ცხვრის

გ) დათვის

დ) კურდღლის

**6. რატომ აქვს კრედიტი აღებული ჩეკის ცოლს?**

ა) შვილის სწავლისათვის

ბ) მოგზაურობისათვის

გ) ბიზნესის წამოწყებისათვის

დ) ვალის გასტუმრებისათვის

**7. რის სათხოვნელად მიდის ჩეკი თავის კლასელ მინისტრთან წვეულებაზე?**

ა) ფულის

ბ) ბინის

გ) სამსახურის

დ) წამლის

**8. რას სთავაზობს ბანკის თანამშრომლებს ჩეკის ცოლი სესხის და-ფარვის სანაცვლოდ ?**

ა) პიანინოს

ბ) ტელევიზორს

გ) ოქროს

დ) ავტომობილს

**9. რას სთავაზობს ჩეკის მინისტრის შვილი ფულის საშოვნელად?**

ა) მამის მეგობრის შვილის გატაცებას

ბ) ბანკის დაყაჩაღებას

გ) სახლის გაქურდვას

დ) მამის მეგობრის ცოლის მოტაცებას

**10. სად შეხვდა ჩეკის თანაკლასელი მღვდელი?**

ა) სკოლაში

ბ) ქუჩაში

გ) საავადმყოფოში

დ) სახლში

**11. ჩამოთვალე საგნები, რომლებითაც ფილმის პერსონაჟები სარგე-ბლობენ:**

ა) ----------------------------------------

ბ) ----------------------------------------

გ) ----------------------------------------

დ) ----------------------------------------

**12. ჩამოთვალე ის ადგილები, რომლებიც გვხვდება ფილმში:**

ა) ----------------------------------------

ბ) ----------------------------------------

გ) ----------------------------------------

დ) ----------------------------------------

**13. გაიხსენეთ, რას ეუბნებოდა ბარგიას მამა შვილს:**

----------------------------------------------

----------------------------------------------

**14. დაალაგეთ ფილმში განვითარებული მოვლენები თანამიმდევრობით:**

ჩეკის თვითმკვლელობა, ბავშვის გატაცება, წვეულება მინისტრთან, მობილურის ლომბარდში ჩაბარება

ა) ------------------------------------------------

ბ) ------------------------------------------------

გ) ------------------------------------------------

დ) ------------------------------------------------

**15. დააკავშირე ერთმანეთთან:**

| | |
|---|---|
| ჩეკი | კორუმპირებული |
| სკოლის მასწავლებელი | ანჩხლი |
| სკოლის დირექტორი | კურდღლის როლის შემსრულებელი |
| ბარიგა | ისტორიკოსი |
| სკოლის მოსწავლე | ნარკომანი |
| პოლიციელი | ნარკოტიკებით მოვაჭრე |

**16. გამოიყენეთ ზედსართავი სახელები ფილმის პერსონაჟების დასახასიათებლად:**

| გარეგნობა | პერსონაჟი | ხასიათი |
|---|---|---|
| | ჩეკი | |
| | ირაკლი | |
| | მინისტრი | |
| | პოლიციელი | |
| | მინისტრის ცოლი | |

**17. ჩამოთვალე პერსონაჟები და დაახასიათე ისინი დადებითი და უარყოფითი ნიშნით:**

| პერსონაჟი | დადებითი | უარყოფითი |
|---|---|---|
| 1. | | |
| 2. | | |
| 3. | | |

| | | |
|---|---|---|
| 4. | | |
| 5. | | |

18. როგორ ახსნიდით ჩეკის სიზმარს?

-----------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------

19. რატომ მოიკლა თავი ჩეკიმ?

-----------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------

20. რა იყო შენთვის ყველაზე დასამახსოვრებელი ფილმში?

-----------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------



## 3.5

**საშინაო დავალება:**

*მოიძიეთ ინტერნეტში რეჟისორ თეიმურაზ ბაბლუანის მხატვრული ფილმი „უძინართა მზე" და დაწერეთ ესე „ქუჩა და ახალგაზრდობა".*



## 4.1
## სახლი სიხარულისა

### გამოშვების წელი: 2008
### დამდგმელი რეჟისორი: მერაბ კოკოჩაშვილი

ფილმი „სახლი სიხარულისა" წარმოადგენს დოკუმენტურ-მხატვრულ კინოსურათს ადამიანების შესახებ, რომლებმაც მე-20 საუკუნის საუკეთესო ქართულ ფილმად აღიარებული „ქეთო და კოტე" გადაიღეს. დოკუმენტური ფილმის სიუჟეტი ასე ვითარდება: თავდაპირველად ჩანს სცენები, რომლებშიც ორკესტრანტები ინ-სტრუმენტებს აწყობენ, ემზადებიან სცენები საოპერო სპექტაკლისთვის – „ქეთო და კოტე". კინოს გადასაღებ უზარმაზარ, ნახევრად დანგრეულ პავილიონში მსახიობები რამაზ ჩხიკვაძე და ოთარ კობერიძე ფილმ „ქეთო და კოტეს" გადაღების ეპიზოდებს იხსენებენ. ეკრანზე ჩანს ფილმის ფრაგმენტებიც. ფილმში ასახულია, როგორ წარმოიშვა ჯერ პიესა ამ თემაზე, შემდეგ მუნჯი ფილმი და 40-იან წლებში სრულმეტრაჟიანი ფანტასტიკური მიუზიკლი, რომლის საშუალებითაც მაყურებელი დროში მოგზაურობს. ამ კინოსურათით რეჟისორმა მერაბ კოკოჩაშვილმა საოცარი ხელოვნებით გვიჩვენა საქართველოს ისტორია – მე-19, მე-20 სკ-ის თბილისი, თეატრი, კინო. ფილმის გადაწყვეტა ცო-

ტა უჩვეულოც არის, რადგან ის მხატვრული და დოკუმენტური კინოს ერთგვარ ნაზავს წარმოადგენს.

*წყარო: რეალური სამოსიდან კინოკოსტიუმამდე (კინოფილმ „ქეთო და კოტეს" მიხედვით)*

## 4.2 წარმოდგენილია ხელოვნებათმცოდნეობის (PhD) დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია კოსტიუმების მხატვრული გაფორმება კინოფილმის „ქეთო და კოტეს" მაგალითზე. კინოფილმი „ქეთო და კოტე" გადაღებულია 1948 წელს ალექსანდრე ცაგარლის კომედიის – „ხანუმა" და ვიქტორ დოლიძის ოპერის – „ქეთო და კოტეს" მიხედვით. უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც ეს ფილმი ახარებს და ახალისებს მაყურებელს. მეორე მსოფლიო ომით გადაღლილ მოსახლეობას სანახაობრივი ფილმი სჭირდებოდა, ამის გამო დართო ნება სსრ კავშირის მთავრობამ ქართველ რეჟისორებს გადაეღოთ მუსიკალური კინოკომედია „ქეთო და კოტე". სადისერტაციო ნაშრომში მოთხრობილია, თუ რა სიძნელეები და დაბრკოლებები გადაილახა იმისათვის, რომ კინოფილმი „ქეთო და კოტე" ყოფილიყო ისეთი, როგორსაც ჩვენ ვიცნობთ.

ფილმი „ქეთო და კოტე" გადაიღეს რეჟისორებმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა და შალვა გედევანიშვილმა სიკო ფაშალიშვილის სცენარის მიხედვით. მუსიკა ეკუთვნით ვიქტორ დოლიძეს და არჩილ კერესელიძეს. ფილმის მთავარი მხატვარია იოსებ სუმბათაშვილი, ხოლო კოსტიუმების მხატვარი ფარნაოზ ლაპიაშვილი. ფილმზე აგრეთვე, მუშაობდნენ მხატვრები: კ. კვალიაშვილი, ე. მაჭავარიანი და ქრ. ლებანიძე.

ამ ფილმის წარმატებაში მთავარი როლი დამდგმელ რეჟისორებს ეკუთვნით. ფილმის რეჟისორის ვახტანგ ტაბლიაშვილის შემოქმედებით ბიოგრაფიაში „ქეთო და კოტე" განცალკევებით დგას, როგორც გამორჩეული ქმნილება, ყველა აღმატებულ ეპითეტთან ერთად, „უკვდავსაც" რომ უწოდებენ. მომავალი

თაობები დაადასტურებენ ან უარყოფენ ასეთ შეფასებას, ყოველ შემთხვევაში, ეს კინოფილმი დღესაც ინარჩუნებს ცხოველმყოფელობას, ფეიერვერკულ სილამაზეს და ბრწყინვალებას, რაც კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება არ ძველდება.

კინოფილმი „ქეთო და კოტე" ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფილმია საქართველოში და მისი მხატვრული ღირებულება ფართოდ არის აღიარებული საერთაშორისო მასშტაბით. კინონაწარმოების შესახებ დაწერილია მრავალი სტატია, მოხსენება თუ მონოგრაფია, გადაღებულია დოკუმენტური ფილმიც „სახლი სიხარულისა".

**ფილმი ფილმის შესახებ (რეჟისორი მ. კოკოჩაშვილი).** სასიხარულოა ის ფაქტი, რომ „ქეთო და კოტე" დღესაც, – ოცდამეერთე საუკუნეში, არ კარგავს აქტუალობას. ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრში დაიდგა მიუზიკლი „ქეთო და კოტე" (რეჟისორი დ. დოიაშვილი). მაგრამ მხატვრობაზე ყურადღება ნაკლებად არის გამახვილებული; მით უმეტეს, მხატვართა ნამუშევარი ამ ფილმში არასოდეს გამხდარა სპეციალური კვლევის საგანი. კინოს მხატვრობა ზოგადად ნაკლებად შესწავლილი დარგია. ქართული კინოს მხატვრებზე ძალიან მწირია ლიტერატურა. ფილმის „ქეთო და კოტე" მხატვრული გაფორმება კი შეუსწავლელი იყო ამ დრომდე.

როგორც აღვნიშნე, „ქეთო და კოტეს" მხატვრობასთან დაკავშირებული საკითხები აქამდე არ გამხდარა სპეციალური კვლევის საგანი და ბევრი საკითხი საკმაოდ ბუნდოვანიც იყო. გარკვეული დოკუმენტური ფაქტების დასაზუსტებლადაც კი, რომ აღარაფერი ითქვას მხატვრულ ანალიზზე, საჭირო იყო ძალზე შრომატევადი სამუშაოს ჩატარება.

განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი, რომ ფილმისთვის „ქეთო და კოტე" შექმნილი ესკიზები თითქმის არ არის შემორჩენილი და ხანგრძლივი მუშაობის ჩატარება დამჭირდა რამდენიმე ესკიზის გამოსავლენად, რომლებიც ინახება კერძო და სახელმწიფო

სამუზეუმო კოლექციებში. თითოეული ესკიზის დაკვირვებით შეს-წავლის საფუძველზე, ჩატარდა და მოხდა ავტორთა იდენტი-ფიცირება. გამოვლენილი მასალა უაღრესად ფასეულია, როგორც ისტორიული მნიშვნელობის ფილმთან დაკავშირებული იშვიათი მხატვრული დოკუმენტები.



## ფილმის ჩვენება

### 4.3

**სადისკუსიო საკითხები მსჯელობისათვის:**

- *საბჭოთა ეპოქა და კინო*
- *ცენზურა და იდეოლოგია*
- *თბილისის მულტიკულტურული გარემო*



### 4.4

**შეამოწმეთ, როგორ გაიგეთ ფილმი ტესტით №4**

1. **რომელი ფილმის სამუშაო გარემოს ათვალიერებენ ფილმის დასაწყისში ცნობილი ქართველი მსახიობები?**
   ა) ქეთო და კოტე
   ბ) გიორგი სააკაძე
   გ) ხანუმა
   დ) დაკარგული სამოთხე

2. **ფილმის მთხრობელის მიხედვით, რისი რეჟისორი იყო იოსებ სტალინი?**
   ა) თეატრის
   ბ) კინოს
   გ) ოპერის
   დ) ყველაფრის

3. **ფილმის მიხედვით, როგორია თბილისის ქუჩები და არქიტექტურა?**

ა) მიგრეხილ-მოგრეხილი

ბ) მიკიბულ-მოკიბული

გ) მიკეცილ-მოკეცილი

დ) მირეულ-მორეული

4. **რა უწოდეს უცხოელმა მოგზაურებმა თბილისს?**

ა) სახლი სიყვარულისა

ბ) სახლი სილამაზისა

გ) სახლი სიხარულისა

დ) სახლი სინანულისა

5. **სად მიაბარეს ასიკო ცაგარელი თავდაპირველად მშობლებმა?**

ა) ეკლესიაში

ბ) სამხატვრო აკადემიაში

გ) სასულიერო აკადემიაში

დ) კონსერვატორიაში

6. **როგორ იხსენიებდა ასიკო ცაგარლის პიესა „ხანუმას" დაცინვით?**

ა) ჭორების კრებული

ბ) ზღაპრების კრებული

გ) ლექსების კრებული

დ) ანეკდოტების კრებული

7. **გადმოეცი შენი სიტყვებით, ფილმის მიხედვით XIX საუკუნის თბილისში რა ყოფილა მოდაში? რაში გამოიხატებოდა მოდის აყოლა?**

---------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------

8. **ვერდის ოპერა „ტრავიატას" ყერმონის არია რომელი ქართველი პოეტის ლექსით ამღერეს ქართველებმა?**

ა) აკაკი წერეთლის

ბ) ვაჟა-ფშაველას

გ) ილია ჭავჭავაძის

დ) ნიკოლოზ ბარათაშვილის

9. **როგორ გესმით შემდეგი ფრაზები?**

ა) იალღიში მოუვიდა ---------------------------

ბ) მოსწრებული ენა ჰქონდა ---------------------------

10. **რატომ ეძახდა ასიკო ცაგარელი ცოლს ხანუმას?**

---------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------

11. **საბჭოთა კავშირის რამდენ თეატრში დაიდგა პიესა „ხანუმა"?**

ა) 50

ბ) 20

გ) 60

დ) 90

12. **დაასრულეთ ფრაზა, რომელიც ქართველების შესახებ გავრცელებულ სტერეოტიპს გამოხატავს:**

ქართველები ცხოვრებაშიც ისე იქცევიან ---------------------------

---------------------------------------------------------------



13. **რა პოზიცია ჰქონდა იოსებ სტალინს ფილმებისა და გმირების შესახებ? რამდენად ერეოდა იგი კინოსტუდიის საქმეებში?**

---------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------

14. **რა ყოფილა რეჟისორ ვახტანგ ტაბლიაშვილის ოცნება?**

---------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------

15. **გადმოეცით თქვენი სიტყვებით, როგორი ჟანრის უნდა ყოფილიყო და რა უნდა ასახულიყო ფილმში „ქეთო და კოტე?"**

---------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------

16. **რომელმა ქართველმა კინოვარსკვლავმა სთხოვა რეჟისორს ფილმში ეპიზოდური როლი?**

ა) კირა ანდრონიკაშვილმა

ბ) მედეა ჯაფარიძემ

გ) ნატო გაბუნიამ
დ) ნატო ვაჩნაძემ

**17. როგორ მოიქცა ფილმის რეჟისორი ვახტანგ ტაბლიაშვილი, როცა მიხვდა, რომ მისი ფილმი შესაძლოა განადგურებულიყო?**

____________________________________________

____________________________________________

**18. დაალაგეთ ფილმში გადმოცემული ფაქტები თანამიმდევრობით:**

ტაბლიაშვილის კინოსტუდიაში დაბარება, პიესა „ხანუმას" შექმნა, ტაბლიაშვილის შეხვედრა კანდიდ ჩარკვიანთან, ფილმის ორ ენაზე გადაღება

ა) ________________________________________
ბ) ________________________________________
გ) ________________________________________
დ) ________________________________________

**19. ამ ფილმის ისტორიის მაგალითზე, როგორ შეიძლება ვიმსჯელოთ ფილმის ბედზე?**

____________________________________________

____________________________________________

**20. თქვენი აზრით, რა ღირებულება აქვს ამ ფილმს ქართული კინემატოგრაფიისათვის?**

____________________________________________

____________________________________________

## 4.5

**საშინაო დავალება:**

*მოიძიეთ ინტერნეტში რეჟისორ ვახტანგ ტაბლიაშვილის ქართული მხატვრული ფილმი „ქეთო და კოტე" და დაწერეთ ესე იმის შესახებ, თუ რატომ იქცა ეს ფილმი მოვლენად ქართულ კინემატოგრაფიაში.*



## 5.1

# გრძელი ნათელი დღეები

### გამოშვების წელი: 2013

### რეჟისორები: ნანა ექვთიმიშვილი და სიმონ გროსი

ფილმი 90-იანი წლების საქართველოს ყოველდღიურობას ასახავს. იგი მოგვითხრობს ისტორიას ორი თოთხმეტი წლის გოგონას მეგობრობის შესახებ, რომლებიც 90-იანი წლების პატრიარქალურ საქართველოში – თბილისში ცხოვრობენ. ფილმში ასახულია ეკას და ნათიას ყოველდღიური ყოფა ქუჩასა თუ სკოლაში, ურთიერთობა ეკას უფროს დასთან, მეგობრებთან, საზოგადოებაში, სადაც მამაკაცი დომინირებს და სხვ. გოგონები ისეთი პრობლემების წინაშე დგებიან, როგორებიცაა ადრეული ქორწინება და შურისძიება. ამ დროს ქვეყანაში ომია, დედაქალაქში ძალადობა და განუკითხაობა სუფევს. ფილმში მთავარ როლებს ლიკა ბაბლუანი და მარიამ ბოკერია ასრულებენ. კინოსურათის პრემიერა ბერლინის 63-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა და ის საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის კატეგორიაში „ოსკარზე" იყო წარდგენილი, თუმცა ნომინაცია ვერ მიიღო.

ფილმის შესახებ თავად რეჟისორი ნანა ექვთიმიშვილი ამბობს: „ფილმში მთავარი არა გამოსახულება, არამედ ინტუიციურად დანახული და აღბეჭდილი სამყაროა – კამერა, რომელიც, პირველ რიგში, მსახიობს, ფილმის გმირს გრძნობს კარგად.

სწორედ ასეთია „გრძელი ნათელი დღეები" – ემოციური და ისტორიული... მისი ყურებისას შთაბეჭდილება იქმნება, რომ 90–იანი წლების ერთ ნამდვილად რეალურ ისტორიას უყურებთ".

## 5.2

## ბლოგი: კინოკულტურა, 2013 წელი

### ავტორი: ეკა ელოშვილი

მე 90–იანელი ვარ. შენც, შენც, შენც, შენც და შენც. თუ პურის რიგში არ მდგარხარ და კერასინკის ჭვარტლით არ გაშავებულხარ, რაა მამული?!

ჩემი, ჩვენი მამულის 90–იანებმა რომ უშრეტი, ამოუწურავი თემა დაუტოვა ქართულ კულტურასა და ხელოვნებას, ჩვენთვის უკვე ეჭვგარეშეა. თუმცა, საიდან დაინახავ და საიდან დაანახებ ამ ყველაფერს, ამაშია საქმე. ბევრისა ვერ დავინახე, მიუხედავად იმისა, რომ ეცადნენ, მაგრამ ის, რაც გუშინ ვნახე და ვიგრძენი, ჩემი დაბრუნება იყო და მთელი ღამე იქ დავბორიალობდი – ბორდოსფერი მანტო მეცვა (დიდი რომ მქონდა) და სითბოსთვის ბებიაჩემმა შიგნით რაღაც რომ გამოაკერა; ცისფერი ჩექმა – შესაკრავი რომ გაუფუჭდა და სამი დღე რომ ვიტირე. მერე, დედაჩემმა სკრეპი მოაბა და მრცხვენოდა, იმ ფეხს შიგნით ვდგამდი. თერთმეტის ნახევარზე შუქი მოდიოდა, მაგრამ ხშირად უბნის ალფრთოვანებული აააააააააა მომენტალურად ოოოოოო – თი იცვლებოდა. ლამპის შუშას ქაღალდი ჰქონდა ჩამოცმული – თვალები არ მტკენოდა 😀 და სკოლაში თითო ნაჭერი შეშა მოგვქონდა. სკოლის პედაგოგ ქალთა უმრავლესობა მდედრულად ზვიადისტი იყო. გარჩევები სამასწავლებლოში. წლები გადიოდა და საღამოს 6 საათის შემდეგ, გარეთ რა ხდებოდა, არ ვიცოდი. ჩემი სკოლელი მოიტაცეს და დააბრუნეს. მეორეც მოიტაცეს და ის დარჩა. მოტაცებები კლასიკა იყო. ამის გარეშე, სიტუაცია – ნოლი! მახსოვს, ერთხელ ტელევიზიით კადრებიც გავიდა, როგორ ჩატენეს ნოლშესტში გაჩერებაზე მდგომი გოგოშკა და ჰერიიი... ჩემი უფროსი დეიდაშვილები ფეხებს მაბრეცინებდნენ, მოდაშიაო და დედაჩემი მკლავდა 😀

„გრძელი ნათელი დღეები" ვნახე გუშინ. კიდევ უნდა ვნახო. თუ რამე დამეჯერება, ასეთი ნამდვილი, არანაყალბევი ქართული „90-იანური" ფილმი მე არ მინახავს. ჩვენზეა ფილმიც. სკოლის მერე, ვინმესთან შეყრილი სავოგოეთი, პიანინოს გრიალი და მრავალხმაში სიმღერა, მოფრიალებული ფანჯრები. უზნის საეჭვო, ძალიან საეჭვო და „ისე რა" ტიპები. გაღიზიანებული მშობლები, ცისფერი კაფელი, სიშავეშეპარული პარკეტი. ურთიერთობები, რომლებიც აღარ გვაქვს, დაბღვერილი მოზარდები, უხასიათობა, საოცარი გასართობები.

საოცარი, მართლა საოცარი ქორწილის სცენები და ცეკვა. ფანტასტიკურად მუშაობს კამერა, საოცრად! ცეკვის ეპიზოდმა მთლიანად შიგნით შემითრია და შალახოს ტაშტაშ-ტაშს ამაყოლა. და აესე, მარტივად – არ გინდა ფილმი დამთავრდეს.

და ფილმის ერთ-ერთი მთავარი გმირი – ეკა (ლიკა ბაბლუანი) – საოცარი ბავშვი, ხარივით დიდი და ულამაზესი თვალებით, პატიმარი მამით, „დიდი გოგო" დითა და ყველაფრით დაღლილი დედით. გოგო, რომელმაც მთელ სამყაროს აპატია არსებობა. აპატია საკუთარ თავს, პურის რიგის გავეშებულ ბრბოს, უზნელ ბიჭბუჭობას, მამას, საუკეთესო მეგობარს და დამპალ ქვეყანას. ჩვენსავით უხასიათო, მაგრამ ძლიერი, იმიტომ, რომ სხვანაირად არ შეიძლებოდა.

მე 90-იანელი ვარ. ახლა, წვიმაში აღარ დავრბივარ, სკოლიდან აღარ ვიპარები, გაკვეთილზე არ ვმაიმუნობ, შეშის ფეჩის შუქზე აღარ ვკითხულობ. აღარც შეყვარებულთან ერთად დავიპარები ტალახიან ქუჩებში და მერე დედაჩემს აღარ ვატყუებ. „ბუხანკა" პურის „გარბუშკაც" წლებია არ გამიღრღნია. სკოლის მერე აღარ დავეხეტები უმიზნოდ.

ჰოდა, თუ რამე დამეჯერება, წადით და ეს ფილმი ნახეთ. ჩვენ 90-იანელები ვართ!

კინოება



## ფილმის ჩვენება

## 5.3

**სადისკუსიო საკითხები მსჯელობისათვის:**

- *ადრეული ქორწინება*
- *„ქალის მოტაცება"*
- *90-იანი წლების გაჭირვება და სოლიდარობა*

## 5.4

### შეამოწმეთ, როგორ გაიგეთ ფილმი ტესტით №5

**1. ვინ არიან ერთმანეთისათვის ფილმის გმირები ეკა და ნათია?**

ა) დები
ბ) დედა-შვილი
გ) მეგობრები
დ) უცნობები

**2. რისთვის დგანან რიგში ეკა და ნათია?**

ა) კარაქისათვის
ბ) პურისათვის
გ) შაქრისათვის
დ) ბილეთებისათვის

**3. რა გატყდება ნათიას მშობლების ჩხუბის დროს სახლში?**

ა) ღვინის ბოცა
ბ) ტელევიზორი
გ) ჩინური ლარნაკი
დ) სკამი

**4. რის გამო დაუწერა მასწავლებელმა ნათიას ორიანი?**

ა) გაკვეთილი არ იცოდა
ბ) დავალების დაწერა დაავიწყდა
გ) კლასელს თავში ჩაარტყა
დ) კლასელს ჩანთა გადაუგდო

**5. რატომ ჩაიშალა სკოლაში გაკვეთილი?**

ა) ნათიას გაუწიეს სოლიდარობა
ბ) მასწავლებელი არ გამოცხადდა

გ) თოვლი მოვიდა

დ) დენი წავიდა

**6. რა აჩუქა ლადომ ნათიას?**

ა) ყვავილები

ბ) შოკოლადი

გ) სათამაშო

დ) იარაღი

**7. გადმოეცით თქვენი სიტყვებით ნათიას და ეკას დიალოგი ლადოს საჩუქარზე:**

ნათია ------------------------------------------------

------------------------------------------------------

ეკა --------------------------------------------------

------------------------------------------------------

**8. დაალაგეთ ფილმში განვითარებული მოვლენები თანამიმდევრობით:**

*ნათიას მოტაცება, ლადოს მკვლელობა, ეკას ცეკვა, ეკას ვიზიტი მამასთან, იარაღის გადაგდება*

ა) -----------------    დ) -----------------

ბ) -----------------    ე) -----------------

გ) -----------------

**9. როგორ გათხოვდა ნათია?**

ა) ნიშნობით

ბ) მშობლებმა გადაწყვიტეს

გ) სიყვარულით

დ) მოიტაცეს

**10. რატომ აგინებს და ეჩხუბება ეკა პურის რიგში მდგომ ხალხს?**

------------------------------------------------------

------------------------------------------------------

------------------------------------------------------

11. აღწერეთ თქვენი სიტყვებით ქორწილის სცენები ფილმში. რამდენად რეალისტურია და თუ შეგიძლიათ, შეადარეთ თქვენ მიერ ნანახ ქორწილს:

_______________________________________________

_______________________________________________

_______________________________________________

_______________________________________________

12. შეადარეთ ერთმანეთს ნათია და ეკა, რითი გვანან და განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან?

| ორივე | ნათია | ეკა |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |



13. რატომ ვერ უხდის დაბადების დღეს ნათიას ქმრის ოჯახი?

ა) არაფრად აგდებენ

ბ) ქორწილის ვალები აქვთ

გ) ქალაქიდან გადიან

დ) ნაჩხუბრები არიან

14. რა სიტყვებით აღწერდით ფილმში წარმოდგენილ სკოლის გაკვეთილს? (იმსჯელეთ მასწავლებლისა და მოსწავლეების ურთიერთობაზე):

_______________________________________________

_______________________________________________

15. თქვენი აზრით, რა როლი აქვს ფილმში იარაღს?

_______________________________________________

_______________________________________________

**16. დაასრულეთ წინადადებები:**

ა) გოგო, სად ხარ ამდენი დაგვხოცე -----------

ბ) მე მგონი მაგაში უკეთესი ნიშანი -----------

გ) ახლავე დაიკავე შენი -----------

დ) საჩუქარი ჯერ ვერ -----------

**17. როგორ გესმით ჟარგონები?**

ა) „რას ბლატაობ"?

ბ) „მგონი ეკასები"

გ) „დაიკიდე"

დ) „შენ ვერა ხარ"

**18. ვის სანახავად მიდის ფილმის დასასრულს ეკა და რატომ არის ეს ფილმის უკანასკნელი სცენა?**

---------------------------------------------

---------------------------------------------

კინოება

**19. თქვენი წარმოდგენით გააგრძელეთ ეკასა და ნათიას ის-ტორია. აღწერეთ სცენა 20 წლის შემდეგ:**

---------------------------------------------

---------------------------------------------

**20. რა პრობლემატური საკითხებია ფილმში დასმული?**

---------------------------------------------

---------------------------------------------

## 5.5

**საშინაო დავალება:**

*მოიძიეთ ინტერნეტში რეჟისორ ლეილა გორდელაძის მხატვრუ-ლი ფილმი „მოიტაცეს თამარ ქალი" და დაწერეთ ესე: „ქალი და სამოგადოება".*




## 6.1

# ქვევრი

**გამოშვების წელი: 1970**

**დამდგმელი რეჟისორი: ირაკლი კვირიკაძე**

„ქვევრი“ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული კინოსურათია, რომელიც ლუიჯი პირანდელოს მოთხრობის მიხედვით შეიქმნა. ფილმის ძირითადი სიუჟეტი შემდეგია: გოგია – კახელი გლეხი, რომელმაც მომჭირნეობის გამო, ქვევრს იმერეთში ყიდულობს. წვალებით ჩამოტანილი ქვევრი მის ქალიშვილს შემთხვევით გაუტყდება, რის შემდეგაც გოგია ქვევრის დასაწებებლად ხელოსან აზესალომს მოიყვანს. აზესალომი ქვევრს დააწებებს, მაგრამ თვითონ ქვევრში გაიჭედება. სწორედ ამ მოქმედების შემდეგ იწყება ფილმის ყველაზე საინტერესო ნაწილი. უამრავი ადამიანის მცდელობის მიუხედავად აზესალომის ქვევრიდან გამოყვანა ვერ ხერხდება და ქვევრს მაინც გატეხენ. ფილმი შეიძლება მოვიაზროთ ქართული კინოს ერთ-ერთ საინტერესო კომიკურ კინოსურათად, რომელშიც მაყურებელი აკვირდება როგორც გლეხების ცხოვრებასა და ერთმანეთთან დამოკიდებულებებს, ასევე მათ საოცარ იუმორს.

## 6.2

## სტატია ინტერნეტჟურნალიდან “GeoNews.ge”, 2013 წელი ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ტრადიცია იუნესკოს არამატერიალური კულტურული ძეგლების სიაში შეიტანეს

ბაქოში, იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მთავრობათაშორისი კომიტეტის მე-8 სესიაზე ქვევრის ღვინის დაყენების უძველეს ქართულ ტრადიციულ მეთოდს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა, რომელიც ხელს შეუწყობს ზოგადად ქართული ღვინის პოპულარიზაციას საერთაშორისო ბაზარზე.

იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მთავრობათაშორისი კომიტეტის მე-8 სესიას, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ გურამ ოდიშარიას ხელმძღვანელობით საქართველოს დელეგაცია დაესწრო.

ქვევრის ღვინის ტრადიციული დაყენების მეთოდის ნომინაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის, რადგანაც ეს პირველი ქართული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, რომელიც იუნესკომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის ამოქმედების შემდეგ დაამტკიცა.

ეს ახალი ნომინაცია აამაღლებს საქართველოს, როგორც უძველესი კულტურის მქონე ქვეყნის, ცნობადობას საერთაშორისო მასშტაბით, რომელმაც არა მხოლოდ შემოინახა ქვევრის ღვინის დაყენების 8000–წლიანი ისტორია, არამედ დღესაც აცოცხლებს მას ქართული სტუმართმოყვარეობის, ადამიანთა ურთიერთობისა და მათი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენების აღმნიშვნელი ტრადიციებით.

2011 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, ქვევრის ღვინის დაყენების ქართულ მეთოდს უმაღლესი ეროვნული ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

2012 წლიდან კულტურის სამინისტროს მიერ შექმნილია მრავალდისციპლინარული სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მოამზადა იუნესკოს ნომინაციაზე წარსადგენი დოკუმენტაცია. იუნესკოს მოთხოვნით მომზადდა ქვევრის ღვინის დაყენების ამსახველი 10–წუთიანი დოკუმენტური ფილმიც (რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი).

ქართული მხარის მიერ უკვე შემუშავებულია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის[1] შესახებ კანონის პროექტი, რომელიც მომავალში პარლამენტს წარედგინება განსახილველად.



## ფილმის ჩვენება

## 6.3

**სადისკუსიო საკითხები მსჯელობისათვის:**

- *ღვინის კულტურა საქართველოში*
- *ღვინის დაყენების ტრადიციები*
- *სმის კულტურა და ალკოჰოლიზმი*

## 6.4

ქვევრი

**შეამოწმეთ, როგორ გაიგეთ ფილმი ტესტით №6**

**1. სად შეიძინა გოგიამ ქვევრი?**

ა) სამეგრელოში
ბ) გურიაში
გ) იმერეთში
დ) აფხაზეთში

**2. რამდენი მანეთი გადაიხადა გოგიამ ქვევრში**

ა) 200
ბ) 300
გ) 220
დ) 320

---

1 არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია იუნესკომ 2003 წელს მიიღო. არამატერიალური საგანძურის სიაში შედის: ხალხში გავრცელებული ზეპირი გადმოცემები, ტრადიციული მუსიკა, ცეკვა, ინსტრუმენტები, საგნები, არტეფაქტები, რიტუალები, ფესტივალები, ხალხური რეწვა, ადათ-ჩვევები, კულტურული სივრცეები და სხვ.

3. **რის გამო მიმართეს გოგიამ და მარომ აბესალომს?**

ა) ქვევრის დაზიანების გამო

ბ) ქვევრის საყიდლად

გ) ქვევრის გასაყიდად

დ) ქვევრის გასატეხად

4. **ვინ არის აბესალომი?**

ა) პოლიციელი

ბ) ხელოსანი

გ) ინჟინერი

დ) არა აქვს პროფესია

5. **რას ფიქრობს გოგია აბესალომზე?**

ა) რომ იგი კარგი მეღვინეა

ბ) ოქროს ხელები აქვს

გ) უტვინოა

დ) აფერისტია



6. **ვინ არის ამ ფრაზის ავტორი: „ბავშვობიდან აქა ვზივარ!"?**

ა) მარო

ბ) გოგია

გ) აბესალომი

დ) პავლე

7. **რა იდეა მიაწოდა მილიციის უფროსმა აბესალომს?**

ა) ქვევრი გაეხვრიტათ

ბ) გაეხადა და ფეხებით წამოსულიყო

გ) თავით წამოსულიყო

დ) მისი თანამშრომლის რჩევა გაეთვალისწინებინა

8. **რისი იურიდიული უფლება არ აქვს გოგიას?**

ა) ქვევრის გატეხვისა

ბ) კაცის პატიმრობაში ყოლისა

გ) კაცის დაშინებისა

დ) არაფრის

**9. როგორ განმარტავდით სიტყვებს?**

ა) რთველი ----------------------------------------

ბ) ქვევრი ----------------------------------------

გ) პურის ჭამა ------------------------------------

**10. განმარტეთ ფილმში გამოთქმული ფრაზები:**

ა) ამ ქვევრის ჯავრიც მოვიშორე -------------------

ბ) კარგად გივაჭრია ------------------------------

გ) აქა ეგეთ ქვევრებს დანასისხლად აფასებენ
-----------------------------------------------

დ) ზარაქა გოგი ----------------------------------

ე) რა ხათაბალაში ჩავვარდი -----------------------

**11. დაალაგეთ ფილმში განვითარებული მოვლენები თანმიმდევრობით:**

აზესალომის სტუმრობა, ქვევრის ჩამოტანა, მილიციის გამოძახება, ყურძნის დაწურვა

ა) ---------------------------------------------

ბ) ---------------------------------------------

გ) ---------------------------------------------

დ) ---------------------------------------------

**12. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები შემდეგი სიტყვებით:**
საპონი, ფული, შემთხვევა, გადავწყვეტ, შვილი.

ა) რა ოხრად და თავში სახლეულად მინდა ეგ შენი ----

ბ) ეგეთი --------------- ჩემ პრაქტიკაში ამ მქონია. ამას მარტო მე ვერ ---------------

გ) ჩემი გოგია მალაზიაში წავიდა ---------------- უნდა იყიდოს, ეგებ როგორმე გამოვაძვრინოთ

დ) ცოლი მე არა მყავს და --------------- ვიჯდები აქ, თუ არ გამომიშვებს

**13. გადმოეცით თქვენი სიტყვებით მილიციელისა და გოგიას დიალოგი:**

მილიციელი ------------------------------------

-----------------------------------------------

გოგია ------------------------------------------

-----------------------------------------------------

14. ფილმის რომელი პერსონაჟი იყო თქვენთვის ყველაზე დასამახსოვრებელი და რატომ?

-----------------------------------------------------

-----------------------------------------------------

-----------------------------------------------------

15. ფილმში გამოთქმული ვერსიებიდან, თუ როგორ უნდა გამოსულიყო აბესალომი ქვევრიდან, რომელი მიგაჩნიათ ყველაზე აბსურდულად?

-----------------------------------------------------

-----------------------------------------------------

-----------------------------------------------------

კინოენა

16. ჩამოთვალეთ მიზეზები, რის გამოც გოგია ბრაზობდა?

| |
|---|
| |
| |
| |
| |
| |

17. თქვენი აზრით, რა იყო ამ გაუგებრობის მიზეზი?

-----------------------------------------------------

-----------------------------------------------------

-----------------------------------------------------

-----------------------------------------------------

18. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ ჟურნალისტი, სტუმრად კახეთში და ასეთი ფაქტის შემსწრე გახდით; როგორ გადმო–

**სცემდით ამ ამბავს გაზეთის ფურცლებზე (გამოიყენეთ სიტყვები: *ყურძენი, ქვევრი, ხელოსანი, რთველი, 200 მანეთი, წერო*)?**



**19. რატომ ვერ შეძლეს ფილმის გმირებმა ერთობლივი გამოსავლის მოძებნა?**

**20. როგორ გააგრძელებდით ფილმს?**

## 6.5

**საშინაო დავალება:**

*მოიძიეთ ინტერნეტში რეჟისორ მერაბ კოკოჩაშვილის დოკუმენტური ფილმი „ღვინის გზა" და დაწერეთ ესე: „ღვინის სმის კულტურა საქართველოში".*



## 7.1

## ოთარაანთ ქვრივი

### გამოშვების წელი: 1957

### დამდგმელი რეჟისორი: მიხეილ ჭიაურელი

ფილმი „ოთარაანთ ქვრივი” გადაღებულია ილია ჭავჭავაძის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით. ფილმი მაჩხუბარა და მკაცრი ქალის, ოთარაანთ ქვრივის ისტორიას მოგვითხრობს, რომელიც რეალურად კარგი ადამიანია და გარშემომყოფებზე უშურველად ზრუნავს. კინოფილმის ძირითადი სიუჟეტი შემდეგია: ოთარაანთ ქვრივის ერთადერთი ვაჟი გიორგი ყოფილი ბატონის სახლში მოჯამაგირედ დადგომას გადაწყვეტს. თავმოყვარე ქვრივს დარდი მოსვენებას არ აძლევს, ხვდება, რომ მის შვილს თავადის ქალი კესო შეუყვარდა. გიორგი სიხარულით ემსახურება თავადის ასულს, მის ეზოს ასუფთავებს, თუმცა თავისი სიყვარულის შესახებ ვერაფრით მიახვედრებს. მოგვიანებით გიორგი თივის ზვინიდან გადმოვარდება და სასიკვდილოდ დაშავდება...

## 7.2

## ამონარიდი ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან „ოთარაანთ ქვრივი”

– წაყ... – წამოიხრიალა გიორგიმ და ვერ დაასრულა სიტყვა.

– წყალი, წყალი! – დაიძახა რამდენიმე ხმამ ერთად.

დემეტრემ უოჩია, ღვინო მიაწოდეთ, ცოტად მოაღონიერებსო.

– შვილო, დედის-ერთავ, მამის ობოლო! ერთი ხმა გამე, ერთი კიდევ მომხედე!.. – შეჰკვნესა დედამ და ტუჩებთან მიუ-ტანა პატარა თასით ღვინო.

გიორგიმ ორიოდე წვეთი ჩაჰყლაპა და თითქოს მოსულიერ-და, თვალი ხელახლა გაახილა, წყნარად მიატარ-მოატარა და უეცრად გაუშტერდა.

დედამ შვილის თვალის გასწვრივ გაჰხედა და დაინახა მტი-რალი კესო...

– დედი! ჰხედავ... ამ... ანგელოზს!.. – ძლივძლივობით გამოსთქვა გიორგიმ, ისევ კესოზე თვალგაჩერებულმა.

– ვხედავ, შვილო!..

– დედი!.. ღვინო...

დედამ კიდევ დაალევინა ღვინო.

– ეგ იყო ჩემი ბედისწერა... არა ვნანობ, არა! – კვლავ მიუბრუნდა გიორგი განწყვეტილ სიტყვას.

არჩილმა გაოცებით შეჰხედა კესოს. კესოსაც ელოდა ეცა, გა-ფითრდა, გაშრა, გაშტერდა. დედას კი თითქოს არ ეუცხოვა ეს ამბავი.

არც არჩილმა, არც კესომ, არავინ, არავინ არ გაჰბედა ამისთანა მწუხარე დროს ხმა ამოეღო. ყველა სმენად გადიქცა.

– აი, ნეტავი ერთი შენს კალთას მაინც მამთხვევინა და ისე მომკლა!.. – ინატრა გიორგიმ და იმისმა თვალმა, კესოზედ მიქ-ცეულმა, უფრო სთქვა ხვეწნა და ვედრება, ვიდრე ენამ და ხმამ.

კესო ტირილით მივარდა და თვალ-ცრემლიანმა შუბლზე აკოცა გიორგის... თავი რომ აიღო, ცრემლი მოსწყდა და მომაკ-ვდავს გულზე დაეცა. ამ პატარა უეცარმა ცრემლმა ერთიანად შესძრა გიორგი და შეაჟრჟოლა. ეს ცრემლი თითქო უკვდავების წყაროდ ეპკურა, იამა, გაუხარდა, მოსულიერდა, თითქოს მიმა-ვალი სიცოცხლე უკანვე დაუბრუნდაო.

ამისთანა დროს სიხარული, ბედნიერება, იგივ სიცოცხლეა, მხოლოდ ხანმოკლე და შეურჩენელი.

– ხედავ, დედი!.. ცოცხალი მაგის ღიმილს ვერ ვეღირსე, ვკვდები და მაგისი ცრემლი ზედ დამდის. ესეც მეყოფა თან

წასატან ლოხენად... არა ვნანობ, არა!.. მივდივარ და თან მიმაქვს ამის ცრემლით განედლებული სიხარული. იქ ვახეირებ, იქ... ნუ იწუხებ, დედი!.. შენგან გამიგონია, რასაც არა ეშველება-რა, კაცი არ უნდა აეთრევინოსო!.. არჩილო, ნუ მიწყენ, ნუ!.. ნურც შენ, ნურც შენ!.. განა არ ვიცოდი, – მე ვინ და შენ ვინ!.. სად მოგ-წვდებოდი ცაში ვარსკვლავს... გული გწვდებოდა, გული, ხელი კი ვეღარ... ხატსავით გლოცულობდი, მზესავით დამნათოდი... არც კი იცოდი, – ვის ათბობ, ვის ალხენ, ვის აცოცხლებ!.. სანამ ცოცხალი ვიყავი, ვერ გამოგიტყდი, მრცხვენოდა... მერიდებოდა... მეშინოდა... ვკვდები და გეუბნები... მკვდარს რაღა მომეკითხება? მკვდარი ყველა თანაბარია!..

თავი უღონოდ მოსწყდა ბალიშზე, თვალი ისევ მიელულა, სულმა ბრძოლა დაუწყო და მარტო ხელსღა აფათურებდა უძლურად, თითქო ვიღასაც ეძებს და იმისი პოვნა უნდაო.

პატარა ხანი კიდევ და გიორგი აღარ იყო.



## *ფილმის ჩვენება*

## 7.3

**სადისკუსიო საკითხები მსჯელობისათვის:**

- *სოციალური უთანასწორობა*
- *მადლიერება და მოწყალება*
- *ქალი, დედა და მოქალაქე*

## 7.4

**შეამოწმეთ, თუ როგორ გაიგეთ ფილმი ტესტით №7**

**1. ვინ არიან ერთმანეთისათვის კესო და არჩილი?**

ა) მამა-შვილი

ბ) შეყვარებულები

გ) და-ძმა
დ) მეგობრები

**2. რას აკეთებდნენ ოთარაანთ ქვრივი და მისი ვაჟი, როდესაც კესო შვილას ითხოვდა?**

ა) ეზოში ქათმებს აჭმევდნენ
ბ) მინდორში თივას აგროვებდნენ
გ) სადილობდნენ
დ) ბაზარში იყვნენ

**3. რას ეუბნება ოთარაანთ ქვრივი მათხოვარს მადლობის შესახებ?**

ა) მადლობის თქმა აუცილებელიაო
ბ) მადლობა მუქთაა, თორემ მაგასაც ვერ იშოვიდი გარჯით საშოვნელი რომ ყოფილიყოო
გ) არაა აუცილებელი მადლობის თქმაო
დ) მისთვის სულ ერთია, მადლობას ეტყვის თუ არა

**4. სად იპოვა სამართალი ოთარაანთ ქვრივმა ქათმების ქურდობასთან დაკავშირებით?**

ა) სოფლის გამგებელთან
ბ) მეზობლებთან
გ) სასამართლოში
დ) გუბერნატორთან

**5. რის გამო ეჩხუბა გიორგი ჩაძინებულ მოჯამაგირეს?**

ა) კამეჩები რომ არ დაბანა
ბ) კამეჩები სიცხეში დაბმული რომ დატოვა
გ) კამეჩები რომ მიატოვა
დ) კამეჩებმა წყალი რომ დააბინძურა

**6. რა განაჩენი გამოუტანეს გიორგის სხვისი ბაღჩის მოჯამაგირის ცემისათვის სოფლის სასამართლოზე?**

ა) გაამართლეს
ბ) გაამტყუნეს
გ) გაფრთხილება მისცეს
დ) მოწმის არარსებობის გამო საქმე არ განიხილეს

7. **როგორ გესმით შემდეგი ფრაზები?**
   ა) რკინის ქალამნებს ჩავიცვამ ----------------------
   ბ) მე თქვენ ოინს გიზამთ ------------------------
   გ) ქალაჩუნები არიან --------------------------
   დ) გიორგი პირიანი ბიჭია -----------------------
   ე) არამია შენთვის ჯამაგირი ----------------------

8. **შეავსეთ გამოტოვებული ადგილები შემდეგი სიტყვებით:**
   კალთაში, ნაღველი, შვილებიც, ლოდი, მიმალავდეს
   ა) თუ გული შევარდნია ვინმეზედ რათ უნდა ---------
   ბ) მაგის ხნის ბიჭებს ------------- ჰყავს.
   გ) ოი, ნეტა მაგის შვილი კი გამიგორა ------------- და თუნდაც ცოცხალი დამმარხონ.
   დ) თუ გამტეხს ამის ------------- გამტეხავს.
   ე) არ გამენდო ჩემი გიორგი. დააწვა რაღაც ---------- გულზე

9. **რა ქნა ოთარაანთ ქვრივმა, როცა გაიგო, რომ მის შვილს მოჯამაგირედ დადგომა სურდა?**
   ა) არჩილს და კესოს სთხოვა მათ ეთქვათ უარი გიორგი-სთვის
   ბ) უთხრა, რომ წინააღმდეგია
   გ) არჩილს და კესოს სთხოვა მიეღოთ გიორგი მოჯამაგირედ
   დ) მიზეზი გამოჰკითხა

10. **რა შესთავაზეს არჩილმა და კესომ მათთან სტუმრად მისულ ოთარაანთ ქვრივს?**
   ა) ყავა
   ბ) ჩაი
   ბ) წვენი
   დ) წყალი

11. **ოთარაანთ ქვრივის აზრით, რა ალაპარაკებს ადამიანს ზო-გადად?**
   ა) ვარამი და ჭირი
   ბ) ლხინი და ქეიფი

გ) უსაქმურობა

დ) უსამართლობა

**12. რატომ მოუნდა გიორგის მოჯამაგირედ დადგომა არჩილისა და კესოსთან?**

------------------------------------------------------------

------------------------------------------------------------

**13. განმარტეთ შემდეგი სიტყვები:**

ა) ნამუსახდილი ------------------------------------

ბ) ოხერი ------------------------------------

გ) მოჯამაგირე ------------------------------------

დ) გადია ------------------------------------

**14. გადმოეცით თქვენი სიტყვებით, რას ფიქრობს ოთარაანთ ქვრივი, როდესაც გიორგი სახლიდან მიდის, რას გრძნობს და რაზე სტკივა გული მას?**

------------------------------------------------------------

------------------------------------------------------------

------------------------------------------------------------



**15. რა დაუწუნა გიორგიმ არჩილს?**

ა) ახლად გაშენებული ვაზი

ბ) გაშენებული ხეხილი

გ) ეზოს განლაგება

დ) გემოვნება

**16. რა მოუვიდა გიორგის კესოსთან პირისპირ შეხვედრის დროს? გადმოეცით თქვენი სიტყვებით მისი ფიზიკური და ემოციური მდგომარეობა.**

| ფიზიკური მდგომარეობა | ემოციური მდგომარეობა |
| --- | --- |
| | |

17. რას უნდა ნიშნავდეს ფილმში „ჩატეხილი ხიდი"? ვის და ვის შორისაა ჩატეხილი ხიდი? ვინ უნდა გაამთელოს ის?

18. რას არ ნანობდა გიორგი სიკვდილის წინ?

19. როგორ გესმით არჩილის კესოსადმი ნათქვამი სიტყვები?

*„გიორგი მთელი წიგნი იყო, ხიდვალმა დაწერილი. იგი წინ გადაგვეშალა და ვერ წავიკითხეთ. ნახევარი კაცნი ვართ და უკეთესი ნახევარი მოგვთლია".*



20. გიორგი ტრაგიკულად რომ არ დაღუპულიყო, როგორ დაასრულებდით ფილმს?

## 7.5

**საშინაო დავალება:**

*მოიძიეთ ინტერნეტში რეჟისორ თენგიზ აბულაძის მხატვრული ფილმი „სხვისი შვილები" და დაწერეთ ესე: „მშობლები"*



## 8.1

# ვერის უბნის მელოდიები

### გამოშვების წელი: 1974

### დამდგმელი რეჟისორი: გიორგი შენგელაია

„ვერის უბნის მელოდიები" პირველი ქართული მიუზიკლია, რომელიც 1973 წელს გადაიღეს. 1. ფილმმა 1977 სან-სებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალზე (ესპანეთი) ჟიურის სპეციალური პრიზი მიიღო.

კინოფილმი ძველი თბილისის ერთ-ერთი უბნის, ვერის, ცხოვრებას ასახავს. კინოსურათში ნაჩვენებია ადამიანთა ურთიერთობები, მათი ჩაცმის სტილი, თბილისური სახლები და საცხოვრებელი პირობები. ფილმი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მიუზიკლის – „ოლივერის", გავლენით შეიქმნა და გამოსვლის დღიდანვე დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ მიუზიკლის გამოსვლიდან უამრავი წელი გავიდა, ფილმი ქართველი მაყურებლის ერთ-ერთ საყვარელ და პოპულარულ სურათად რჩება. ფილმი ღარიბი ობოლი გოგონების ამბავს მოგვითხრობს, რომელთაც ცეკვის შესწავლა სურთ, მაგრამ უფულობის გამო ვერ ახერხებენ თავიანთი ოცნების ასრულებას და გოგონების გახარებას მრეცხავი ვარდო გადაწყვეტს. იგი გოგონებისთვის იქურდებს და მათ ე.წ. „ფანც კლასში" მოაწყობს.

ამის გამო ვარდო ციხეში მოხვდება, მოსახლეობა მის გასათავი-სუფლებლად ბუნტს მოაწყობს...

## 8.2

**2010 წელს ფილმ „ვერის უბნის მელოდიების" საფუძველზე დავით დოიაშვილმა სპექტაკლი „ვერის უბნის მელოდიები" დადგა. პარალელურად ფილმი დიდ ეკრანზე უჩვენეს, რომელიც მშვიდობის ხიდთან დამონტაჟდა. ამ თემასთან დაკავშირებით წაიკითხეთ გოგი გვახარიას სტატია (ამონარიდი):**

**რადიო თავისუფლება, 08.11.2010**

„წელს „თბილისობის" დღესასწაულის კულმინაცია დავით დოიაშვილის მიერ ღია ცის ქვეშ დადგმული სპექტაკლი „ვერის უბნის მელოდიები" იყო. „მშვიდობის ხიდთან" დამონტაჟდა ეკრანი, რომელზეც გიორგი შენგელაიას ფილმი უჩვენეს, სცენაზე „ვერის უბნის მელოდიები" ახალგაზრდა მსახიობებმა გაითამაშეს. ბუბა კიკაბიძეს, ია ნინიძეს, მაია კანკავას კი მაყურებლის როლი ერგოთ. რატომ დამკვიდრდა საქართველოში ტირაჟირების მოდა? რატომ აგრძელებს არსებობას ქართული კულტურა წარსულის ხატებზე? – ვიმსჯელოთ ამაზე.

რატომ შემოვიდა მოდაში რეტრო? რატომაა პოპულარული ქართულ კულტურაში 60-იანი და კიდევ მეტად 70-იანი წლები? ძნელი დასაჯერებელია, რომ რეტროზე მოდას ფორმის კრიზისი განსაზღვრავდეს. ის კრიზისი, რომელიც დაიწყო დასავლურ კულტურაში 70-იან წლებში, როცა, 68 წლის მოძრაობისა და ჰიპების ალტერნატიული კულტურის მარცხის შემდეგ, სიცარიელემ დაისადგურა. მოგვიანებით დასავლურმა ხელოვნებამ ეს კრიზისი დაძლია და 80-იან წლებში, ასე თუ ისე, მიაგნო ფორმას. მოდა „რეტროზე", მთელი თავისი „დიდი გემსბით", უკვე მოძველებულად ითვლებოდა. მოდასა და დიზაინშიც შეიმჩნეოდა გამოცოცხლება – კულტურას არ შეეძლო არსებობა წარსულით მაშინაც კი, როცა წარსულის მიმართ დისტანცია და ირონია ხაზგასმული იყო ხოლმე.

მაგრამ კრიზისი მხოლოდ ფორმას არ ეხება... არსებობს პოლიტიკური, სოციალური კრიზისები, რომელთაც თან ახლავს ასეთი განწყობა: „გუშინ უკეთესი იყო", „ეჰ, რა კარგი დრო იყო" და ა.შ. რუსეთში, ცოტა მოგვიანებით კი საქართველოშიც, ასეთი განწყობილება განსაკუთრებით იგრძნობოდა 90-იან წლებში; იმხანად სწორედ რუსულმა ტელევიზიამ დაიწყო პროექტი „ძველი სიმღერები მთავარზე" („სტარიე პესნი ო გლავნომ"), რომელიც იმდენად პოპულარული გახდა, რომ რამდენიმე წელი გაგრძელდა ერთ არხზე, შემდეგ კი სხვა ტელეარხებზე გადავიდა. ქართულმა ტელევიზიამ, რომელიც 90-იან წლებში მთლიანად იყო დამოკიდებული რუსულზე, მაშინვე მიბაძა მოსკოველ კოლეგებს და ასეთივე პროექტი, სხვადასხვა სათაურით, განახორციელა საახალწლო, საშობაო დღესასწაულებზე. პროექტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ნაწილი „ვერის უბნის მელოდიები" იყო – საშობაოდ, ოცდახუთსა დეკემბერსა, განსაკუთრებით ორგანულად ჟღერდა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ვარდების რევოლუცია მოხდა. კულტურული რევოლუცია, როგორც მოგეხსენებათ, არ მომხდარა – არც ჩინური და არც არანაირი რევოლუცია. კულტურა წარსულის ხატებზე არსებობს, ამიტომ ყოველ დიდ ღონისძიებაზე, რომელსაც, როგორც წესი, ხელისუფლება აფინანსებს, სწორედ წარსულის სახეებს ეთმობოდათ ბურთი და მოედანი. მასობრივი მუსიკალურ-თეატრალური ღონისძიებების დადგმით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ დავით დოიაშვილი და ნიკა მემანიშვილი. პოპულარული მელოდიების შესრულება – მოკრძალებულად, ფრთხილად, ასე ვთქვათ, „შეზღუდული ინტერპრეტაციით", სხვადასხვა დროს დადგმულ თეატრალურ-მუსიკალურ წარმოდგენებში, მეტ-ნაკლებად, ყოველთვის შეიმჩნეოდა.

ასეთივე სტილის ერთგული დარჩა დავით დოიაშვილი თავის ახალ ნამუშევარში „ვერის უბნის მელოდიები", რომელიც ჯერ ღია ცის ქვეშ დაიდგა „თბილისობაზე", შემდეგ კი მუსიკალურ ცენტრში გადაინაცვლა.

როგორც გაირკვა, „ვერის უბნის მელოდიების" აღდგენა სცენაზე, ღია ცის ქვეშ, თავდაპირველად გიორგი შენგელაიას შესთავაზეს, მაგრამ კინორეჟისორმა უარი განაცხადა, თუმცა დართო ნება დავით დოიაშვილს, დაედგა წარმოდგენა. რეპეტიციებს ესწრებოდა და პრესასთან საუბარში აზრიც გამოთქვა, აღნიშნა, რომ კმაყოფილია ამ დადგმით:

„კმაყოფილი ვარ – ვთქვი რამდენჯერმე ტელევიზიით, რომ მივესალმები ეგეთ ტირაჟირებას. ფილმი იყო, ეხლა სპექტაკლია, პირიქითაც ხდება ხოლმე. მგონი კარგ დონეზე მიდის", – აღნიშნა გიორგი შენგელაიამ.

მიაქციეთ ყურადღება? გიორგი შენგელაიამ თქვა, რომ მიესალმება არა ინტერპრეტაციას, არამედ „ტირაჟირებას". ამ სიტყვას, როგორც წესი, უარყოფით კონტექსტში იყენებენ ხოლმე, როცა ხელოვნების ნაწარმოებზეა ლაპარაკი. მაგრამ პოპულარული ქართული ფილმისთვის „ტირაჟირება" სწორედაც რომ არ შეიცავს ნეგატიურ აზრს – გრძელდება ქართულ კულტურაში ოდითგანვე დანერგილი ტენდენცია – უფროსი თაობა უმცროსისგან „განმეორებას" მოითხოვს... ისე ცხოვრებას, როგორც თავად სურს და იმის გაკეთებას, რაც თავად მოსწონს... თაობები იცვლებიან... და არავითარი ფორმის კრიზისით! რეტროს პოპულარობის საიდუმლოო ისაა, რომ ახალი თაობა ვერ ბედავს განახლებას. უფრო სწორად, შეიძლება ბედავს, მაგრამ კულტურულ ელიტაში დამკვიდრებულია მორჩილი და დამჯერი, მას უკვეთენ და მას აფინანსებენ.

სხვათა შორის, 1973 წელს გადაღებულ გიორგი შენგელაიას ფილმში, რომელიც, ცხადია, იმ დროს ძალზე პოპულარული მიუზიკლების, განსაკუთრებით „ოლივერის" გავლენით შეიქმნა, თაობათა ეს „ჰარმონიული კავშირი" განსაზღვრავდა მედროგე პავლესა და მისი ობოლი გოგონების ისტორიას. გულუბრყვილო ბავშვები, გულუბრყვილო მშობლები, ბავშვურ-ინფანტილური სამყარო, სადაც მღერიან და ცეკვავენ და სადაც სიკეთე იმარჯვებს ბოროტებაზე – 70-იანი წლების საბჭოთა საქართველოსთვის, რომლის სათავეში ედუარდ შევარდნაძე მოდის, ეს ზღაპრულობა

და სიმსუბუქე ორგანული იყო, ისევე, როგორც დოდო აბაშიძის გმირი და მონწოდება: „ნუ იქნება ოღონდ ბუნტი", რომელიც მას შემდეგ არაერთხელ აუტაციათ საქართველოში".



## *ფილმის ჩვენება*

## 8.3

**სადისკუსიო საკითხები მსჯელობისათვის:**

- *ქალაქური ცხოვრების წესი*
- *სოციალური უთანასწორობა*
- *ქალი, დედა და მოქალაქე*

## 8.4

**შეამოწმეთ, როგორ გაიგეთ ფილმი ტესტით №8**

1. **რამდენი შვილი ჰყავს პავლეს?**

   ა) ერთი
   ბ) სამი
   გ) ორი
   დ) არცერთი

2. **თქვენი სიტყვებით გადმოეცით სიმღერის ტექსტი, რომელსაც ფილმის დასაწყისში მღერიან მრეცხავები:**

------------------------------------------------

------------------------------------------------

------------------------------------------------

3. **რა იხსნება ვერის უბანში?**

   ა) სიმღერის კლასი
   ბ) „ტანც კლასი"

ვერის უბნის მელოდიები

გ) ცურვის კლასი
დ) ტანვარჯიშის კლასი

**4. დააკავშირეთ ერთმანეთთან:**

| | |
|---|---|
| ა) პავლე | ყასაბი |
| ბ) ვარდო | მდიდარი |
| გ) ალა გეორქა | მრეცხავი |
| დ) მიხაკა | მედროგე |

**5. რისთვის გამოაწყო ახალი კაბებში ვარდომ პავლეს გოგოები?**

ა) კონცერტისათვის
ბ) „ეგზამენისთვის"
გ) სკოლის ზეიმისათვის
დ) დღესასწაულისთვის

**6. რატომ ვერ მოხვდებიან პავლეს გოგოები „ტანცკლასში"?**

ა) დიდი ფული ღირს
ბ) ცუდად იცეკვეს
გ) ასაკის გამო
დ) მამა წინააღმდეგია



**7. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები შემდეგი სიტყვებით:**

საპონი, ბედი, პირველი, მამა, შეშა

ა) ვისაც სუფთად აცვია ის, --------------- კაცია.
ბ) --------------- საპნის ბუშტია
გ) ანა-ბანა, ანა-ბანა, ვის ჰყავს --------------- ჩვენი-სთანა.
დ) რაღაც ჩვენც მოვახერხოთ --------------- მაინც და-ვხერხოთ.
გ) რა საჭიროა წამალი, თუკი არსებობს -------------

**8. როგორ გესმით შემდეგი ფრაზები?**

ა) ერთი უთო აუთავებს ჯარისკაცს და გენერალს

---------------------------------------------

ბ) ვინც ბინძური სულისაა, ის არ გაირეცხება

---------------------------------------------

გ) არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი

-------------------------------------------

დ) რაც არ გერგება, არ შეგერგება

-------------------------------------------

**9. როგორ გესმით სიტყვები?**

ცბიერი -----------------------------------

ორპირი -----------------------------------

გამოგაწყოთ -----------------------------------

ეგზამენი -----------------------------------

ტანცკლასი -----------------------------------

ჩაასყუდე -----------------------------------

ქრთამი -----------------------------------

ბუნტი -----------------------------------

**10. ვის ეკუთვნის სიტყვები: „ეს ქვეყანა ულმერთოდ ყოფილა გაჩენილი"?**

ა) ვარდოს

ბ) პავლეს

გ) ალა გეორქას

დ) ჯიბოს

ე) გეორქ გეორქოვს

**11. დაალაგეთ ფილმში განვითარებული მოვლენები თანმიმდევრობით:**

მიხაკას ხმის დაკარგვა, ვარდოს მიერ ქურდობის ალიარება, ეგზამენი ტანცკლასში, პავლეს დაჭერა, მრეცხავების პროტესტი

ა) -----------------------------------

ბ) -----------------------------------

გ) -----------------------------------

დ) -----------------------------------

ე) -----------------------------------

**12. რა არის ცნობის ფურცელი?**

ა) გაზეთი

ბ) წარმოდგენა

გ) ბილეთი

დ) აფიშა

**13. რის გამო ჩასვამენ ციხეში პავლეს?**

---------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------

**14. რატომ ჩაიდინა ქურდობა ვარდომ?**

---------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------

**15. რა რჩევა მისცა პოლიციელებს გეორქ გეორქოვმა?**

კინოება

ა) ვარდო დაეკითხათ

ბ) დამნაშავე შეშის მჭრელებში ეპოვათ

გ) მიხაკას დუქანი დაეთვალიერებინათ

დ) მედროვე პავლეს სახლი გაეჩხრიკათ

**16. ვინ არის ვარდო პავლეს გოგოებისათვის?**

ა) დედა

ბ) ბებია

გ) მამიდა

დ) არავინ

**17. რას ეუბნება მედროვე პავლე პოლიციის უფროსს პასუხად, თუ როგორ მოიპარა ხბო, შეშა და ა.შ.?**

---------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------

18. რატომ ათავისუფლებენ მრეცხავ ვარდოს?

19. რა არის ფილმში ყველაზე მეტად დასამახსოვრებელი თქვენთვის?

20. გაიხსენეთ ამბავი რეალური ცხოვრებიდან, როდესაც ქურდობა კეთილ საქმეს ემსახურებოდა და როგორ დასრულდა იგი?



## 8.5

**საშინაო დავალება:**

*მოიძიეთ ინტერნეტში რეჟისორ დავით დოიაშვილის მიერ დადგმული მიუზიკლის სასცენო ვარიანტი და შეადარეთ ერთმანეთს.*



## 9.1

## მაგდანას ლურჯა

**გამოშვების წელი: 1955**

**დამდგმელი რეჟისორები: თენგიზ აბულაძე და რევაზ ჩხეიძე**

ფილმი „მაგდანას ლურჯა" ეკატერინე გაბაშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით შეიქმნა. ფილმმა 1966 წელს მნიშვნელოვანი პრიზი მიიღო. კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე (საფრანგეთი) „მაგდანას ლურჯა საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სტატუსის მფლობელი და პრიზიორი გახდა. ფილმის ძირითადი სიუჟეტი ასეთია:

ქვრივი მაგდანას შვილებმა – მიხომ და კატომ გზაზე მომაკვდავი სახედარი იპოვეს, კარგი მოვლით ფეხზე დააყენეს და „ლურჯა" შეარქვეს. ლურჯამ წვრილშვილიან ქვრივს შრომა შეუმსუბუქა. ამიერიდან მაგდანა მაწვნით სავსე ქილებს ქალაქში ლურჯას დახმარებით ეზიდებოდა. თუმცა ოჯახის სიხარული ხანმოკლე გამოდგა – ვაჭარმა მიტუამ თავისი მიტოვებული სახედრის უკან დაბრუნება მოინდომა, სასამართლო მოისყიდა და ქვრივის ოჯახს ლურჯა წაართვა.

## 9.2
## ეკატერინე გაბაშვილის ბიოგრაფია

ეკატერინე გაბაშვილი 1851 წლის 16 ივნისს, ქალაქ გორში დაიბადა. იგი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ქართული კრიტიკული რეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მან ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთმა პირველმა შემოიტანა პროზის მცირე ჟანრები – პატარა მოთხრობა, ნოველა, მინიატურა და სურათი. ეკატერინეს პირველი მოთხრობა იყო „გლეხკაცების აზრი სასოფლო შკოლაზედ", რომელიც 1870 წელს მაშინდელ ჟურნალ „დროებაში" გამოაქვეყნა. მისი ლიტერატურული შეხედულებები რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების და ქართველი „სამოციანელების", განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძის იდეური ზემოქმედებით ჩამოყალიბდა.

ეკატერინე გაბაშვილის პოპულარობას ხელი შეუწყო საბავშვო ჟანრის შემოქმედებამ. მოთხრობებში მას მრავალი აღმზრდელობითი ამოცანა აქვს დასმული და გადაჭრილი. გაბაშვილის მნიშვნელოვანი მოთხრობებია: „ოჯახის ბურჯი", „თინას ლეკური", „გამარჯვებული ნიკო", „მაგდანას ლურჯა", „ღვინია გადაიჩეხა", „თამარის ნუგეში", „მეურმის ფიქრები" და სხვ. 1952 წელს გამოიცა ეკ. გაბაშვილის 9 კრებული, საბავშვო მოთხრობები და ორტომეული, რომელშიც ავტორის სამოცამდე მოთხრობაა შეტანილი. ეკატერინე გაბაშვილს 11 შვილი ჰყავდა. მზრუნველი დედა პარალელურად მასწავლებლადაც ახერხებდა მუშაობას. მან გორში ქალთა პირველი სკოლა გახსნა.

ეკატერინე გაბაშვილი 1938 წლის 7 აგვისტოს კასპის რ-ნის სოფ. ახალქალაქში გარდაიცვალა. დასაფლავებული იყო ვაკის სასაფლაოზე, შემდეგ ნეშტი მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში გადაასვენეს.

**ნაწყვეტი სტატიიდან „ნათქვამი „უთქმელი ისტორიები", ავტორი: ნინო თარხნიშვილი. 08.03.2013. რადიო თავისუფლება.**
**(სტატია ფილმ „უთქმელი ისტორიების" შესახებ, რომელიც მე-19 – მე-20 საუკუნეებში მცხოვრები სამი ქალის ფემინისტურ მოღვაწეობას ეძღვნება).**

„ეკატერინეს 11 შვილი ჰყავდა და ის წერდა:

„მე იმ ვიწრო კედლებს შუა, რომლებსაც ოჯახის დიასახლისობას უძახიან და რომელიც შთანთქავს ხშირად დედაკაცის სულიერ არსებობას, პატარა ჭუჭრუტანა გავუკეთე და იქიდან მუდამ ყურს ვუგდებდი და თვალს ვადევნებდი ჩემი ქვეყნის საზოგადო ზრდასა და მსვლელობას". ეკატერინე გაბაშვილის ფემინიზმზე დუმან. დუმილია იმაზეც, რომ ის თავისუფალი სიყვარულის მომხრე იყო, ამბობს ნინო ხარჩილავა ფილმში და საკუთარ ბლოგპოსტში ჩანიშნულ ერთ ციტატას კითხულობს, რომელიც ეკატერინე გაბაშვილს ეკუთვნის:

„ადამიანი დაბადებულია იმისთვის, რომ ბედნიერი იყოს, ბედნიერი და სრულყოფილი ცხოვრება კი თავისუფალი სიყვარულის გარეშე არ არსებობს. სჯულად ქცეულ ტრადიციას, ცრურწმენებსა და კულტურულ ჩაკეტილობას ადამიანისთვის უბედურების გარდა არაფერი მოაქვს".

მხატვარ ლევან ჭოლოშვილის დედა, მზია ანდრონიკაშვილი, ეკატერინე გაბაშვილის შვილიშვილი იყო. ლევანი ფილმის ერთ-ერთი პერსონაჟია. ახსოვს, როგორ უყვებოდა დედა ბებიის ამბებს, განსაკუთრებით კი ერთი ისტორია დაამახსოვრდა. ეკატერინეს ძალიან მკაცრი ბებია ჰყოლია. ერთ დღეს ეკატერინეს დაუნახავს, თუ როგორ დასაჯა ბებიამ მის მამულში მომუშავე გლეხი:

„და, თურმე, ჩაირბინა ეზოში და უკბინა და საშინელი ბრძოლა გაუმართა. ეს იყო მისი პირველი გამოსარჩლება იმ ადამიანებისადმი, რომელთაც უჭირთ. როგორც ჩანს, მას თავიდანვე ჰქონია ბუნებაში გაჯირკვებული ადამიანების დაცვა", – ამბობს ლევან ჭოლოშვილი.

ეკატერინე გაბაშვილის ყველაზე ცნობილი მოთხრობის – „მაგდანას ლურჯას" – მთავარი გმირი, მაგდანა, იყო ქალთა უფლებების ერთ-ერთი პირველი დამცველი საქართველოში.

„როდესაც მე ჩემს უცხოელ სტუმრებს ვუყვები ხოლმე, რომ ბებიაჩემმა დაწერა ნოველა, რომლის მიხედვითაც, პირველი საბჭოთა ფილმი გახდა კანის ფესტივალის მთავარი პრიზის მფლობელი, ყოველთვის ვუსვამ ხაზს, რომ ის იყო ქალთა

უფლებების პირველი დამცველი", – ამბობს ლევან ჭოლოშვილი, ეკატერინე გაბაშვილის ერთ-ერთი შთამომავალი.

მოთხრობა არაჩვეულებრივ მოტივაციას გაძლევს, რომ იყო ძლიერი და ებრძოდე უთანასწორობას, ამბობს ნინო ხარჩილავა და ფილმის საშუალებით მოუწოდებს მაყურებელს:

„წაიკითხეთ თავიდან! „მაგდანას ლურჯა" ფემინისტური ტექსტია!".



## ფილმის ჩვენება

## 9.3

**სადისკუსიო საკითხები მსჯელობისათვის:**

- *სამართლიანობის პრობლემა; სამართლიანობისათვის ბრძოლის გზები*
- *სოლიდარობის საკითხი ჯგუფში*
- *ქალაქი vs სოფელი*

## 9.4

**შეამოწმეთ, როგორ გაიგეთ ფილმი ტესტით №9**

**1. რატომ ტიროდა პატარა კატო?**

ა) შიოდა
ბ) დედა უნდოდა
გ) ძმამ გააბრაზა
დ) ეძინებოდა

**2. რას ყიდის მაგდანა ქალაქში?**

ა) რძეს
ბ) ყველს
გ) კვერცხს
დ) მაწონს

3. **როგორ გესმით სიტყვები?**

ა) ნისია ----------------------------------------
ბ) უხეირო ------------------------------------
გ) მუშტარი ----------------------------------
დ) სამგლე ------------------------------------
ე) ვერანა --------------------------------------
ვ) სალსალამათი ------------------------------

4. **რა უნდა ექნათ ნაქცეული ვირისთვის?**

ა) ვეტერინართან წაეყვანათ
ბ) ხევში გადაეგდოთ
გ) გაეყიდათ
დ) გაეჩუქებინათ

5. **კატოს რა ეგონა ნაქცეული ვირი?**

ა) ტურა
ბ) ცხენი
გ) ვირი
დ) მგელი



6. **რატომ ვერ გაყიდის მაწვნის ბოლო ორ ქილას მაგდანა ქალაქში?**

ა) კიბეზე წაიქცევა
ბ) წაართმევენ
გ) წვიმა წამოვა
დ) დაღამდება

7. **შეავსეთ გამოტოვებული ადგილები შემდეგი სიტყვებით:**

ცხოვრება, პატრონი, ავდგებოდე, გამოცხვა

ა) ნეტავი ისე დავეცემოდე, ვეღარ -------------
ბ) ამ ძაღლურ ------------- მოვრჩებოდე
გ) ობლის კვერი ცხვა, ცხვა და გვიან -------------
დ) ლურჯას ------------- გამოუჩნდა

**8. რა დაარქვეს ნაპოვნ სახედარს მაგდანას შვილებმა?**

ა) ჭრელა
ბ) ნაცარა
გ) ნიკორა
დ) ლურჯა

**9. რისი იმედი ჰქონდა მაგდანას?**

ა) ვირს გაყიდდა
ბ) მაწონს წაიღებდა ქალაქში
გ) ვალს გაისტუმრებდა
დ) ფეხით აღარ ივლიდა

**10. რისთვის გაატანა მიხომ დედას ქალაქში ბალახი?**

ა) ვირს მოშივდებოდა
ბ) რომ გაეყიდა
გ) ქილები რომ არ გაეტეხა
დ) ბედნიერებას მოუტანდა

**11. რის ყიდვას დაჰპირდა მაგდანა კატოს?**

ა) კაბის
ბ) პურის
გ) კანფეტების
დ) ჩუსტების

**12. შეადარეთ ერთმანეთს ფილმში წარმოდგენილი ქალაქი და სოფელი:**

| როგორია ქალაქი | როგორია სოფელი |
|---|---|
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

მაგდანას ლურჯა

**13. აღწერეთ სცენა, როცა ვირის ყოფილი პატრონი მავდანას ედავება.**

________________________________________________

________________________________________________

________________________________________________

________________________________________________

**14. დაალაგეთ ფილმში განვითარებული მოვლენები თანმიმდევრობით:**

გზაზე ვირის პოვნა, სასამართლო პროცესი, მავდანას წაქცევა კიბეზე, მავდანას საუბარი „ჩუსტების" გამყიდველთან

ა) ________________________________________________

ბ) ________________________________________________

გ) ________________________________________________

დ) ________________________________________________

**15. რას მოიმოქმედებს მიხო, როცა გაიგებს, რომ მათი ვირი უნდა წაიყვანონ?**

________________________________________________

________________________________________________

________________________________________________

**16. თქვენი სიტყვებით გადმოეცით მიხოს „საუბარი" ვირთან, როდესაც სახედარი შუა წყალში გაჩერდება.**

________________________________________________

________________________________________________

________________________________________________

**17. დააკავშირეთ ერთმანეთთან:**

| | |
|---|---|
| ქვრივი | მიხო |
| ობოლი | მავდანა |
| მოწმე | მამასახლისი |
| ვირი | ვირის მეპატრონე |
| მიტუა | მავდანას თანასოფლელი |
| გიგო პაპა | ლურჯა |

18. რა შემთხვევაში იქნებოდა სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლიანი? მოიყვანეთ დამატებითი არგუმენტები მომჩივანის სასარგებლოდ:

---------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------

19. თქვენი აზრით, რისი თქმა სურდა რეჟისორს ამ ფილმით?

---------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------

20. აღწერეთ ემოცია, რომელიც ფილმის ყურებამ გამოიწვია თქვენში. ახსენით, რა იწვევს ამ ემოციებს მაყურებელში?

---------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------



## 9.5

**საშინაო დავალება:**

*მოიძიეთ ინტერნეტში რეჟისორ მერაბ კოკოჩაშვილის ფილმი „დიდი მწვანე ველი" და დაწერეთ ესე „ბუნება და ადამიანი".*



## 10.1

## ნატვრის ხე

### გამოშვების წელი: 1976

### დამდგმელი რეჟისორი: თენგიზ აბულაძე

ფილმი „ნატვრის ხე" თენგიზ აბულაძემ გიორგი ლეონიძის მოთხრობის მიხედვით გადაიღო და ის აბულაძის ტრილოგიის – „ვედრება", „მონანიება", „ნატვრის ხე" – ერთ–ერთ სურათს წარმოადგენს. ფილმს რიგის X საკავშირო კინოფესტივალზე მთავარი პრიზი და დიპლომი, ასევე თეირანის VI საერთაშორისო კინოფესტივალზე საუკეთესო რეჟისურისათვის ჟიურის სპეციალური პრიზი „ოქროს ჯიხვი" აქვს აღებული. „ნატვრის ხემ" ასევე აიღო შემდეგი პრიზები: ჩეხოსლოვაკია–სსრკ მეგობრობის საზოგადოების პრემია, პრიზი კარლოვი–ვარის XXI საერთაშორისო კინოფესტივალზე, იტალიაში საერთაშორისო კონკურსზე – პრემია დონატელოს „დავითი", რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია და კაბურში რომანტიკული ფილმების I საერთაშორისო კინოფესტივალზე – კინოპრესის საერთაშორისო ფედერაციის პრემია „ფიპრესი".

„ნატვრის ხე" გვიყვება მარიტასა და გედიას ტრაგიკული სიყვარულის ისტორიას, რომელიც ძალიან ფატალურად სრულდება. ბრბო და ინდივიდუალიზმი, სიყვარული და ბოროტება, კარგი და ცუდი – ეს თემები ფილმს დასაწყისიდან დასასრულამდე გასდევს ლაიტმოტივად. ადამიანები ლუკმაპურისათვის ძალიან

ბევრს შრომობენ, იტანჯებიან და ოცნებობენ ნათელ მომავალზე. ფილმის თითქმის ყველა პერსონაჟი საკუთარ „ნატვრის თვალს" ეძებს და თავის ნატვრის ხეს სასწაულების ასრულებას შესთხოვს...

## 10.2

## ბიოგრაფიული ტიპის წერილი სესილია თაყაიშვილის შესახებ.

**„17 სექტემბერი – დაიბადა სესილია თაყაიშვილი"**
**დამატების თარიღი: 2013-03-13 09:36:30**
**წყარო: ქე.–თბილისი–ენციკლოპედია. თბ.–2002**

თაყაიშვილი სესილია დიმიტრის ასული (1906 – 83), მსახიობი, რეალისტური აქტიორული ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენელი. საქართველოს (1950) და სსრკ (1966) სახალხო არტისტი. შოთა რუსთაველის სახელობის (1983) და საქართველოს სახელმწიფო (1985) პრემიების ლაურეატი. 1926 დაამთავრა სათეატრო ინსტიტუტი თბილისში და იმავე წელს ჩაირიცხა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის დასში, სადაც 1930-მდე იმუშავა. მისი პირველი როლი იყო ჯადოქარი ფატმა (თ. ვახვახიშვილის პანტომიმა „მზეთამზე"). 1930–66 წლებში კი კოტე მარჯანიშვილის თეატრში მოღვაწეობდა. თაყაიშვილი უდიდესი სცენური სიმართლით და გარდასახვის უბადლო ნიჭით დაჯილდოებული, ფართო შემოქმედებითი დიაპაზონის სახასიათო მსახიობი იყო; ქმნიდა რთულ, ერთმანეთის საწინააღმდეგო ხასიათებს. მისი საშემსრულებლო ხელოვნება გამოირჩეოდა მახვილი ფორმით, მკვეთრი თვითმყოფადი იუმორით, გრძნობისა და განცდის უშუალობით. თაყაიშვილის მიერ მაღალი ოსტატობით განსახიერებულ 120-მდე როლიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ქრისტინე (შ. დადიანის „ნინოშვილის გურია"), ნაყომი (გ. ბააზოვის „მუნჯები ალაპარაკდნენ"), ამალია კარლოვნა (ა. აფინოგენოვის „შიში"), პარასკევა (შ. დადიანის „ნაპერწკლიდან"), ოგუდალოვა (ა. ოსტროვსკის „უმზითვო"), ძიძა, კატარინა (უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტა", „ჭირვეული ცოლის მორჯულება"), ელისაბედ დედოფალი (ფ. შილერის „მარიამ სტიუარტი"),

პრიუდანსი [ა. დიუმას (შვილი) „მარგარიტა გოტიე"], ოლღა (ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი") და სხვა. დიდია თაყაიშვილის ღვაწლი ქართულ კინემატოგრაფიაში, სადაც 1948–დან მოღვაწეობდა. როლები: ვასასი („ჩვენი ეზო", 1956), ელპიტე („საბუდარელი ჭაბუკი", 1957), ელისაბედი („სხვისი შვილები", 1958), ოლღა („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", 1962), ზორდოხანი („დიდოსტატის მარჯვენა", 1969–70), მარადია („ნატვრის ხე", 1976), ასინეთა („დათა თუთაშხია", 1977), ზუღალტერი („ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი", 1983) და სხვა. სესილია თაყაიშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული სასცენო ხელოვნების განვითარებაში. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები. თბილისის საპატიო მოქალაქე (1982). დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში. თბილისში არის სესილია თაყაიშვილის ქუჩა.





## ფილმის ჩვენება

## 10.3

**სადისკუსიო საკითხები მსჯელობისათვის:**

- *საზოგადოებრივი მორალი და მორალური ავტორიტეტი*
- *თემი და პიროვნული არჩევანი*
- *ბუნების ენა და მეტყველება*

## 10.4

**შეამოწმეთ, როგორ გაიგეთ ფილმი ტესტით №10**

1. **რა ერქვა გედიას ცხენს?**

   ა) თეთრა

   ბ) ლურჯა

გ) ჭრელა

დ) შავა

**2. ციციკორეს აზრით, რატომ დაიღუპა გედიას ცხენი ყორიაშის ველზე?**

ა) მოწამლული ბალახი ჭამა

ბ) ყაყაჩომ მოწამლა

გ) მტრის სისხლი იკბინება ამ ადგილზე

დ) წმინდა ადგილზე მოძოვა ბალახი

**3. ხალხის აზრით, რა უდევს ჯიბეებში იორამს?**

ა) ყვავილები

ბ) ფული

გ) კანფეტები

დ) ყუმბარები

**4. რას აკეთებდა ელიოზი, როდესაც იგი ჩაჩისა და მარიტას შეხვდა?**

ა) ჭას ასუფთავებდა

ბ) ნატვრის თვალს ეძებდა

გ) ხორბალს თესავდა

დ) სახლის საძირკველს თხრიდა

**5. რის გამო იჩხუბებენ მამა ოხროხინე და ისტორიის მასწავლებელი?**

ა) ეკლესიის ქვის გამო

ბ) ნარგიზას გამო

გ) ნატვრის თვალისათვის

დ) ისტორიის გამო

**6. რა სთხოვეს „სალოცავში" მიმავალმა ბიჭებმა მარიტას?**

ა) დალოცვა

ბ) კოცნა

გ) წყალი

დ) სადღეგრძელო

**7. რატომ არ უნდა შემოელაწუნებინა მამა იხრიხინეს გაჩი-ჩინებული ბიჭისათვის?**

ა) გაიქცეოდა

ბ) ქათამს უკან წაართმევდა

გ) ისევ გაშტერდებოდა

დ) ხელის შემობრუნება იცოდა

**8. გადმოეცით თქვენი სიტყვებით, რას ფიქრობს ცუციკორე, როგორი ქურქი შეეფერება ქალს?**

----------------------------------------------------------------

----------------------------------------------------------------

----------------------------------------------------------------

**9. რას ფიქრობენ მატარებლის შესახებ ცუციკორე და იორამი?**

| დადებითი (ვინ აფასებს ------------) | უარყოფითი (ვინ აფასებს ------------) |
|---|---|
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

**10. დააკავშირეთ ერთმანეთთან:**

| | |
|---|---|
| ცუციკორე | შიოლას შეყვარებული |
| იორამი | მარიტას შეყვარებული |
| ნარგიზა | რევოლუციონერი |
| ფუფალა | სოფლის სინდისი |
| შეთე | მარიტას ქმარი |
| გედია | ბებია |
| მარადია | მაცდური ქალი |

**11. ვის შესწირა თავისი ყმაწვილქალობა ფუფალამ?**

ა) შეთეს

ბ) გედიას

გ) შოთას

დ) შიოლას

**12. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები შემდეგი სიტყვებით:**

მზე, ვარდი, სამართალი, ნისკარტი, ძილი

ა) -------------- უეკლოდ ვის მოუკრეფია

ბ) შავ ზღვაში ჩავარდა -------------- საქართველოში, რაღა ამოიყვანს?

გ) ილაპარაკოს -------------- მოუცვდება თუ რა.

დ) ქვეყანას მე მაინც ვერ გავასწორებ და ------------ რაღად უნდა დავიკლო?

ე) სამი რამ აკლია ქვეყანას, ცას კიბე, ზღვას ხიდი და ადამიანს --------------

ნატვრის ხე

**13. როგორ გესმით სიტყვები?**

ა) ობოლი ------------------------------------

ბ) ძღვენი ------------------------------------

გ) საიქიოს ნისია ------------------------------------

დ) დონდლო ------------------------------------

ე) გარეწარი ------------------------------------

ვ) უქონელი ------------------------------------

ზ) უქნარა ------------------------------------

**14. გადმოეცით თქვენი სიტყვებით, რა დამოკიდებულება აქვს მარიტას ბუნებასთან:**

------------------------------------------------------------

------------------------------------------------------------

------------------------------------------------------------

------------------------------------------------------------

15. რატომ მოიწონეს მარიჯას საქმროდ შეთე და რატომ დაიწუნეს გედია?

| შეთე | გედია |
|---|---|
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

16. გადმოეცით თქვენი სიტყვებით მარიჯას ქორწილის სცენა.

_______________________________________________

_______________________________________________

_______________________________________________

_______________________________________________

_______________________________________________

17. დაალაგეთ ფილმში განვითარებული მოვლენები თანმიმდევრობით.

მარიჯას ქორწილი, ელიოზის გაყინვა, წყაროზე ქალების ჭორაობა, თეთრას სიკვდილი

ა) _______________________________________________

ბ) _______________________________________________

გ) _______________________________________________

დ) _______________________________________________

18. რატომ დასაჯეს მარიჯა?

_______________________________________________

_______________________________________________

_______________________________________________

_______________________________________________

19. თქვენთვის რომელი პერსონაჟი იყო ყველაზე დასამახსოვრებელი და რატომ?

-----------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------

20. თქვენ რომ რეჟისორი ყოფილიყავით, როგორ დაასრულებდით ფილმს?

-----------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------



## 10.5

**საშინაო დავალება:**

*მოიძიეთ ინტერნეტში რეჟისორ თენგიზ აბულაძის ფილმი „მონანიება" და დაწერეთ ესე: „საზოგადოება და მორალი".*



## 11.1

## მე, ბებია, ილიკო და ილარიონი

**გამოშვების წელი: 1962**

**დამდგმელი რეჟისორი: თენგიზ აბულაძე**

ფილმი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი” ნოდარ დუმბაძის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით შეიქმნა. სცენარის ავტორები თავად ნოდარ დუმბაძე და თენგიზ აბულაძე იყვნენ. ფილმი ქართული კინოს ერთ-ერთ შედევრად მიიჩნევა კინოკომედიის ჟანრში. ფილმი ლეჩხუმის სოფელ ლაილაშშია გადაღებული. გადასაღები ადგილი რეჟისორმა თენგიზ აბულაძემ შეარჩია. ფილმის გამოსვლის შემდეგ საზოგადოებამ გადამღები ჯგუფი ფილმის შინაარსისთვის შეუსაბამო ადგილის შერჩევისთვის გააკრიტიკა. სცენების ნაწილი გადაღებულია თბილისში – კინოსტუდიის პავილიონში, ზამთრის სცენები კი – ბაკურიანსა და ლენინგრადში.

ფილმის ძირითადი სიუჟეტი შემდეგია: ობოლი სოფლელი ბიჭი ზურიკელა ოლღა ბებიასა და მეზობლების, ილიკოსა და ილარიონის, გარემოცვაში იზრდება. ილიკო და ილარიონი იუმორით სავსე ადამიანები არიან, ერთმანეთთან საოცრად თბილი ურთიერთობა აქვთ და ამავე დროს სულ კამათობენ. ზურიკელას უყვარდება თანაკლასელი გოგონა მერი, თუმცა, მისალებ გამოცდებს აბარებს და საცხოვრებლად დედაქალაქში გადადის.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ზურიკელა ისევ სოფელში ბრუნდება და ილიკოსა და ილარიონთან ერთად განაგრძობს ცხოვრებას.

## 11.2

## რამდენიმე საინტერესო ფაქტი ფილმის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" შესახებ.

### კასტინგი

ეგრეთ წოდებული „კასტინგის" დროს მთავარი როლის შემსრულებლად განიხილებოდა მსახიობ გოგი ქავთარაძის კანდიდატურა. საბოლოოდ სერგო ორჯონიკიძე შეარჩიეს, რომელსაც მანამდე სამსახიობო გამოცდილება არ ჰქონდა. ფილმმა მას პოპულარობა და წარმატება მოუტანა. ფილმის გამოსვლიდან 6 წლის შემდეგ ის „მე, ბებია ილიკო და ილარიონში", მერის როლის შემსრულებელ მანანა აბაზაძეზე დაქორწინდა. ილარიონის როლზე განიხილებოდა აკაკი კვანტალიანი, ხოლო ილიკოს როლზე – ვახტანგ ნინუა და გიზო სიხარულიძე. საბოლოოდ ილარიონის როლის შემსრულებლად გრიგოლ ტყაბლაძე შეირჩა, ხოლო ილიკოსი – სანდრო ჟორჟოლიანი. ამ უკანასკნელს ილიკოს როლი უკვე შესრულებული ჰქონდა გიგა ლორთქიფანიძის მიერ დადგმულ ამავე სახელწოდების სპექტაკლში. რაც შეეხება სესილია თაყაიშვილს: იგი ოლღას როლზე ყოველგვარი შერჩევის გარეშე იქნა დამტკიცებული.

### სესილია  თაყაიშვილი Pink floyd–ის კლიპში
### 2011–12–07 ITV. არქივი

ალბათ ძალიან გაგიკვირდებათ, როდესაც ლეგენდარული ბრიტანული ჯგუფის პინკ ფლოიდის კლიპში ქართველი ლეგენდარულ მსახიობს, სესილია თაყაიშვილს თვალს მოკრავთ. კადრი სულ რამდენიმე წამია, თუმცა სესილიას გრძნობით სავსე თვალები თავის სათქმელს აქაც ამბობს. საინტერესოა, რატომ გადაწყვიტა ყან დაკანტმა მისი პროტოტიპის გამოყენება, თუმცა

ერთ-ერთი ინფორმაციით, როდესაც ფრანგ რეჟისორს სესილიას განსახიერებული როლები უნახავს, უთქვამს: „ეს ჩემი ზეზიაა, რომელიც პროვინციაში ცხოვრობსო".

არსებობს ორი ვერსია, თუ როგორ აღმოჩნდა მისი პორტრეტი ამ კლიპში და ორივე „პინკ ფლოიდის" ერთ-ერთ დამაარსებელს როჯერ უოტერსს უკავშირდება. პირველის თანახმად, 1970-იანი წლების დასაწყისში ინგლისში მსოფლიოს 100 საუკეთესო მსახიობი გამოავლინეს და მათ შორის სესილიაც, სამწუხაროდ, როგორც სახელოვანი რუსი მსახიობი და არა ქართველი. უოტერსს ძალიან მოსწონებია მსახიობის მეტყველი სახე და სწორედ ამიტომ ვიდეოში მისი ფოტო ჩაუსვამს.

მეორე – „ფლოიდელ", დევიდ გილმორთან დაახლოებული პირის ინფორმაციით კი, როდესაც როჯერსს თენგიზ აბულაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" უნახავს, ემოციებისგან ცრემლი წამოსვლია და ფილმის ნახვის შემდეგ დუმბაძის წიგნიც კი წაუკითხავს, ხოლო სესილიას ფოტო ვიდეოსთვის ჟურნალიდან ამოუღია. არსებობს კიდევ ერთი ძველი ამბავიც, – 1980 წელს „პინკ ფლოიდი" საკონცერტოდ ლენინგრადში (ახლანდელ პეტერბურგში) უნდა ჩასულიყო. „კრემლმა" გადაწყვიტა ჯგუფისთვის ვინმე საბჭოთა მომღერალი შეეხვედრებინა და ალა პუგაჩოვა აარჩია, მაგრამ ისევ და ისევ უოტერსმა, თურმე, სესილიასთან შეხვედრა ითხოვა. ორივე ვერსიაში კარგად ჩანს, რომ სესილია მუსიკოსს ძალზედ მოსწონდა.

ფაქტი კი ერთია, სესილია ის უნიჭიერესი მსახიობი იყო, რომლის ვარსკვლავი ახლაც კიაფობს საქართველოს ცაზე, და როგორც ჩანს, ეს სიკაშკაშე არც ბრიტანეთში დარჩენიათ შეუმჩნეველი....



## ფილმის ჩვენება

## 11.3

**სადისკუსიო საკითხები მსჯელობისათვის:**

- *იუმორი კინოსა და ცხოვრებაში*
- *განათლების საკითხი*
- *მეორე მსოფლიო ომი და იდეოლოგია*

## 11.4

**შეამოწმეთ, როგორ გაიგეთ ფილმი ტესტით №11**

**1. რის მაუწყებელი იყო სოფლის ზარის რეკვა დილაობით ?**

ა) სოფლის კრების დაწყების

ბ) სკოლის დაწყების

გ) ომის დაწყების

დ) ომის დამთავრების

**2. რისი ხშირი სტუმარია ზურიკელას ბებია?**

ა) სკოლის

ბ) ბაღის

გ) საავადმყოფოს

დ) ფოსტის

**3. რატომ არ ეშინია ზურიკელას ბებიის წყევლის?**

________________________________________________

________________________________________________

________________________________________________

________________________________________________

**4. ზურიკელას თქმით, რისი რისხვა იყო ილარიონი?**

ა) ქალების

ბ) ბავშვების

გ) ნადირთა

დ) ძაღლების

5. **ვინ გამოუგზავნა დეპეშა ზურიკელასა და ილარიონს მურა-დას ტრაგიკული გარდაცვალების გამო?**

ა) ქიმიის მასწავლებელმა

ბ) სკოლის დირექტორმა

გ) არავინ

დ) ილიკომ

6. **რისთვის გზავნის ილიკო ზურიკელას ილარიონთან საშუა-მდგომლოდ?**

ა) თუთუნისთვის

ბ) პურისთვის

გ) ღვინისთვის

დ) ჭაჭისთვის

7. **როგორ იძია შური ილარიონმა ილიკოზე?**

-----------------------------------------------

-----------------------------------------------

-----------------------------------------------



8. **სად აცილებენ სოფლის მამაკაცებს ოჯახის წევრები?**

ა) ომში

ბ) საზღვარგარეთ სამუშაოდ

გ) მეზობელ სოფელში

დ) ქალაქში

9. **რაში გამოუტყდა ზურიკელა ილიკოსა და ილარიონს?**

ა) შეყვარებულია

ბ) ლექსები დაწერა

გ) წერილი დაწერა

დ) ომში წასვლა სურს

10. **როგორ გესმის შემდეგი ფრაზები:**

ა) თამამად შეიძლება ითქვას ---------------------

ბ) მომჭერი თავი -----------------------------

გ) რატომ ხელი არ გამიხმება --------------------

დ) სათოფეზე არ მიკარებს ----------------------

ე) რომ დამზაფრეთ ------------------------------

ვ) ხარბი ყოფილა ადამიანი -------------------------

**11. დაალაგეთ ფილმში განვითარებული მოვლენები თანმიმდევ-რობით:**

წერილის მიწერა მერისადმი, ფაქიზოს გაყიდვა, მურადას სიკვდილი, სიმწიფის ატესტატის საზეიმოდ გადაცემის ცერ-ემონიალი

ა) ----------------------------------------------

ბ) ----------------------------------------------

გ) ----------------------------------------------

დ) ----------------------------------------------

**12. რა უპასუხეს მოსწავლეებმა მასწავლებელს, რატომ ვერ გა-ჰყვა მთელი კლასი დოლიძეს, როდესაც ავად გახდა?**

ა) ვერ გაიგეს

ბ) ხელის მოსაკიდი ადგილი აღარ დარჩა

გ) ეუხერხულათ ზურიკელა

დ) მასწავლებლის შეეშინდათ

**13. როგორ სჯის ქიმიის მასწავლებელი მოსწავლეებს?**

--------------------------------------------------

--------------------------------------------------

--------------------------------------------------

**14. გადმოეცი შენი სიტყვებით ზურიკელასა და მერის დია-ლოგი:**

ზურიკელა ----------------------------------------

--------------------------------------------------

მერი ---------------------------------------------

--------------------------------------------------

**15. რა მიზნით მოვიდა ოლღა ბებიასთან აგიტატორი?**

--------------------------------------------------

--------------------------------------------------

16. რა აზრები გამოითქვა ზურიკელას მომავალთან დაკავშირე-ბით, ვინ რას ფიქრობს?

| ოლღა ბებია | ილიკო | ზურიკელა |
| --- | --- | --- |
| | | |

17. რას ამბობს სტუდენტობის შესახებ ზურიკელა?

18. რას უბარებს ოლღა ბებია ზურიკელას?

19. რა არჩევანი გააკეთა ზურიკელამ და რა იყო ამის მიზეზი?

20. ფილმის რომელი პერსონაჟია ყველაზე დასამახსოვრებელი შენთვის და რატომ?

## 11.5

**საშინაო დავალება:**

*მოიძიეთ ინტერნეტში რეჟისორ გოდერძი ჩოხელის ფილმი „სამოთხის გვრიტები" და დაწერეთ ესე: „განათლება თანამედროვე სამყაროში".*



## 12.1

## გიორგობისთვე

**გამოშვების წელი: 1966**
**დამდგმელი რეჟისორი: ოთარ იოსელიანი**

ფილმმა „გიორგობისთვე" ჟორჟ სადულის[1] პირველი სახელობის პრემია მიიღო. თუმცა ის საბჭოთა კრიტიკამ დაიწუნა და ფილმს ანტისაბჭოთა, ანტიქართული კინოსურათი უწოდა, რომელიც ქართულ ტრადიციებს მასხრად იგდებდა და შეურაცხყოფდა მეღვინეობას. ფილმის ძირითადი სიუჟეტი შემდეგია: ნიკოსა და ოთარს ღვინის ქარხანაში გაანაწილებენ. კარიერისტი ოთარი მუშაობის პირველსავე დღეს უფროსების საყვარელი და ყველაფრის შემსრულებელი თანამშრომლად იქცევა. ნიკო კი, პირიქით: ვერ ეგუება, რომ კერძო პირებს ღვინო ქარხნიდან უკანონოდ გააქვთ და უხარისხოდ ასხამენ. ერთ დღეს, როდესაც დაუდუღებელი ღვინის სარეალიზაციოდ ჩამოსხმას დააპირებენ, ნიკო ღვინის მთელ პარტიაში ქულატინს ჩაასხამს და გეგმას ჩაშლის. რა თქმა უნდა, ქარხნის დირექცია აღშფოთდება, თუმცა ნიკოს დასჯას ვერ გაბედავს.

---

1 ფრანგი ისტორიკოსი, თეორეტიკოსი და კინოკრიტიკოსი. მოღვაწეობა დაიწყო, როგორც სიურეალისტმა, 1932 წელს კი საფრანგეთის კომუნისტურ პარტიაში გაწევრიანდა. მონაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში. ჟორჟ სადულმა შექმნა არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი კინემატოგრაფიის საკითხზე, მათ შორის აღსანიშნავია: „მსოფლიო კინოს ისტორია", „კინოხელოვნების ისტორია" და სხვა.

## 12.2

### წერილში მოყვანილია რამდენიმე კრიტიკული სტატიის ამონარიდი ფილმის შესახებ.

**ზურუსი 07/10/2009**
**მანანა ლეკბორაშვილი – „გიორგობისთვე“ 40 წლის შემდეგ**

„განა დასაჯერებელია, რომ ქართველი ხალხი ისე ცხოვრობდეს, როგორც ფილმშია ნაჩვენები? თუ სცენარისტსა და რეჟისორს დავუჯერებთ, ქარხანაში ყველა – დირექტორიდან დაწყებული მუშამდე – სინდისგარეცხილია, შესაძლებელია, ეს მდგომარეობა რომელიმე კონკრეტულმა ფაქტმა უკარნახა ფილმის ავტორებს, მაგრამ ყველა კონკრეტული შემთხვევა ტიპური ხომ არ არის“.

**გაზეთი „სოფლის ცხოვრება“, 29.01.1967**

„პირველი და ყველაზე მთავარი, ჩვენი აზრით, ის არის, რომ ფილმი თავიდან ბოლომდე აგებულია ბნელი, უხეში, ტლანქი ძალების ბატონობაზე. იგი უპერსპექტივობას, უიმედობას ქადაგებს. ყველგან: ქარხანაშიც, ქუჩაშიც, ზეიმობს სიყალბე, ავი ფიზიკური ძალადობა, რომელსაც ყველა დაუმორჩილებია.

ფილმი ვერ ამართლებს დანიშნულებას – იგი კი არ ამხელს, არამედ სიმახინჯის ყოვლისშემძლეობას, ჯანსაღი, აქტიური ძალების უმწეობას ქადაგებს და თვითონ ეს ჯანსაღი ძალაც არ ჩანს მინიშნებით მაინც.“

**გაზეთი „თბილისი“, 2.02.1967**

„გიორგობისთვეს“ ჩვენს ცხოვრებაში შესამჩნევ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის ბრძოლის პრეტენზია აქვს. ასეთია ავტორთა სუბიექტური მისწრაფება, მაგრამ ამ ჩრდილოვანი მხარის იქით არსებული დიდი და მზიანი სამყარო არ სურთ დაინახონ. ავტორები ცდილობენ არა მარტო ერთი კონკრეტული ღვინის ქარხანა წარმოგვიდგინონ უხამსობის ბუდედ, არამედ ჩვენი ცხოვრების ყველა დეტალი, ყველა მხარე დახატონ რაც შეიძლება მუქი, შავი საღებავებით. ამრიგად, ჩვენ წინ დგება

კინოება

მხოლოდ სიმახინჯე, უსამართლობითა და სიბილწით აღსავსე ცხოვრება, სადაც კეთილისა და ნათელის წარმომადგენლად ერთი უსუსური, უნდილი ბიჭია გამოყვანილი!

...ეს ფილმი კიდევ ერთხელ ლაპარაკობს იმ მცდარ, მავნე გზაზე, რომელსაც ზოგიერთი ჩვენი ახალგაზრდა შემოქმედი არასასურველი მიმართულებით მიჰყავს. ეს მიმართულება კი უცხოა საბჭოთა ხელოვნებისათვის, იგი სოციალისტური რეალიზმის ყალბად გაგების, ყოფის ზერელე ასახვის, შიშველი ნატურალიზმის ჭაობისკენ მიაქანებს შემოქმედს. (...) მხატვრული ნაწარმოების ნაცვლად მივიღეთ რაღაც პასკვილის მაგვარი რამ, რომელსაც საერთო არა აქვს რა ჩვენი ცხოვრების ამსახველ ჭეშმარიტ ხელოვნებასთან და ამ ფილმის ავტორების მოქალაქეობრივ სინდისზე ცუდად ლაპარაკობს".

**გაზეთი „კომუნისტი", 4.02.1967**





## ფილმის ჩვენება

## 12.3

**სადისკუსიო საკითხები მსჯელობისათვის:**

- *კონფორმიზმი და ნონკონფორმიზმი*
- *სტერეოტიპები*
- *ოჯახის როლი პიროვნების ჩამოყალიბებაში*

## 12.4

**შეამოწმეთ, როგორ გაიგეთ ფილმი ტესტით №12**

**1. რატომ ამჯობინებს ოთარი თეთრ პერანგს შავს?**

ა) მოდაშია

ბ) დაუთოვება არ სჭირდება

გ) მისი საყვარელი ფერია
დ) ჭუჭყის ამტანია

**2. სად იწყებენ მუშაობას ოთარი და ნიკო?**

ა) მეტალურგიული ქარხანაში
ბ) ხის დამამუშავებელ ქარხანაში
გ) ღვინის საამქროში
დ) რესტორანში

**3. რას თამაშობდა საწარმოს დირექტორი, როცა მასთან პირველად ოთარი და ნიკო მივიდნენ?**

ა) ფეხბურთს
ბ) დომინოს
გ) ნარდს
დ) ბილიარდს

**4. რა არ ჰკითხა საწარმოს დირექტორმა ნიკოს?**

ა) შენ როგორ სწავლობდიო
ბ) არ ვარჯიშობო
გ) კარტს თამაშობო
დ) დომინოს თამაში იციო

**5. როგორ გესმის ფილმში წარმოთქმული ფრაზები?**

ა) ვა, რა ბოთე ხარ! ------------------------------
ბ) მამა აბრამის ბატკანი ხარ ----------------------
გ) აზრზე მოდი ----------------------------------
დ) ამის ვალიდან ვერ ამოვედი ---------------------
ე) გამოუცდელი ყმაწვილი ხარ! ---------------------
ვ) გაუფრთხილდი ავტორიტეტს ---------------------

**6. რითი ერთობოდა მუშებთან ერთად შესვენების დროს ნიკო?**

ა) კალათბურთის თამაშით
ბ) ფეხბურთის თამაშით
გ) კარტის თამაშით
დ) ნარდის თამაშით

**7. რაზე დააპატიჟებინა თავი მარინამ ნიკოს?**

ა) ყავაზე

ბ) ჩაიზე

გ) ნაყინზე

დ) ხინკალზე

**8. გადმოეცით თქვენი სიტყვებით, რაზე მსჯელობენ საამქროს დირექტორის კაბინეტში შეკრებილი თანამშრომლები:**

-------------------------------------------------------

-------------------------------------------------------

-------------------------------------------------------

**9. საამქროს დირექტორის აზრით, რას ითხოვს საქმე?**

ა) წესრიგს

ბ) გეგმის შესრულებას

გ) ყველამ თავისი საქმე აკეთოს

დ) ყველამ თავისი ადგილი იცოდეს



**10. რა პოზიცია აქვთ ოთარსა და ნიკოს №49 კასრიდან ღვი- ნის ჩამოსხმასთან დაკავშირებით?**

ნიკო -----------------------------------------------

-------------------------------------------------------

-------------------------------------------------------

ოთარი ---------------------------------------------

-------------------------------------------------------

-------------------------------------------------------

**11. რატომ დატოვეს საქეიფოდ წასულმა ქარხნის თანამშრომ- ლებმა რესტორანი?**

ა) ხმაურის გამო

ბ) უგემური კერძების გამო

გ) ღვინის გამო

დ) მიმტანის გამო

**12. კვირა დღეს სად წაიყვანა საკუთარი დები ნიკომ?**

ა) კინოში

ბ) თეატრში

გ) მუზეუმში

დ) ქარხანაში

**13. რა დარიგება მისცა ნიკოს დირექტორის შვილმა?**

___________________________________________________

___________________________________________________

___________________________________________________

___________________________________________________

___________________________________________________

___________________________________________________

__________________________________

**14. შეადარეთ ერთმანეთს ოთარისა და ნიკოს პორტრეტები:**

| ოთარი | | | |
|---|---|---|---|
| გარეგნობა | ცხოვრების წესი | ხასიათი | გარემო |
| | | | |
| ნიკო | | | |
| გარეგნობა | ცხოვრების წესი | ხასიათი | გარემო |
| | | | |

**15. მოიყვანეთ ფილმში მარინას პერსონაჟის დასახასიათებლად სამი დადებითი და სამი უარყოფითი თვისება:**

| დადებითი | უარყოფითი |
|---|---|
| | |
| | |
| | |

**16. დაალაგეთ ფილმში განვითარებული მოვლენები თანმიმდევრობით:**

49-ე კასრში ჟელატინის ჩასხმა, მარინასთან ნიკოს ვიზიტი, სასპასპორტო ფოტოს გადაღება, ნიკოს ჩხუბი ზონდოსთან

ა) ------------------------------------------------

ბ) ------------------------------------------------

გ) ------------------------------------------------

დ) ------------------------------------------------

**17. რატომ შეცვალა ქარხნის თანამშრომლებთან დამოკიდებულება ნიკომ?**

----------------------------------------------------

----------------------------------------------------

----------------------------------------------------

**18. რატომ იწყება ფილმი სოფელში რთველის სცენებით?**

----------------------------------------------------

----------------------------------------------------

----------------------------------------------------

**19. თქვენი აზრით, რატომ ისმის ფილმში გამუდმებით რადიოსა და ღვინის ექსკურსიამძღოლის ხმა?**

----------------------------------------------------

----------------------------------------------------

----------------------------------------------------

**20. თქვენი აზრით, რისი თქმა სურდა ფილმის რეჟისორს და რამდენად მოახერხა სათქმელის გადმოცემა?**

------------------------------------------------------------

------------------------------------------------------------

------------------------------------------------------------

------------------------------------------------------------

## 12.5

**საშინაო დავალება:**

*მოიძიეთ ინტერნეტში რეჟისორ ოთარ იოსელიანის ფილმი „იყო შაშვი მგალობელი" და დაწერეთ ესე სტერეოტიპების შესახებ.*



## 13.1

## ფიროსმანი

### გამოშვების წელი: 1969

### დამდგმელი რეჟისორი: გიორგი შენგელაია

„ფიროსმანი" ქართული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმია, რომელიც თვითნასწავლი მხატვრის, ნიკო ფიროსმანის, ცხოვრებას ასახავს. ფილმს სამი ძალიან მნიშვნელოვანი პრიზი აქვს მიღებული: ბრიტანეთის კინოინსტიტუტის პრემია (1973), გრან-პრი „ოქროს ჰიუგო" ჩიკაგოს საერთაშორისო კინოფესტივალზე (1974), აზოლოს საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზი (1974).

კინოსურათის ძირითადი სიუჟეტი შემდეგია: ნიკალა მირზაანიდან ქალაქში მიემგზავრება და მატარებლის გამყოლად იწყებს მუშაობას. მუშაობისას მცირეოდენ ფულს დააგროვებს და მაღაზიას გახსნის. ნიკალა ღარიბ ადამიანებს ფულს ვერ ართმევს, ამიტომ იძულებული ხდება, მაღაზია დაკეტოს და დუქნების მოხატვით ირჩენს თავს. ერთ-ერთ დუქანში პროფესიონალი მხატვრები ნიკალას ნამუშევრებს ნახავენ და მოიხიბლებიან. ისინი ფიროსმანს მოძებნიან და მხატვართა შეკრებაზე მიიწვევენ, თუმცა ნიკალას ხელოვნებას მაინც არ აღიარებენ და გაზეთში

მის კარიკატურას გამოაქვეყნებენ. მარტოსული და ავადმყოფი ნიკალა სილატაკეში, კიბის ქვეშ დაასრულებს სიცოცხლეს.

## 13.2

## „ფიროსმანი" გიორგი შენგელაია

**სტატია გამოქვეყნდა ჟურნალ The New Yorker–ში, 1978 წლის 5 ივნისს, ავტ. პენელოპ ჯილაიტი**

**თარგმ. ნინო დოლიაშვილი**

**ჟურნალი "CINEYEMA"**

პოეტური ბიოგრაფიის ბრწყინვალე და ინოვაციური ნიმუში საბჭოთა კავშირიდან. თავისთავად ცხადი ჭეშმარიტებაა, რომ არაფერია უფრო რთული გადმოსაცემად, ვიდრე არტისტის შემოქმედება. კიდევ უფრო ცხადი ჭეშმარიტებაა, რომ არაფერია იმაზე რთული, გვერდი აუარო საბჭოთა იდეოლოგიის ბარიკადებს და მოყვე ამბავი ვინმე არაორდინარულზე. ამ ორივე თითქოსდა ჭეშმარიტებას მშვიდად უწევს წინააღმდეგობას გიორგი შენგელაიას „ფიროსმანი", რომელიც დიდი ქართველი პრიმიტივისტი მხატვრის, 1862–1918 წლებში მოღვაწე ნიკო ფიროსმანაშვილის, იგივე ფიროსმანის შესახებ გვიამბობს ისტორიას. ფილმში იგი ნაჩვენებია, როგორც მაღალი, წვერიანი, მხრებში მოხრილი ფიგურა, ღირსების გრძნობით გამსჭვალული, თავმდაბლური შესახედაობის. იგი თბილისში ცხოვრობს, თავისი ნათლულის მამას იყოლიებს, რომ საკუთარ სავაჭრო საქმიანობის დაწყებაში დაეხმაროს. მისი დუქნის პირველ კლიენტებს შორისაა მოხუცი ქალბატონი, რომელიც მისგან ვალად ყიდულობს და ადგილობრივი თავადის მსახური. მოგვიანებით, თავისი და და სიძე გამოდიან ამ საქმიდან თავისი წილით. ნიკალა თავადის მსახურს ფასებს უორმაგებს, ხოლო მოხუც ქალს უსასყიდლოდ აძლევს ყველაფერს, რისი წაღებაც შეუძლია, რის შემდეგაც ღარიბები შემოეხვევიან ნიკალას დუქანს და ისიც მთელი თავისი საქონლის მარაგს მათ ურიგებს.

ფილმი სავსეა გასაოცარი კადრებით, რომლებიც ფიროსმანის ფერწერის კომპოზიციების მიხედვითაა შედგენილი. არის ერთი სცენა, სადაც სამი გლეხის ქალი ზის თითქოს ფოტოს გადასაღებად გამზადებული, სამივე წინ იყურება, ნაპირებზე მჯდომ ქალებს ხელები მუხლებზე უდევთ, შუაში მჯდომს კი, კალთაში. მსახიობი ავთო ვარაზი, რომელიც ფიროსმანის როლს თამაშობს, ფილმის ერთ-ერთი მხატვარი იყო. ფილმის ფერებში ლურჯი და ყავისფერი ჩრდილები ჭარბობს, კომპოზიციებს მარტივი კონტურები ქმნის, თეთრი კედლების ფონზე. კამერა, რომელიც თითქმის არ მოძრაობს კადრებს შორის, ფილმს ანიჭებს სიმშვიდეს და საზრიანობას. ჩვენ მომსწრენი ვართ მხატვრის თვალითა და ყურით აღქმული დეტალებისა. ქალები კერავენ, კარები ჭრიალებს, დუქნის შესასვლელში მოხუცი ქალბატონი გამოჩნდება, მისი სილუეტი გარედან შემოსული დღის სინათლის ფონზე იკვეთება.

დუქანი ცარიელი, მივარდნილი ადგილის შუაგულში მდებარეობს. მის გარშემო გადაღებულ კადრებში უძრავი ცენტრის ადგილი უკავია და თითქოს ქართულ პეიზაჟზე განთავსებული ანრი რუსოს ნახატია, სადაც ფონად ძალიან ნელა მოძრაობენ ურმები. ფიროსმანი დუქნის შესასვლელის კედლებზე ორივე მხარეს კიდებს ნახატებს, სადაც ძროხებია გამოსახული: „ისინი გვაძლევენ რძეს და კარაქს". იგი ალაგებს თავადის მზარეულის კალათაში რძის ქილას, თაფლს, კარაქს, ყველს და შემდეგ კვლავ უკან იღებს, რადგან მსახური ამბობს, რომ ძალიან ძვირია. ფიროსმანის ცხოვრება ეფუძნება ღირსების იდეას, რომელსაც ყველაზე ღარიბი ქართველი ინარჩუნებს: რომ ადამიანმა უნდა დატოვოს თავისი კვალი დედამიწაზე. ერთ-ერთ მინისქვეშა დუქანში იგი სვამს ყველა ბედკრულის სადღეგრძელოს: ყველა ქვრივისა და ობოლის.

იგი აღფრთოვანებულია სცენით, რომელსაც მუსიკალურ სალონში აწყდება – ახალგაზრდა გოგონა მღერის ფრანგულად. თავისი ცხოვრების წესი, სმა, დაკვირვება, თავსატეხს უჩენს მას: ეს ბოლომდე არც ძირავს და არც ათავისუფლებს. ხანდახან

გრძნობს, რომ თითქოს ამ მარტოობით და უფერულობით სული ეხუთება. რეჟისორის მშვიდ კომპოზიციებში თითქმის ყოველთვის დომინირებს და კადრში დიდი ადგილი უკავია იატაკს, მიწას, რომელზე დგომისას ფიროსმანს თითქოს ეშინია, არ ჩაიძიროს. ფერწერა არ აძლევს მას ამის საშუალებას. ასე რომ, ამ ფილმის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ამ ცხოვრებასთან ფეხშეუწყობელ კაცს რეჟისორი თითქმის ქრისტეს მსგავს ადამიანად გვიჩვენებს და ჩვენ გვჯერა, რომ იყო ერთი ჭეშმარიტების მიმდევარი მხატვარი, რომელიც თავის თავს სიკეთესთან აიგივებდა. იგი სიხარულითა და ნაღველით ხატავდა სურათებს. აღდგომამდე რამდენი დღით ადრე, იგი ჩაკეტილია სარდაფში მისი კეთილისმსურველების მიერ, რომლებმაც იცოდნენ, რომ ხატვა ერთადერთი რამაა, რაც მას აცოცხლებს. იგი სამი დღის განმავლობაში მუშაობს, განმარტოებული გენიალური ფერწერა. ის აღდგომას გამოუშვეს და ტილოებს შორის, რომელიც დახატა, გამოსახული იყო გოგონა ბუშტით, ადამიანები საქეიფო მაგიდასთან, თითქოს „საიდუმლო სერობის” მსგავსი განლაგებით, მაგრამ საზეიმო განწყობით. იგი ბრუნდება თავის ქოხში. „ვინ არის აქ?”, „რას აკეთებ?” ეუბნება კეთილისმსურველი გლეხი ნიკალას. „ვკვდები”, პასუხობს განდეგილი მხატვარი. „რა დროს სიკვდილია, ქრისტე აღდგა, ხალხი ზეიმობს”. „ქრისტე აღდგა”, ხალხი ერთმანეთს ულოცავს და ტრადიციული რუსული წესით, ორივე ლოყაზე კოცნის ერთმანეთს. ეს არის სურათი მარტოხელა ოსტატზე, რომელიც ცხოვრების მიმოქცევას უპირისპირდება. სურათი საბჭოთა კავშირიდან. ფიროსმანის მეგობარი არ აძლევს მას სიკვდილის საშუალებას და მოკირწყლულ ცარიელ ქუჩაში მდგარ ორთვალამდე მისვლაში ეხმარება, გარეთ კი აღდგომაა. მას თან მიაქვს თავისი საღებავები და ნახატები.





## ფილმის ჩვენება

## 13.3

**სადისკუსიო საკითხები მსჯელობისათვის:**

- *გენიოსი და საზოგადოება*
- *რატომ იღუპება მარტოობასა და გასაჭირში გენიოსი შემოქმედი?*
- *რას ნიშნავს შემოქმედისათვის აღიარება?*

## 13.4

**შეამოწმეთ, როგორ გაიგეთ ფილმი ტესტით №13**

**1. სად გადაწყვიტა ნიკალამ წასვლა?**

ა) ქალაქში

ბ) მთაში

გ) საზღვარგარეთ

დ) არსად

**2. როგორ იხსენიებს მედუქნე შალვა ნიკალას?**

ა) როგორც არტისტს

ბ) როგორც მხატვარს

გ) როგორც მღებავს

დ) როგორც ვაჭარს

**3. ვინ იყო პატარა სონასათვის ნიკალა?**

ა) მამა

ბ) მამინაცვალი

გ) ბიძა

დ) ნათლია

**4. რა მიზნით ეწვია ნიკალა ნათლიმამა დიმიტრის?**

ა) ფულის სასესხებლად

ბ) ოჯახის დასახატად

გ) დუქნის გასახსნელად

დ) უბრალოდ

5. რატომ გააფორმა ნიკალამ თავისი დუქანი ძროხის ნახატებით?

---------------------------------------------------

---------------------------------------------------

6. რა საკითხზე სასაუბროდ ეწვია ნიკალას და?

ა) პურის ფქვილზე
ბ) ცოლის გარიგებაზე
გ) ყველსა და ერბოზე
დ) თავისთან მიპატიჟებაზე

7. როგორ მოიქცევა ნიკალა საკუთარ ნიშნობაზე და რატომ?

---------------------------------------------------

---------------------------------------------------

---------------------------------------------------

8. რატომ აღარ შეიძინა პროდუქტი ნიკალას დუქანში მაყაშ-ვილების მზარეულმა?

ა) სიძვირის გამო
ბ) სიძველის გამო
გ) სიშორის გამო
დ) უმიზეზოდ

კინოენა

9. რატომ დახურა ნიკალამ დუქანი?

---------------------------------------------------

---------------------------------------------------

10. რა დამოკიდებულება აქვს ნიკალას:

| ფულთან | ცოლის მოყვანასთან | ბუნების მიმართ | საკუთარი შემოქმედების მიმართ |
|---|---|---|---|
| | | | |

**11. როგორ გესმის შემდეგი სიტყვები და ფრაზები?**

ა) ვირს რქები არ ამოუვიდა და თავი პატარა ეგონაო
-----------------------------------------------------------

ბ) წუთისოფელი მოკლეა ვირის კუდივითა -------------
-------------------

გ) ახია შენზე -----------------------------------

დ) მარიფათი გამოიჩინე ---------------------------

ე) გეყო წანწალი ---------------------------------

**12. რა იყო ნიკალას ოცნება, ფული რომ ჰქონოდა, რას იზამდა?**

-----------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------

**13. ვინ ჰყვარებია ნიკალას?**

ა) აქტრისა ანასტასია

ბ) აქტრისა მარგარიტა

გ) სოფლელი კატო

დ) ქალბატონი მარიტა

**14. როგორ შეფასებებს იღებს ნიკალა თავისი თანამედროვე მხატვრებისგან?**

| დადებითი | უარყოფითი |
|---|---|
| | |

**15. ვისი საფლავების ნახვა უნდა ნიკალას?**

ა) თამარისა და შოთასი

ბ) მშობლების

გ) ქრისტეს

დ) დავით აღმაშენებლის

**16. გადმოეცით თქვენი სიტყვებით ლადოსა და ნიკალას დიალოგი ნიკალას საცხოვრებელში, კიბის ქვეშ:**

____________________________________________

____________________________________________

____________________________________________

____________________________________________

____________________________________________

____________________________________________

____________________________________________

**17. დაალაგეთ ფილმში განვითარებული მოვლენები თანმიმდევრობით:**

ნიკალას ნიშნობა, აღდგომის დღესასწაული, მხატვარ ლადოსთან შეხვედრა, დუქნის დახურვა

ა) ________________________________________

ბ) ________________________________________

გ) ________________________________________

დ) ________________________________________

კინოენა

**18. რატომ შეიძლებოდა არ მოსწონებოდათ ნიკალა და მისი ნახატები თანამედროვეებს, მოიყვანეთ სამი არგუმენტი:**

ა) ________________________________________

________________________________________

________________________________________

ბ) ________________________________________

________________________________________

________________________________________

გ) ________________________________________

________________________________________

________________________________________

19. რა გაიგეთ მხატვარ ნიკო ფიროსმანის ცხოვრების შესახებ, რაც მისი შემოქმედებისა და პიროვნების გაგებაში დაგეხმარებათ?

## 13.5

**საშინაო დავალება:**

*მოიძიეთ ინტერნეტში რეჟისორ თემურ ფალავანდიშვილის ფილმი „მზე შემოდგომისა" და დაწერეთ ესე „შემოქმედი და გარემო".*



## 14.1

## შერეკილები

**გამოშვების წელი: 1973**

**დამდგმელი რეჟისორი: ელდარ შენგელაია**

ფილმი „შერეკილები" წარმოადგენს ფანტასტიკურ-კომედიური ჟანრის მხატვრულ კინოსურათს, რომელიც კინოსტუდიაში „ქართული ფილმი" შეიქმნა. „შერეკილები" საკავშირო კინოგაქირავებაში ერთი წლის შემდეგ გავიდა. ფილმი წარმოადგენს ინტელექტუალური იუმორითა და სახალისო სცენებით გაჯერებულ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კინოსურათს საქართველოში, რომლის ფრაზებიც მაყურებელმა მალევე აიტაცა.

ფილმის ძირითადი სიუჟეტი შემდეგია: ერთაოზს, მამის გარდაცვალების შემდეგ, სოფელში არაფერი დარჩენია, რადგან, რაც გააჩნდა, იმ ქონებით მამის ვალები გაისტუმრა. ახლობლის რჩევით (ისიდორე ბაბუა), ბედის საძიებლად ქალაქში მიდის. შემთხვევით მემანქანე ტრიფონის მეუღლეს, მარგალიტას, გაიცნობს, რომელიც ქმრის არყოფნით სარგებლობს და თაყვანისმცემლებს მასპინძლობს. მარგალიტაზე ერთი შეხედვით შეყვარებული ერთაოზი მას ციხის უფროსის „ცხედრის" თავიდან მოშორებაში დაეხმარება. „გაცოცხლებული" ხუტა-უფროსი კი ერთაოზს ციხეში უკრავს თავს.

ციხეში ერთაოზი ერთ უცნაურ პატიმარს გაიცნობს – ქრისტეფორე მგალობლიშვილს გარიყულადან, რომელიც „ცათმფრენის" აგების იდეითაა შეპყრობილი. პატიმრები რამდენიმე ხნის შემდეგ ციხიდან გაიქცევიან და ცათმფრენის აგებას შეუდგებიან. „შერეკილებად" მონათლული ქრისტეფორე და ერთაოზი ცათმფრენს მართლაც ააგებენ და გაფრენას მოახერხებენ.

## 14.2

### ნუგზარ 29/11/2009

### გოგი გვახარია – (ამონარიდი სტატიიდან „ელდარ შენგელაია")

ელდარ შენგელაიას შერეკილებმა, ქრისტეფორემ და ერთაოზმა, არა მარტო გაარღვიეს საპყრობილის კარები, დროისა და სივრცის შემოსაზღვრულობიდან უსასრულობაში გავიდნენ, არამედ ჩვენც, მაყურებელიც, „აგვიყვანეს" ამაოებაზე მაღლა და იქიდან, უსაზღვროებიდან, დაგვანახვეს ჩვენივე ბუნების სილამაზე და განუმეორებლობა.

საპყრობილის მეტაფორა განუწყვეტლივ თავს იჩენს ელდარ შენგელაიას შემოქმედებაში: მონობას ნიშნავს დახავსებული ადათ-წესების დაცვა მის ადრეულ ფილმში „მიქელა"; მონობაა აგული ერისთავის უუნარობა, გათავისუფლდეს თავისი კლიენტების „შეკვეთებისგან", გადალახოს, ასე ვთქვათ, „ნორმალური ცხოვრების ნორმები"; მონობას, საკუთარ თავში ჩაკეტვასა და უკიდურეს ეგოცენტრიზმს გულისხმობს პლატონ სამანიშვილის ამაო ზრუნვა საკუთარი სამყოფლის შესანარჩუნებლად, რაც, საბოლოოდ, ამ სამყოფლის დავიწროებითა და შემოფარგვლით სრულდება. თავის ერთ ინტერვიუში ელდარ შენგელაია აღნიშნავდა: „ჩემი იდეალია, როცა ადამიანები მიდიან ზევით და წინ და ერთ ადგილს არ ტკეპნიან". „შერეკილების" ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ ბევრი აღნიშნავდა, რომ ეს არის პირველი საბჭოთა ფილმი, რომელშიც დისიდენტების სახეები შეიქმნა – იმ ადამიანებისა, რომელთაც აპატიმრებენ, საგიჟეთში ამწყვდევენ. ჩვენს კითხვაზე, სად მიფრინავენ შერეკილები, ელდარ შენგელაიამ ასე გვიპასუხა:

„შერეკილები არც დასავლეთში მიფრინავდნენ, არც აღმოსავლეთში და არსად. ისინი, უბრალოდ, მოსწყდნენ იმ რეალობას, რომელშიც ვნახეთ ქვემოთ და ამაღლდნენ ამ რეალობაზე... მოსწყდნენ იმ რეალობას, სადაც არ იყო თავისუფლება".

„ადამიანი თავისუფლებისთვისაა დაბადებული" – უცნაურია, მაგრამ ამ ბანალურ, დიდი ხნის წინ დამკვიდრებულ ჭეშმარიტებას, საბჭოთა კულტურის წარმომადგენლების უმრავლესობა როგორღაც თავს არიდებდა ხოლმე. თავისუფლების მათაც ეშინოდათ. შეიძლება ამიტომაც შეხვდა წინააღმდეგობები „შერეკილებს" ხელისუფლების მხრიდან. ზღაპრის ქვეტექსტი ადვილად გაშიფრეს და სურათის საკავშირო პრემიერა დიდი ხნით შეაჩერეს:

ელდარ შენგელაია – „პრაქტიკულად სურათი ეკრანზე არ გამოუშვეს. იყო მაშინ გარკვეული გრიფები. ამ გრიფებს დაადებდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ სურათი გავიდოდა მხოლოდ საქართველოში, მხოლოდ კლუბებში და ა.შ. ეს ფილმი მერე გახდა უფრო მისაწვდომი მაყურებლისათვის. ისეთი პერიოდი იყო, რომ ვერ აკრძალავდი, მაგრამ მაინც ახერხებდნენ რაღაცას".

ამ გრიფებმა ელდარ შენგელაიას ფილმებს დასავლეთისკენ გზა ჩაუკეტეს. მაშინ, როდესაც „არაჩვეულებრივი გამოფენის", „შერეკილების" დიალოგები, რომლებიც ამ სურათების სცენარის ავტორს – რეზო გაბრიაძეს ეკუთვნის, მთელმა საქართველომ ზეპირად იცოდა, დასავლეთის კინოფესტივალებზე სულ სხვა საბჭოთა ფილმებს უჩვენებდნენ. არადა, იგავის ესთეტიკა, რომელიც რეზო გაბრიაძემ და ელდარ შენგელაიამ ამ ფილმებში დაამკვიდრეს, ეს თავისებური „ეზოპეს ენა" – მხოლოდ ცენზურისთვის უნდა ყოფილიყო გაუგებარი. თორემ ხალხი, სულერთია, რომელ ქვეყანაში, ამ დიალოგების არსს ადვილად ჩასწვდებოდა. შემთხვევით არ შეადარებენ ელდარ შენგელაიას ფილმებს მოგვიანებით, როცა ამ სურათების ნახვა დასავლეთშიც გახდა შესაძლებელი, ლუის ბუნუელის, ვიტორიო დე სიკას ყველა დროის შედევრებს.

მაშ ასე – ამბავი, რომელსაც ელდარ შენგელაია გვიამბობს, ყოველთვის ალეგორიული ხასიათისაა და როგორც ეს

იგავს შეეფერება, ზნეობრივ–დამრიგებლური დასკვნებიც ახლავს. ამავე დროს, შენგელაიას ფილმებში ზნეობრივ–დამრიგებლური დასკვნები არსადაა გაშიშვლებული. იმპროვიზაცია, მოულოდნ–ელობა, თამაში ყველგან წამყვანია.



## ფილმის ჩვენება



### 14.3

**სადისკუსიო საკითხები მსჯელობისათვის:**

- *თავისუფალი ადამიანები*
- *ჭეშმარიტებისა და ცხოვრების საზრისის ძიება*
- *მარადიული ღირებულებები და მარადიული გრძნობები*

### 14.4

**შეამოწმეთ, როგორ გაიგეთ ფილმი ტესტით №14**

**1. ფილმის დასაწყისში რას ასწავლის მიზანა ბრეგვაძე შვილს?**

ა) ცეკვას
ბ) სიმღერას
გ) სუფრის გაშლას
დ) ლექსის წერას

**2. რა დარჩა ერთაოზ ბრეგვაძეს მამისგან მემკვიდრეობით?**

ა) ვენახები
ბ) ვალები
გ) საქონელი
დ) ცათმფრენი

**3. რა დარიგება მიიღო ერთაოზმა ისიდორე ბაბუასგან?**

ა) გაყიდე თაფლი და იყიდე შავი დედალიო
ბ) გაყიდე თაფლი და ვალი გაისტუმრეო

გ) გაყიდე თაფლი და მარგალიტას ესტუმრეო
დ) გაყიდე თაფლი და მაშინ სოფელში დაბრუნდიო

**4. რატომ უხარიათ ხუტა უფროსს და ნოშრევანს მატარებლის ხმის გაგონება?**

---------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------

**5. რას სთავაზობს ხუტა უფროსი მარგალიტას?**

ა) ერთად გაიქცნენ
ბ) ერთად გადავიდნენ საცხოვრებლად
გ) ჩაიდინოს დანაშაული
დ) ბუხრის გაწმენდას

**6. სად მალავს მარგალიტა მასთან მისულ სტუმარ მამაკაცებს?**

ა) მაგიდის ქვეშ
ბ) კარადაში
გ) ბუხარში
დ) ფარდის უკან

**7. რას სთხოვს მარგალიტა ერთაოზს?**

---------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------

**8. რამდენი წელი მიუსაჯეს ერთაოზს ცოცხალი ოდიშელიძის „შავ დედალთან დაძმაკაცებით დამარხვისთვის"?**

ა) 7
ბ) 10
გ) 20
დ) 40

**9. ვინ შეუყვარდა ერთაოზს?**

ა) თამუნია
ბ) მარგალიტა

გ) ეკატერინე

დ) სოფიო

**10. რა არ აძლევს მოსვენებას ციხეში მყოფ ფიზიკოსს, ქრისტეფორე მგალობლიშვილს?**

ა) შურისძიების სურვილი

ბ) გაფრენის იდეა

გ) ვალები

დ) ციხიდან გასვლის სურვილი

**11. რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ხუტა უფროსი და ნოშრევანი?**

-----------------------------------------------

-----------------------------------------------

**12. დააკავშირეთ ერთმანეთთან:**

| | |
|---|---|
| ერთაოზი | ფიზიკოსი |
| ქრისტეფორე მგალობლიშვილი | ციხის უფროსი |
| ხუტა ოდილავაძე | მარგალიტას ქმარი |
| ტრიფონი | ექიმი |
| ნოშრევან კუჭუხიძე | მიზანა ზრეგვაძის ვაჟი |

**13. როგორ მოჰყვებოდით თამუნია ყიფიანისა და ქრისტეფორე მგალობლიშვილის სიყვარულის ისტორიას, ყიფიანების მეზობელი რომ ყოფილიყავით?**

-----------------------------------------------

-----------------------------------------------

**14. რომელ პერსონაჟებს ეკუთვნით შემდეგი სიტყვები? მიუწერეთ:**

ა) ქალებმა დაგღუპეს შენ, ქალებმა

ბ) აბი გლუკოზა

გ) ნეტა ის შავი კაცი ვინ იყო

დ) ემთხვიე წმინდა პორფირეს ხატს

ე) ქალი შემიყვარდა ნამეტნავად

ვ) და ის მიხვდა, რომ მე მე ვარ

**15. დაალაგეთ ფილმში განვითარებული მოვლენები თანმიმდევრობით:**

წმინდა პორფირეს ხატზე დაფიცება, ერთაოზის მიერ ვალების გასტუმრება, მიზანა ბრეგვაძის სიკვდილი, ცათმფრენის აგება, მარგალიტას ხელის თხოვნა

ა) ---------------------------------------------

ბ) ---------------------------------------------

გ) ---------------------------------------------

დ) ---------------------------------------------

ე) ---------------------------------------------

**16. რა მიზნები აქვთ ფილმის გმირებს:**

| ერთაოზს სურს | ქრისტეფორეს ოცნებაა | ნოშრევანს აინტერესებს | მარგალიტას არ უნდა |
|---|---|---|---|
| | | | |

**17. რატომ ეხმარება ნოშრევანი ერთაოზსა და ქრისტეფორეს ცათმფრენის მშენებლობაში?**

-----------------------------------------------------

-----------------------------------------------------

-----------------------------------------------------

-----------------------------------------------------

**18. რატომ ეძახიან ერთაოზსა და ქრისტეფორეს შერეკილებს?**

-----------------------------------------------------

-----------------------------------------------------

-----------------------------------------------------

-----------------------------------------------------

**19. თქვენი აზრით, რა როლი აქვს შავ ქათამს ფილმში?**

------------------------------------------------------------

------------------------------------------------------------

------------------------------------------------------------

**20. რა არის ფილმში თქვენთვის ყველაზე დასამახსოვრებელი?**

------------------------------------------------------------

------------------------------------------------------------

------------------------------------------------------------

## 14.5

**საშინაო დავალება:**

*მოიძიეთ ინტერნეტში რეჟისორ ელდარ შენგელაიას ფილმი „არაჩვეულებრივი გამოფენა" და დაწერეთ ესე „ძიება, პიროვნული თავისუფლება".*



## 15.1

## ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი

### გამოშვების წელი: 1983

### დამდგმელი რეჟისორი: ელდარ შენგელაია

„ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი" წარმოადგენს ქართული კინოს ერთ შედევრს, რომელიც ალეგორიული კომედიაა და ნიღაბს ხდის საბჭოთა ბიუროკრატიზმსა და უპასუხისმგებლობას. მოქმედება ვითარდება ერთ-ერთ შემოქმედებით ორგანიზაციაში, სადაც მუშაობენ თავიანთი ვიწრო, ობივატელური ინტერესების ჩარჩოში მომწყვდეული ადამიანები; ამ სისტემის არაეფექტურობა მთავრდება ამ დაწესებულების ნგრევით, პირდაპირი მნიშვნელობით და – საბჭოთა სისტემის ნგრევით, გადატანითი მნიშვნელობით.

ფილმის ძირითადი სიუჟეტი შემდეგია: ახალგაზრდა მწერალს რედაქციაში მოთხრობა მიაქვს. მისი განხილვის მოლოდინში გადის შემოდგომა, ზამთარი, გაზაფხული... მოთხრობას არათუ არავინ კითხულობს, არამედ მისი ყველა არსებული ეგზემპლარიც უკვალოდ ქრება. ამ დაწესებულებაში ყველა პირადი საქმით არის გართული: დირექტორი მუდამ გადარბენაზეა – თათბირიდან ბანკში, ბანკიდან შეხვედრაზე, შეხვედრიდან ბანკეტზე და ასე

დაუსრულებლად; რედაქტორებიდან ზოგი ფრანგულს სწავლობს, ზოგი კერავს, ზოგი საუზმეს იმზადებს; ვიღაც შვებულებაშია, ვიღაც – მივლინებაში, სხვები ჭადრაკს თამაშობენ... ერთადერთი ადამიანი, ვინც ხელნაწერებს კითხულობს, მღებავია...

## 15.2

**რამდენიმე საინტერესო ფაქტი ფილმ „ცისფერი მთების" შესახებ:**

1. ფილმში „ცისფერი მთები" რეჟისორმა სპორტის სრულიად ახალი სახეობა გამოიგონა – მოტორბურთი. საინტერესოა, რომ მოტორბურთის მოედნად სპორტის სასახლის ტერიტორია გამოიყენეს, სადაც ახალი საცხოვრებელი სახლები აშენდა. ფილმის ბოლო სცენა კი, სადაც ფილმის მთავარი გმირი მარკშეიდერს ხვდება, დიდუბის ხიდთან, სამთო ქიმიის შენობასთანაა დადგმული.
2. საბჭოთა კავშირში მხატვრული ფილმის გადასაღებად ერთიანი სტანდარტი არსებობდა. დაფინანსება იშვიათად იზრდებოდა და თუ ასე ხდებოდა, ე.ი. ფილმი პროპაგანდისტული იყო და სამთავრობო დაკვეთას წარმოადგენდა. სხვა შემთხვევებში, ერთი სურათი დაახლოებით 400 ათასი მანეთი ჯდებოდა. სწორედ ამ თანხით დაფინანსდა „ცისფერი მთებიც".
3. ფილმის სიუჟეტის ნაწილი გრენლანდიის პეიზაჟის ფონზე ვითარდება და ის ნაკლებად ცნობილი მხატვრის კალამს ეკუთვნის. ზატონი ვასო, ომამდელი ტანკისტი, სინამდვილეში ვასილ კახნიაშვილი, მრავალი წლის განმავლობაში გორის სახალხო თეატრის მსახიობი გახლდათ. ფილმის მთავარი გმირი რამაზ გიორგობიანი კი ოთარ იოსელიანის აღმოჩენად მიიჩნევა და მისი კინოდებიუტი შედგა ფილმში „გიორგობისთვე".

**ჟურნალი „24 საათი" ინტერვიუ ელდარ შენგელაიასთან (ამონარიდი)**
**სახელწოდება: „ცისფერი ამბავი ანუ დაუჯერებელი ფილმი"**
**ავტორი: მიხეილ ზასილაძე**

ელდარ შენგელაიას მდიდარი შემოქმედებიდან ერთი ფილმი განსაკუთრებით გამოირჩევა. ეს ფილმი მაყურებელს არასოდეს ბეზრდება. გრელანდიამ, ჯარზე გაჩენილმა ბზარებმა, ალბერტ ჩაჩანიძის ლირიკამ, ზაზა ზაზაევიჩმა და მარკშეიდერმა საქართველოში განსხვავებული სამყარო შექმნეს, რომელსაც „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი" ჰქვია. როგორ იღებდნენ ამ ფილმს და რა იყო საერთოდ „ცისფერი მთები", ამის შესახებ ფილმის რეჟისორი ელდარ შენგელაია გვესაუბრება:

– სამწუხაროა, რომ საბჭოთა კავშირში არ იყო პრაქტიკა ფილმის გადაღების პარალელურად სამუშაო პროცესი გადაგვეღო. ეს მაყურებელს საშუალებას მისცემდა, დეტალურად გასცნობოდა სურათის შექმნის პროცესს. ამის გამო, შავი მასალა უბრალოდ არ არსებობს. რაც დარჩა და ისიც მცირე რაოდენობით, ფოტომასალა და ცნობილი სურათი „გრელანდიაა", რომელიც ახლა ჩემს კაბინეტში ჰკიდია. სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე ამ სურათის ჩარჩოს შენარჩუნება. ჩარჩო კინოსტუდიის რეკვიზიტი იყო და ჩემი დიდი თხოვნის მიუხედავად, იგი არ დამიტოვეს და წაიღეს.

– **როგორ არჩევდით ობიექტებს და სად მიმდინარეობდა ფილმის ძირითადი ნაწილის გადაღება?**

– ფილმის გადაღება რამდენიმე ობიექტზე მიმდინარეობდა. იმ ნაწილს, სადაც მოქმედება კაბინეტებში და დერეფნებში ხდებოდა, ძირითადად კინოსტუდიის დიდ პავილიონში ვიღებდით. ამჟამად ეს პავილიონი აღარ არსებობს, იქ ტელეკომპანია „იმედის" განთავსებული და მთელი გარემო შეცვლილია.

– **კანის ფესტივალზე ითხოვდნენ „ცისფერ მთებს" და არ გაუშვეს. ფესტივალის ორგანიზატორებმა საბჭოთა კავშირს სთხოვეს იმის უფლება მაინც მოგვცეთ, რომ სურათი სპეციალური პროგრამით კონკურსგარეშ გავუშვათო, მაგრამ ესეც არ გააკეთეს.**

– გადაღებები მიმდინარეობდა ძველი მერიის და ახლანდელი საკრებულოს გვერდით, დადიანის ქუჩაზეც, სადაც მაშინ დიდი რედაქცია იყო. მაგალითად, ამ რედაქციაშია გადაღებული დაწესებულების თანამშრომელთა ვარჯიშის სცენა,

ლიფტის ეპიზოდები და დერეფნების ნაწილი. მთაწმინდაზე, ერთ-ერთი ძველი სახლის სადარბაზო კი დაწესებულების შესასვლელად გამოვიყენეთ. ჯიხური, სადაც მოხუცი დარაჯი ზის და მთავარი გმირი სოსო ყოველი შესვლის დროს ესალმება, ჩვენი აშენებულია. ეს იმისთვის გაკეთდა, რომ სადარბაზოს სახელმწიფო დაწესებულების სახე მიეღო. ამ სადარბაზოშია გადაღებული სოსოს, დირექტორის (ზაზა ზაზაევიჩი) და თანამშრომელთა სიარული კიბეებზე. ფანჯარა, რომლის საშუალებითაც ფილმში წელიწადის დროთა ცვლილებაა ნაჩვენები, „ვორონცოვის" მოედანზე ერთ-ერთი სახლის სახურავზე იყო მოწყობილი. ჩვენ იქ სპეციალური კონსტრუქცია ავაგეთ, საიდანაც ვიღებდით მოედანს და ტრამვაის მოძრაობას, რომლის ხაზიც იქ გადიოდა. კონსტრუქცია თითქმის ერთი წელი იდგა სახლის სახურავზე.



## ფილმის ჩვენება

## 15.3

**სადისკუსიო საკითხები მსჯელობისათვის:**

- *ბიუროკრატია*
- *პასუხისმგებლობა*
- *საბჭოთა სისტემა და მისი სიმბოლური კინოენა*

## 15.4

**შეამოწმეთ, თუ როგორ გაიგეთ ფილმი ტესტით №15**

1. **სოსომ წარმოადგინა ახალი ნაშრომი სათაურით „ცისფერი მთები ანუ --------------"?**

   ა) ევერესტი

   ბ) გრენლანდია

   გ) ტიანშანი

   დ) კილიმანჯარო

2. **რით არის დაკავებული ბ-ნ შუქრი სამსახურში?**
   ა) მოხარშულ კვერცხს მიირთმევს
   ბ) ჭადრაკს თამაშობს
   გ) ბზარებს ათვალიერებს
   დ) ფრანგულს სწავლობს

3. **რა ვერ მოახერხა ბატონმა იროდიონმა?**
   ა) შვებულებაში გასვლა
   ბ) გრელანდიის მოშორება
   გ) ნაშრომის განხილვაში მონაწილეობა
   დ) კვერცხების სეიფში შენახვა

4. **რა რჩევა მისცა ბატონმა ვასომ სოსოს?**
   ა) დაარიგოს ეგზემპლარები
   ბ) დაამალოს წაკითხვა თანამშრომლებს
   გ) დირექტორთან შევიდეს

5. **გადმოეცით თქვენი სიტყვებით პატივცემული ვასოსა და გრიშას დიალოგი გრელანდიის გატანის თაობაზე:**

_______________________________________________

_______________________________________________

6. **რით უმასპინძლდება ხოლმე სოსოს ახალი თანამშრომელი ბელა?**
   ა) ხილით
   ბ) ნამცხვრით
   გ) ჩაით
   დ) ყავით

7. **რა არ გაუგია დაწესებულების დირექტორს, ბატონ ვაჟა ზაზაევიჩს?**
   ა) ცხენბურთი
   ბ) ფეხბურთი
   გ) მოტობურთი
   დ) წყალბურთი

**8. რატომ არ წაიკითხავს ბატონი შუქრი სოსოს ნაწარმოებს?**

ა) ნაწყენია

ბ) ქართულად ვერ კითხულობს

გ) არავინ იცის

დ) სოსომ იცის

**9. ვის ეკუთვნის ფილმში გამოთქმული ფრაზები?**

ა) ცოტა შემაქანა ... ------------------------------

ბ) დეფიციტში გარღვევა გაქვთო ---------------------

გ) გაიტანეთ, გაიტანეთ! ----------------------------

დ) გინდ ზევით ადით, გინდ ქვევით ჩადით... ----------

ე) ეს ბზარი იყო? ---------------------------------

**10. რა ფრაზას ამბობს ყველაზე ხშირად დაწესებულების დირექტორი ბატონი ვაჟა?**

ა) ძალიან კარგი

ბ) ძალიან ცუდი

გ) რა კარგია

დ) რა საშინელებაა

**11. ფილმის მიხედვით, ვინ ყოფილა წარსულში ტანკისტი?**

ა) ბატონი ვაჟა

ბ) ბატონი იროდიონი

გ) ბატონი შუქრი

დ) ბატონი ვასო

**12. ვის რა აზრი აქვს სოსოს ნაწარმოების შესახებ?**

| ბ-ნ ვაჟა ზაზაევიჩს | ოთარ ზედგენიძეს | შუქრი გომელაურს | იროდიონს | გამყრელიძეს | ბ-ნ ვასოს |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

**13. რის თაობაზე სურს დირექტორთან საუბარი პროფესიით მარკშეიდერს?**

ა) ბზარების თაობაზე
ბ) მიწისქვეშა ბიძგებზე
გ) იგავ-არაკების თაობაზე
დ) სურათის თაობაზე

**14. დაალაგეთ ფილმში განვითარებული მოვლენები თანმიმდევ-რობით:**

გრელანდიის გამაგრება, არტემ ჩაჩანიძის ვიზიტი, მარკშე-იდერის შეხვედრა დირექტორთან, გრელანდიის ჩამოვარდნა

ა) ----------------------------------------------
ბ) ----------------------------------------------
გ) ----------------------------------------------
დ) ----------------------------------------------

**15. თქვენი აზრით, როგორი ადამიანი შეიძლება იყოს გივი და სად არის იგი?**

------------------------------------------------------
------------------------------------------------------

**16. თქვენი აზრით, რის შესახებ წერს სოსო ნაწარმოებში, წა-რმოიდგინეთ მისი შინაარსი და გამოთქვით თქვენი აზრი ნაშრომის შესახებ:**

------------------------------------------------------
------------------------------------------------------
------------------------------------------------------
------------------------------------------------------

**17. დააკავშირეთ ერთმანეთთან:**

| | |
|---|---|
| მარკშეიდერი | ბუღალტერი |
| ქალბატონი თამარი | მოტობურთის ფედერაციის თავმჯდომარე |
| არტემ ჩაჩანიძე | სამთო ინჟინერი |
| ბატონი ვასო | დირექტორის მდივანი |
| თინა | ყოფილი ტანკისტი |

18. თქვენი აზრით, რა დატვირთვა აქვს ფილმში ხელოსანს?

19. თქვენი აზრით, რატომ ინგრევა ფილმში დაწესებულების შენობა და რა სიმბოლური დატვირთვა აქვს ნგრევას?

20. რა აზრი გაქვთ ფილმის შესახებ? დაწერეთ ერთგვარი რე-ცენზია ფილმის შესახებ.

## 15.5

**საშინაო დავალება:**

*მოიძიეთ ინტერნეტში რეჟისორ რეზო ესაძის ფილმი „ნეილონის ნაძვის ხე" და დაწერეთ ესე „საზოგადოების კრიზისი".*

# გავიგოთ მეტი კინოს შესახებ!





# კინოს დაბადების ისტორია

მსოფლიოში პირველი მოძრაობის დაფიქსირების მცდელობად, რაც, პირველ რიგში, კინოს შექმნის ცდად მიიჩნევა, ალტამირას ნახატებს თვლიან.

ალტამირას ნახატები ესპანეთში, ალტამირას გამოქვაბულში, კედლებზეა ამოტვიფრული. ნახატზე ხარის გამოსახულებაა წარმოჩენილი, რომელსაც მხატვარმა, მოძრაობის რეფლექსირების მიზნით, ოთხი ფეხის ნაცვლად ექვსი მიახატა.



მოგვიანებით, უკვე ანტიკური ხანის ხელოვნებაში, უამრავი ჭურჭელი ან სანადირო ხელსაწყო გაჩნდა, რომლებსაც, მოძრაობის ასოციაციის მიზნით, ძირითადად ცხოველებს და ნადირობის სცენებს ახატავდნენ.

რაც შეეხება უკვე მოძრაობის დასაფიქსირებელ, იმავე კინოს პირველ აპარატს:

ეგრეთ წოდებული „კამერა ობსკურას", იმავე კინოს პირველი აპარატის, პირველი აღწერა ლეონარდო და ვინჩის ეკუთვნის, რომელმაც 1870 წელს პირველმა შეიმუშავა არეკვლის პრინციპი, რომელიც საბოლოოდ კინოს პროექციის ერთ-ერთი საშუალება გახდა. „კამერა ობსკურას" მალევე მოჰქვა იმავე სტილის, თუმცა სხვა სპეციფიკის კინოაპარატი „ლატერნა მაგიკაც", რომელიც პირველად იეზუიტმა ბერმა ათანასიუს კირხერმა შექმნა.



ამ ორი აპარატით დემონსტრირება და ახალი პატენტების მიღება მთელ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ პროფესიად იქცა. გამომგონებლები უამრავ ქვეყანაში მოგზაურობდნენ, რათა თავიანთი ახალი აპარატები და მიღწევები ყველასთვის ეჩვენებინათ. ასეთ ადამიანებს „მოხეტიალე შოუმენები" შეარქვეს. კინოს აპარატებს სასტიკად ებრძოდა კათოლიკური ეკლესია და მათ გამომგონებლებს საქვეყნოდ ეშმაკებს უწოდებდა.

1889 წელს „მოხეტიალე შოუმენმა" პაულ ფილიდორმა ბერლინში საშინელებათა ფოტოების ჩვენება მოაწყო, რასაც თან ახლდა კვამლისა და საშინელებათა ხმების ეფექტი. დარბაზში მსხდომ აუდიტორიას ჩვენების იმდენად შეეშინდა, რომ სეანსი ჩაშალეს. ფილიდორი კი სიკვდილით დასჯას ძლივს გადაურჩა.

შემდგომი პერიოდი, მეცხრამეტე საუკუნე, კინემატოგრაფიისთვის ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდს წარმოადგენს. ამ პერიოდს კინოკრიტიკოსები „გამოგონებების ასწლეულს" უწოდებენ.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან კინოაპარატები ბევრად უფრო დაიხვეწა. 1826 წელს ნიეპსმა „კამერა ობსკურას" საშუალებით პირველი სრულფასოვანი ფოტოს გადაღება შეძლო, რომელსაც მოგვიანებით მზის ჩანახატი ეწოდა. პირველი სრულფასოვანი ფილმი კი ამერიკელმა ლე პრენსმა გადაიღო. ეს იყო რამდენიმეწამიანი კინოსურათი „ტრანსპორტის მოძრაობა ლიდსის ხიდზე".

თომას ალვა ედისონი, რომელმაც თავისი დროის საუკეთესო კინოაპარატი შექმნა, ხმის და ჩაწერის რეპროდუქციის გამომგონებელია. მან გამოიგონა ხელსაწყო, რომლის საშუალებითაც ფილმებს ფონად მუსიკა მიჰყვებოდა. სწორედ ამ აპარატზე დაყრდნობით შეიქმნა მაგნიტოფონიც.

ედისონის კომპანიამ უამრავი ფილმი გადაიღო, თუმცა ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სურათად „ფრედ ოტის ცხვირის დაცემინება" ითვლება.

კინოისტორიაში ერთ-ერთი ცნობილი დემონსტრატორები იყვნენ ძმები ლუმიერებიც. 1894 წელს ანტუან ლუმიერმა პარიზში, ედისონის „კინეტოსკოპის" დემონსტრაციის შემდეგ, ძალიან მაღალ ფასად კინეტოსკოპი შეისყიდა და ლიონში პირველი ჩვენება გამართა. მოგვიანებით ძმებმა კინეტოსკოპის მსგავსი ხელსაწყო თავადაც დაამზადეს, რომელსაც სინემატოგრაფი უწოდეს და მთელს მსოფლიოში დემონსტრირება დაიწყეს. ლუმიერების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფილმია „მუშების გამოსვლა ლუმიერების ფაბრიკიდან". ფილმი იმდენად პოპულარული გახდა, რომ მოგვიანებით მისი უამრავი რიმეიკი შეიქმნა.

ლუმიერებმა საკუთარი კინოფირის წარმოება დაიწყეს და კინოოპერატორობის შემსწავლელი კურსებიც ჩამოაყალიბეს. უკვე 1897 წლისთვის ლუმიერებს 358, ხოლო 1898 წელს – 1000 ფილმი ჰქონდათ შექმნილი.

კინოს შექმნასა და განვითარებაში ასევე დიდი როლი ითამაშა ჟან მელიესმა, რომელმაც კინოჩვენება პირველად გრანკაფეში ლუმიერების კინოსეანსზე იხილა. მოგვიანებით მან 28 000 ფრანკად კინოკამერა შეისყიდა და 1896 წელს საკუთარ თეატრში პირველი კინოჩვენება მოაწყო. მელიესმა რამდენიმე ხანში ფილმების გადაღებაც დაიწყო. პირველი სურათი იყო ერთწუთიანი „ბანქოს თამაში". მელიესი იყო პირველი ადამიანი, რომელმაც კინოში ეგრეთ წოდებული ჰორორის თემა შემოიტანა (საშინელებათა ფილმი: „თავზარდამცემი ღამე"). ასევე, მელიესს ეკუთვნის ეგრეთ წოდებული „კატასტროფული ფილმების" გამოგონების იდეაც.

კინემატოგრაფიის შექმნაში ასევე დიდი წვლილი მიუძღვით ფრანგული კინოს წარმომადგენლებს: შარლ მორან პატეს და ერნესტ გომონს. რომლებმაც საკუთარი კინოკომპანია გახსნეს და როგორც აპარატის პატენტების მიღებაზე, ასევე უამრავი ფილმის შექმნაზე ერთობლივად მუშაობდნენ.

პატემ პირველმა გამოუშვა ყოველკვირეული „კინოჟურნალი" და მთელს მსოფლიოში 200-ზე მეტ კინოდარბაზს ფლობდა, რის გამოც მელიესსა და ლუმიერებზე პოპულარული გახდა.

კინოპერსონაჟების წარმოებასა და განვითარებაში ასევე მნიშ-ვნელოვანი როლი ითამაშეს ძმა-შვილმა ლუთერებმა. 1895 წლის 21 აპრილს მათ „მედისონ სქუერ გარდენის" სახურავზე პირველი ამერიკული ფილმი გადაიღეს. ამერიკული კინოს ცნო-ბილი წარმომადგენელია ზელიგიც, რომელმაც საკუთარი კინო-კომპანია დააარსა და ძალიან ბევრ კომედიას იღებდა.

1900 წლიდან ამერიკაში დაარსდა ცნობილი კომპანიები: „ბაიოგრაფი", „ესენეი", კალემი, რომლებიც მაქს ანდერსონმა და ჯორჯ სპურმა ჩამოაყალიბეს. სწორედ ამ პერიოდში ამერიკაში გაჩნდა ეგრეთ წოდებული „კინოვარსკვლავთა სისტემა". ყველა კომპანიას საკუთარი სახე, ვარსკვლავი ჰყავდა და მაყურებელიც უკვე სწორედ მსახიობთა მიხედვით არჩევდა, რომელი ფილმი ენახა. სწორედ ამ სისტემის გაჩენის შედეგად ჩაეყარა საფუძვე-ლი ჰოლივუდის წარმოშობას, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდ კინოინდუსტრიას წარმოადგენს.

უხმო კინოს დაბადებასა და, ზოგადად, მის განვითარებაში ძალიან დიდი როლი ითამაშა დევიდ გრიფითმა, რომელსაც, მისი ახლებური ხედვისა და განსხვავებული გამომსახველობითი ხერხების გამო, „ჰოლივუდის მეფეს" და „ეკრანის შექსპირს" უწოდებდნენ. სწორედ გრიფიტს ეკუთვნის კინოში პარალელური მონტაჟის გამოყენების იდეაც.

დაბოლოს, უხმო კინოს პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე გა-მორჩეული მსახიობი, რომელმაც მთელ მსოფლიოში წარმოუდგე-ნელი პოპულარობა მოიპოვა და რომელიც კინოს გახმოვანების შემდეგაც უარს ამბობდა ხმოვან ფილმებში თამაშზე, ჩარლი ჩაპლინი იყო. ჩაპლინმა სამსახიობო მოღვაწეობა თეატრში დაი-წყო, მოგვიანებით კი კინოსტუდია „კისტოუნში" მივიდა სამუშაოდ. ჩარლი ჩაპლინი სულ რამდენიმე თვეში ყველასთვის საყვარელ მსახიობად იქცა, რომელმაც არასტანდარტული და ორსახოვანი გმირი შექმნა და ყველანაირი მაყურებლისთვის მისაღები გახდა. მისი ცნობილი ფილმებია: „ბიჭუნა", „ოქროს ციებ-ცხელება", „დი-ქტატორი" და სხვა.

# ქართული კინოს დაბადება

საქართველოში კინემატოგრაფიის შესახებ პირველად მე–20 საუკუნის დასაწყისში შეიტყვეს. ქართული კინო არსებობის 100 წელზე მეტს მოიცავს. ქართველი მაყურებელი თავდაპირველად 1896 წელს **ძმები ლუმიერების** კინემატოგრაფს გაეცნო. 1900 წელს ფოტოგრაფმა დავით დიღმელოვმა ლუმიერების სისტემის საპროექციო აპარატურა შეიძინა და ვაჟთან – ალექსანდრესთან ერთად, ჯონ მორისის ფსევდონიმით, საქართველოს სხვადასხვა მხარე მოიარა. 1905 წელს სოფია ივანიცკაიამ – ოდესელმა ქალმა – მუშტაიდის ბაღში იმ დროისათვის საკმაოდ დიდი საზაფხულო კინოთეატრი ააშენა. სოფია ივანიცკაიას ფინანსური მხარდაჭერით, ალექსანდრე დიღმელოვმა 1909 წელს პირველი კინოქრონიკის გადაღება დაიწყო. აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით ამ ფილმის ნეგატივები კინოქრონიკისთვის პატემ შეიძინა. რა თქმა უნდა, თავდაპირველად, როგორც ყველა ქვეყანაში, ასევე საქართველოშიც – კინოს ბევრი მტერი გამოუჩნდა. როდესაც თბილისში ლუმიერების აპარატით პირველი კინოჩვენება გაიმართა, კინოს ქართველებმა ეშმაკის მანქანა უწოდეს და დიდი ხნის განმავლობაში მის არსებობას აპროტესტებდნენ.



1912 წ. ვასილ ამაშუკელმა პირველი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში" გადაიღო, რომელიც ქართველი პოეტის მოგზაურობას აღწერს.

ვასილ ამაშუკელი იყო ამ ნამუშევრის რეჟისორიც, ოპერატორიც და მემონტაჟეც. მან აკაკის მოგზაურობის გადაღებისას 1600 მეტრამდე კინოფირი დახარჯა. მოგზაურობის შემდეგ რეჟისორმა ფირი სოფიო ივანიცკაიას ლაბორატორიაში გასამჟღავნებლად ჩააბარა.

ფილმის პრემიერა 1912 წლის სექტემბერში ქუთაისში, კინოთეატრ რადიუმ-ში გაიმართა.

მოგვიანებით, უკვე 1916–1928 წლებში, პროდიუსერმა გერმანე გოგიტიძემ ალექსანდრე წუწუნავას რეჟისურით პირველი ქართული მხატვრული ფილმი „ქრისტინე" გადაიღო. ფილმი ეგნატე ნინოშვილის მოთხრობას ეფუძნება.

ფილმის გადაღებები 1916 წელს დაიწყო. სურათში ნაჩვენებია პროვინციელი გოგოს ისტორია, რომელიც აზნაურისგან უკანონოდ ორსულდება. მას მშობლები და სოფელი არ მიიღებს, რის გამოც თბილისში გამოიქცევა და საროსკიპოში იწყებს მუშაობას. საბოლოოდ ქრისტინე დაავადმყოფდება და მათხოვრობას იწყებს. ქართული მხატვრული კინოს დაბადება საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნას დაემთხვა, მისი პირველი ნარმატებები – საბჭოთა ეპოქის სანყისებს. ფილმი „ქრისტინე" თვალნათელი მაგალითია, თუ როგორი სტერეოტიპული იყო ქართული კინო, რომელიც გაჩენისთანავე წინ სოციალური გადაგვარების გზაზე მდგომ პერსონაჟებს ნამოსწევდა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921 წელს, განათლების სახალხო კომისარიატში კინოს სექცია გაიხსნა. 1923–1928 წლებში ეს სექცია ***სახკინმრეწველობად*** ჩამოყალიბდა. ქართულ კინონარმოებაში აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთიდან ჩამოსული რეჟისორები: ივანე პერესტიანი, ამო ბეკ-ნაზაროვი, ვლადიმერ ბარსკი. პერესტიანმა ქართულ კინოში რევოლუციური თემატიკა შეიტანა. აღსანიშნავია მისი ფილმები „არსენა

ყაჩაღი" (1921 წ.), „სურამის ციხე" (1922 წ.), „წითელი ეშმაკუნები" (1923 წ.)... ასევე, მაყურებელთა მოწონებას იმსახურებდა ალექსანდრე წუწუნავას ფილმები: „ვინ არის დამნაშავე" (1925 წ.), „ხანუმა" (1926 წ.), „ჯანყი გურიაში" (1928 წ.). სწორედ წუწუნავას ფილმებში მონაწილეობდა პირველი ქართველი კინოვარსკვლავი ნატო ვაჩნაძე. 1924–1929 წლებში ქართულ კინოში მოღვაწეობდა თეატრის რეჟისორი კოტე მარჯანიშვილიც.

1928 წლიდან შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში ისეთი ცნობილი ფილმები შეიქმნა, როგორებიცაა: ნიკოლოზ შენგელაიას „ელისო" (1928), კოტე მიქაბერიძის „ჩემი ბებია" (1929), მიხეილ კალატოზოვის „ჯიმ შვანთე" (1930) და მიხეილ ჭიაურელის „ხაბარდა" (1931). ახალგაზრდა რეჟისორებმა კინემატოგრაფიის ახალი და ორიგინალური ფორმები ჩამოაყალიბეს. თუმცა ზუსტად ამ პერიოდში კინოცენზურა ძალიან გამკაცრდა, რის გამოც ავანგარდის ხელოვნების ნიმუშს, ფილმს „ჩემი ბებია" 40 წლის მანძილზე ეკრანებზე არ უშვებდნენ. ასევე, საბჭოთა ცენზურის გამო აკრძალული იყო მიხეილ კალატოზიშვილის ფილმის „ლურსმანი ჩექმაში" (1931) ჩვენებაც.

მოგვიანებით, უკვე 30–40-იანი წლების ქართული კინოს საბჭოთა სახელმძღვანელოებრივ იდეოლოგიას სოციალისტური რეალიზმი განსაზღვრავდა. ამ პერიოდის ფილმებს ხშირად პროპაგანდისტული, საავიტაციო ხასიათი ჰქონდა. ამ პერიოდის ფილმებს შორის აღსანიშნავია: მიხეილ ჭიაურელის ეპიკურ-ისტორიული ფილმები: „არსენა" (1937), „გიორგი სააკაძე" (1942–43), „დიადი განთიადი" (1938 წ.), „ფიცი" (1946 წ.), „ბერლინის დაცემა" (1950 წ.), „დაუვიწყარი 1919 წელი" (1952 წ.). იმავდროულად, 30–40-იან წლებში იქმნებოდა კომედიური ფილმები: „ქუჯუნას მზითევი" (1934 წ.), „დაკარგული სამოთხე" (1937 წ.), „ქეთო და კოტე" (1948 წ.).

კინორეჟისორების უკვე ახალი ტალღა 50-იანი წლების დასაწყისიდან გამოჩნდა. ქართულმა კინომ სრულიად ახალ დონეს მიაღწია. ბევრი ფილმი საბჭოთა ცენზურას შეეწირა. თუმცა, ამასთანავე, საბჭოთა დაფინანსებით იქმნებოდა კინოს შედევრები.

სწორედ ამ დროს გამოჩნდნენ ელდარ და გიორგი შენგელაიები, ოთარ იოსელიანი, მერაბ კოკოჩაშვილი, სერგო ფარაჯანოვი, ალექსანდრე რეხვიაშვილი, მიხეილ კობახიძე, რომლებმაც შემდგომი ათწლეული ქართულ კინოში საბჭოთა ცენზურის წინააღმდეგ ფარულ ბრძოლასა და საპროტესტო ფაზულის მატარებელი სურათების შექმნას მოანდომეს. ისინი ქართული კინოს პროტაგონისტებს წარმოადგენდნენ, რომლებიც დამკვიდრებული წეს-ჩვეულებებისა და სტერეოტიპების წინააღმდეგ იბრძოდნენ.

ამ პერიოდის ფილმებს კინოკრიტიკოსები ***დისიდენტურ კინოსაც*** უწოდებენ. სწორედ ეს პერიოდი ითვლება ქართული კინოს აღორძინების ხანად. მოგვიანებით საბჭოთა კავშირის ცენზურა გაქრა და ქართულმა კინომ სიმბოლური ენისგან გათავისუფლება დაიწყო. ბოლო დროს ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით, ოთარ იოსელიანის „გიორგობის თვე", გიორგი შენგელაიას „ალავერდობა", ელდარ შენგელაიას „არაჩვეულებრივი გამოფენა" და მერაბ კოკოჩაშვილის „დიდი მწვანე ველი" დღესაც ყველაზე საყვარელი 10 ქართული ფილმის სიაში შედის.

შემდეგი თაობა 80-იან წლებში გამოჩნდა – თემურ ბაბლუანი, ნანა ჯორჯაძე, დიტო ცინცაძე, ტატო კოტეტიშვილი, ლევან ზაქარეიშვილი, გოგიტა ჭყონია, ალეკო ცაბაძე და სხვები. მათი მოღვაწეობა საბჭოთა კავშირის ნგრევას და გაუარესებულ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოს დაემთხვა. ამის გამო მათ საქართველოში მხოლოდ რამდენიმე ფილმის გადაღება მოახერხეს.

90-იან წლებში უსახსრობის გამო ცალკეულ ფილმებზე მუშაობა წლების განმავლობაში იწელებოდა. უამრავი ადამიანი საერთოდ ჩამოშორდა შემოქმედებით პროცესს. ამ პერიოდში ფილმების მინიმალური რაოდენობა გადაიღეს. ერთადერთი გამონაკლისი იყო 1996 წელს გადაღებული ფილმი „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი", რომელიც ქართულ-ფრანგული ერთობლივი პროდუქცია იყო და საუკეთესო უცხოური ფილმის კატეგორიაში „ოსკარზეც" წარადგინეს.

მსოფლიოში ყველაზე დიდმა კინოპორტალმა "IMDB" ყველა დროის ათი საუკეთესო ქართული ფილმის სია გამოაქვეყნა: 1. „მო-

ნანიებმა"; 2. „ჯარისკაცის მამა"; 3. „უძინართა მზე"; 4. „ცის-ფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი"; 5. „ფესვები"; 6. „დიდი მწვანე ველი"; 7. „ფიროსმანი"; 8. „ქუჩის დღეები"; 9. „ნატვრის ხე"; 10. „არაჩვეულებრივი გამოფენა".

## საბჭოთა კინო

საბჭოთა კინო, რომელმაც ნამდვილად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მსოფლიო კინემატოგრაფიის განვითარებაში, „ინდივიდუ-ალურ კინოდ" 1917 წლიდან ჩამოყალიბდა. კინოს განვითარები-სა და პოპულარიზაციის პირველი სულისჩამდგმელი ვლადიმერ ლენინი გახლდათ, რომელიც ფიქრობდა, რომ თანამედროვე ხე-ლოვნების დარგი ადამიანების მართვისა და მასობრივი კომუნი-კაციის საუკეთესო საშუალება იქნებოდა. სწორედ ლენინის დიდი მონდომებით და დახმარებით, 1918 წელს პეტროგრადის 64 კინოთეატრი და ორი კინოქარხანა მეპატრონეებს ჩამოერთვათ, კინოკომიტეტებად გადაკეთდა და სახელმწიფოს დაქვემდებარე-ბაში გადავიდა. 1919 წელს კი საბჭოთა კავშირში – კერძოდ, რუსეთში, დაფუძნდა სახელმწიფო კინოსკოლა, სადაც მომავალ მსახიობებს უნდა ესწავლათ. ეს იყო მსოფლიოში პირველი კი-ნოსასწავლებელი.

სწორედ ამ დროს დაიწყეს საბჭოთა კავშირის ცნობილი „აგიტკების" – იმავე აგიტაციური ფილმების გადაღება. ეს იყო კულტურულ-აღმზრდელობითი ფილმები, რომლებიც თავის თავ-ში ძირითადად სახელმწიფოს დადებითი მხარეების წარმოჩენას მოიცავდა. 1918 წელს გადაიღეს პირველი ასეთი ტიპის ფილმი „გამკვრივება". ამ ფილმის სახალხო დემონსტრაცია ბოლშევიკებ-მა თავის კონტროლირებად ტერიტორიაზე მოაწყვეს. საბჭოთა კინოს მნიშვნელოვანი კინოშემოქმედები იყვნენ სერგეი ეიზენ-შტეინი და ლევ კულეშოვი, რომლებმაც მსოფლიო კინოს განვი-თარებაში ნამდვილად დიდი წვლილი შეიტანეს. კინოკრიტიკოსები ეიზენშტეინს ხშირად ადარებენ დევიდ გრიფიტს, რადგან მან კინოში უამრავი ახალი, ინოვაციური ხერხი და კინოფილმის გადაღების სრულიად ახალი ტექნიკა შეიმუშავა. მისი ყველაზე

ცნობილი ფილმებია „ჯავშნოსანი პოტიომკინი", „ოქტომბერი", „გაფიცვა" და სხვა.

იმავე მიმართულებით, ინოვაციის თვალსაზრისით, ასევე ძალიან საინტერესო იყო ლევ კულეშოვი, რომელმაც პირველი კინოსასწავლო სახელოსნო შექმნა. იგი მსოფლიო კინოისტორიაში ცნობილია „კულეშოვის ეფექტის სახელით". კულეშოვი მიიჩნევდა, რომ კინოში კადრთა თანმიმდევრობას სიტყვაციის ახსნა და განსაზღვრა შეეძლო. მოზჟუხინის პარალელური მონტაჟის წყალობით კი მან დაამტკიცა, რომ დაპირისპირების მეთოდი ადამიანის შემეცნებაში ნანახის გააზრებას უდევს საფუძვლად.

დაახლოებით 1924 წლისთვის კულეშოვს და ეიზენშტეინს შორის დიდი დაპირისპირება დაიწყო. ეიზენშტეინი ამტკიცებდა, რომ კინოს მაყურებლისთვის არა მხოლოდ იდეები და ისტორიები უნდა ეჩვენებინა, არამედ ეს ყველაფერი უნდა დაეჯერებინა მისთვის. სწორედ ამ მოსაზრების გასამყარებლად ეიზენშტეინი აქტიურად იღებდა პოლიტიკური აგიტაციის ფილმებს, რომლებსაც „სოციალურ შეკვეთებს" უწოდებდნენ. ამის საპირისპიროდ, კულეშოვი უარყოფდა პოლიტიკური პერსონების, მუშებისა და ჟანდარმების გადაღებას, რადგან მიიჩნევდა, რომ ისინი ფილმს არაკინოგენურს ხდიდნენ და ესთეტიკას აკარგვინებდნენ...

ამ პერიოდის ქართველი რეჟისორების გახმაურებული ფილმია „წითელი ეშმაკუნები"; ეს იყო ისტორიულ-რევოლუციური სურათი, რომელიც 1923 წელს ივანე პერესტიანმა გადაიღო. ფილმში ნაჩვენები იყო ახალგაზრდების გალაშქრება საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგეებთან.

უკვე 1930-იანი წლებისთვის საბჭოთა კინოში გამოჩნდა ქართველი ავანგარდისტი რეჟისორი მიხეილ კალატოზიშვილი (კალატოზოვი), რომელიც ერთადერთი იყო საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელმაც ფილმით „მიფრინავენ წეროები" კანის ფესტივალის „ოქროს პალმა" მიიღო. იგი ოცდაექვსი წლის იყო, როდესაც თავისი პირველი ფილმი „ჯიმ შვანთე" გადაიღო და ეს ფილმი, შეიძლება თამამად ითქვას, რომ საბჭოთა პერიოდის ერთ-ერთი საუკეთესო სურათია.



40–იან და 50–იან წლებში საბჭოთა კინო ისევ ე.წ. „კულტურფილმებზე” მუშაობდა. რეჟისორები იღებდნენ ხელისუფლების დაკვეთილ ფილმებს და მათი მუშაობის დადებითად ამსახველ სურათებს. 60–70–იანი და 80–იანი წლები კი უკვე სიმბოლოებით გაჯერებული პროტესტით სავსე ფილმებით იცვლება. რეჟისორები იწყებენ თავიანთი პროტესტის წარმოჩენას კინოში, უბრალოდ – არა პირდაპირი გზებით, არამედ სიმბოლური, შეფარული იდეებით... ამის თვალნათელი მაგალითია ფილმი „შერეკილები” და „ცისფერი მთები”, სადაც საბჭოეთის მიმართ უკვე დიდი კრიტიკა და ირონია იგრძნობა, თუმცა თითოეული პრობლემა შეფარული ენით არის გადმოცემული. მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით, 90–იანი წლებისთვის, კინოც და მსოფლიოც საბჭოეთისგან გათავისუფლდა, კრიტიკოსები დღემდე ამბობენ, რომ საბჭოთა ქვეყნებს, ყველაზე მეტად კი საქართველოს, დღემდე უჭირს რეალობის ზუსტი რეფლექსირება კინოში და დღემდე სიმბოლურ კინოხერხებს იყენებს. ხშირად იწერება, რომ ქართული კინო ვერ გათავისუფლდა წინაპრების გავლენისგან.

## დოკუმენტური კინო

დოკუმენტური კინოს შემქმნელებად მსოფლიოში პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმის ავტორი ლუ პრენსი და ძმები ლუმიერებიც კი შეგვიძლია დავასახელოთ. რეალურად, როგორც კი

გაჩნდა კინო, გაჩნდა დოკუმენტური კინოც. თავდაპირველად ხომ სწორედ ქრონიკალურ კადრებს იღებდნენ. მაგალითად, ლუმიერებმა თავიანთ ფილმში საკუთარი ქარხნიდან გამოსული მუშების ისტორია ასახეს.

თუმცა, დოკუმენტური კინოს, როგორც ჟანრის, პირველ სრულფასოვან ფუძემდებლებად გერმანელი ძმები – უილიამ და ფრედერიკ ლანგენჰაიმები სახელდებიან.

მათ პირველი სადებიუტო წარდგენა ფილადელფიაში 1849 წელს მოაწყვეს და ძალიან მალე მთელ მსოფლიოში სახელი გაითქვეს. ძმების ლექცია-ჩვენებები უამრავმა კინოდემონსტრატორმა მოიწონა და ძალიან მალე მათ მრავალფეროვანი პროგრამები შეიმუშავეს. დიდი პოპულარობით სარგებლობდა ლექცია-ჩვენებები ქალაქებსა და სოფლებში, სადაც ინდუსტრიალიზაცია ნაკლებად იყო წარმოჩენილი. მოთხოვნადი პროგრამა იყო ჯორჯ ვაშინგტონ უილსონის დოკუმენტური სურათი „გზა კუნძულისკენ”. მაყურებელს ადამიანების ცხოვრების ამსახველი ისტორიები, განსაკუთრებით კი ემიგრანტებზე ნაჩვენები ამბები იზიდავდა. ძალიან მალე დოკუმენტური კინო იმდენად პოპულარული გახდა, რომ მხატვრული კინოსურათების გვერდით აუცილებლად უნდა ყოფილიყო დოკუმენტური ფილმებიც. ერთი კომპანია ორივე სახეობის პროდუქციას ერთდროულად იღებდა.

დოკუმენტური კინოს განვითარებაში დიდი როლი ითამაშეს ფრანგულმა კინოჟურნალებმა, რომლებიც დოკუმენტურ ქრონიკებზე როგორც დადებით, ასევე უარყოფით შეფასებებს წერდნენ. ფრანგული ჟურნალების პრაქტიკა მალე გავრცელდა ევროპასა და ამერიკაშიც. დიდი გამოხმაურება ჰქონდა ფრანგულ-ბრიტანულ ნამუშევარს „კაპიტან სკოტის სამხრეთ პოლუსის ექსპედიცია”, რომელიც 1913 წელს ჰერბერტ პონტინგმა გადაიღო. ეს ფილმი დიდი ხნის განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა ეკრანზე ანშლაგით გადიოდა; მისი დისტრიბუცია თავად გომონმაც კი გადაწყვიტა.

ასევე ძალიან მოთხოვნადი იყო ეგზოტიკურ-სათავგადასავლო დოკუმენტური ფილმები, რომელთა შორის ყველაზე გამორჩეული

„თავებზე მონადირის ქვეყანაში" გახლდათ. დოკუმენტური კინოს მიმართულებით საკმაოდ აქტიურობდა საბჭოთა რუსეთიც. ძიგა ვერტოვმა, რომელიც საბჭოთა კინოდოკუმენტალისტიკის ფუძემდებლად მიიჩნევა, გადაიღო ფილმი „რევოლუციის წლისთავი". ვერტოვი ცდილობდა, ყველასგან განსხვავებული კინო შეექმნა. ის ფილმებს ისეთი გამომსახველობით და თხრობითი თანმიმდევრობითი ეფექტებით ამონტაჟებდა, რომ ყველას მოწონებას იმსახურებდა.

მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტური ფილმების გადაღება მხატვრულზე ბევრად იაფი ჯდებოდა, მათმა წარმოებამ ცხადყო, რომ დამფინანსებლებს მოგების შანსი არ ჰქონდათ. ეს არ იყო კომერციულად მომგებიანი კინო, ამიტომაც მისი ბუმი მალევე დასრულდა. თუმცა, დოკუმენტურ ფილმებს დიდ კინოთეატრებში მაინც აჩვენებდნენ, რადგან მათ საინფორმაციო და საგანმანათლებლო დანიშნულება მიენიჭათ. დოკუმენტურ ფილმებს აქტიურად აჩვენებდნენ როგორც ეკლესიებსა და სკოლებში, ასევე სხვა მრავალ კულტურულ დაწესებულებაში.

## მულტიპლიკაციის შექმნის ისტორია

„ანიმა" ლათინური სიტყვაა და ქართულად *სულს* ნიშნავს, სიტყვა ანიმაცია კი *გაცოცხლებას*. ანიმაცია თოჯინური და ნახატი ფილმებისგან შედგება, რომლებიც ძირითადად ბავშვებზეა გათვლილი, თუმცა არსებობს ანიმაცია უფროსი თაობისთვისაც.

მულტიპლიკაციის შექმნას, რა თქმა უნდა, წინ უამრავი აპარატის შექმნა, მრავალფეროვანი პატენტების ბევრნაირი მცდელობა უძღოდა. თუმცა, კინოისტორიკოსები მულტიპლიკაციის დაბადების ოფიციალურ თარიღად 1877 წლის 30 აგვისტოს ასახელებენ. ამ დღეს შარლ ემილ რეინომ, რომელიც თვითნასწავლი მხატვარი და გრავიორი გახლდათ, პარიზში თავისი აპარატი „პრაქსინოსკოპი" დააპატენტა (აპარატი დოლაკში განთავსებული სწორკუთხა სარკეებით, რისი საშუალებითაც ის შუშის გავლით ელასტიკურ ფირფიტებზე დართულ მოძრავ ნახატებს

აჩვენებდა). ეს დღე ითვლება ანიმაციის დაბადების თარიღად. კინოკრიტიკოსებმა, რომლებიც „პრაქსინოსკოპის" წარდგენას ესწრებოდნენ, რეინოს ნამუშევარს „გასულიერებული ნახატის ხელოვნება" უწოდეს. მოგვიანებით, რეინომ დახატული ნახატებით დემონსტრირებაც დაიწყო. იგი აპარატით დახატულ პროექციას დემონსტრირებდა, რის ფონზეც მოქმედება მიმდინარეობდა. ამ ხელსაწყოს საშუალებით რეინომ შეძლო არა მარტო მოძრაობის (რასაც პრაქსინოსკოპითაც აკეთებდა), არამედ თანმიმდევრული ამბის, ისტორიის ჩვენება. მას საკმაოდ ბევრი მულტიპლიკაციური გმირი ჰყავდა, რომელთა დახატვას ძალიან დიდი დრო სჭირდებოდა და მათი საშუალებით 20-წუთიან ნახატ ამბავს – ნახატ ფილმს აჩვენებდა. სწორედ ასე ჩაეყარა საფუძველი ანიმაციას.

უკვე 1892 წლისთვის რეინო საკუთარ, ეგრეთ წოდებულ „ოპტიკურ თეატრს" ფლობდა. პარიზში მისი მულტიპლიკაციური სანახაობა ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ოპტიკური თეატრის პრემიერას კი, რომელიც ცვილის ფიგურების მუზეუმში შედგა, „მოკაშკაშე პანტომიმები" ეწოდა. რეინოს მულტისეანსებს თან ერთვოდა მუსიკალური და ხმოვანი ეფექტები, რაც საზოგადოებას უფრო ცოცხალ სანახაობას სთავაზობდა და ამიტომ რეინოს პროგრამა პრემიერიდან რამდენიმე ხანში ნახევარ მილიონზე მეტმა ადამიანმა ნახა. რეინოს სულ გაკეთებული ჰქონდა შვიდი მულტიპლიკაციური ფილმი. მან გადაწყვიტა, ახალი აპარატი შეექმნა, რომელშიც ნახატების ნაცვლად უკვე ფოტოებს ამოძრავებდა, თუმცა, დიდი წვალების მიუხედავად, პროგრესული აპარატის შექმნა ველარ შეძლო, რის გამოც დეპრესიაში ჩავარდა, თავისი აპარატი დალეწა და ფირებთან ერთად მდინარეში გადაყარა. სამწუხაროდ, რეინოს ნამუშევრებიდან დღემდე მხოლოდ ორი მულტიპლიკაციური ფილმი: „კაბინის ირგვლივ" და „საბრალო პიერო" შემორჩა. მულტიპლიკაციური ფილმების გადაღება მოგვიანებით დაიწყეს პატემ, ედისონმა, ემილ კოლიმ. კოლი ანიმაციას თვითგამოხატვის ახალ საშუალებას უწოდებდა. მან სამი წლის განმავლობაში დაახლოებით 75

მულტიპლიკაციური სურათი გადაიღო, რომელიც ფანტასტიკური და ფოტოგრაფიული სურათებისგან შედგებოდა. ასევე ძალიან პოპულარული მულტფილმების ავტორი იყო უინსორ მაქქეისი, რომელიც კომიქსებს ხატავდა და მოგვიანებით მას ამერიკული ანიმაციის რევოლუციონერი უწოდეს.

რაც შეეხება სრულმეტრაჟიან მულტფილმს, პირველი ასეთი სურათი ქუირინო ქრისტიანმა 1917 წელს გადაიღო. ეს ანიმაციური ფილმი პოლიტიკური სატირა გახლდათ.

მოგვიანებით, დაახლოებით 1923 წლისთვის, „დისნეი ბრაზ-ერს სტუდიო" გაიხსნა. უოლტერ დისნეის პირველი ნამუშევარი ანიმაციური ხუმრობების კომბინაცია „სიცილის გრამები" იყო. ეს იყო დასკვნა, რომლის შემდეგაც დისნეიმ საბოლოოდ გადაწყვიტა, მულტიპლიკაციის შექმნა დაეწყო. მისი პირველი, უკვე დამოუკიდებელი სურათი გახლდათ „ოთხი ბრემენელი მუსიკოსი", რასაც მალევე მოჰყვა „კონკია" და ლუის კეროლის ზღაპრის ეკრანიზაცია „ელისის საოცრებათა ქვეყანა". ეს ფილმები ძალიან მალე მთელ მსოფლიოში პოპულარული გახდა. რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც მაყურებელს დისნეის პოპულარული მულტფილმები მობეზრდა, მან გადაწყვიტა, ახალი პერსონაჟი შეექმნა. დისნეიმ დახატა თაგვი დიდი ყურებით, სახელად კი მორტიმერ მაუსი უწოდა. დისნეის ცოლს ძალიან მოეწონა პერსონაჟი და ქმარს ურჩია, მისთვის მიკი დაერქმია. სწორედ ასე გაჩნდა დღემდე პოპულარული დისნეის გმირი მიკი მაუსი. პირველი ფილმი, რომელშიც მიკი იყო წარმოდგენილი, 1928 წელს გამოვიდა. თუმცა, მისით კინოდემონსტრატორები დიდად არ დაინტერესებულან. ამიტომ დისნეიმ მიკის მულტფილმების კინოთეატრებში ჩვენება ინდივიდუალურად გადაწყვიტა.



# ჰოლივუდი

ჰოლივუდის შექმნის ისტორია 1870-იანი წლებიდან იწყება, როდესაც ამ ტერიტორიას აქტიურად გამოიყენებენ, როგორც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის ერთ-ერთ საუკეთესო ადგილს. დიდი ხნის განმავლობაში ჰოლივუდი ორ რანჩოდ: რანჩო ლაბრად და რანჩო ლას ფელიზად იყო დაყოფილი. 1886 წელს რანჩო ლაბრი უილქოქსმა იყიდა და მისმა მეუღლემ ამ მიწას „ჰოლივუდი” უწოდა. მალე რანჩოში ქუჩები და მაღაზიები გაჩნდა, მრავალი წლის შემდეგ კი ისინი ულამაზეს ბულვარებად და მთავარ ქუჩებად გადაიქცა... ამ ტერიტორიაზე ყველაზე ძვირად ღირებული სახლები შენდებოდა. ასევე აშენდა უამრავი ეკლესია და სკოლა. სულ მალე ჰოლივუდმა საბოლოო სახე მიიღო და ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული დასახლება გახდა. პრესტიჟულ რანჩოში კინომაც შეაღწია და ჰოლივუდის ტერიტორიაზე 1911 წელს პირველი კინოსტუდია გაიხსნა. მისი მეპატრონე ნესტორ ქომფანი გახლდათ. სწორედ ამავე წელს ჰოლივუდში სესილ დემელმა პირველი ფილმი გადაიღო.

მალე ჰოლივუდში უამრავმა ცნობილმა კინომოღვაწემ გადაინაცვლა. მსოფლიოს არაერთი ქვეყნიდან ამ ტერიტორიაზე უამრავი რეჟისორი და კინოკომპანია გადაბარგდა. მთავარ მიზეზად ისინი ჰოლივუდის კლიმატს და ბუნებას ასახელებდნენ და ამბობდნენ, რომ ჰოლივუდში ფილმის გადაღებას ნაკლები დეკორაცია სჭირდებოდა.

დღეისთვის ჰოლივუდი ლოს-ანჯელესის უბანს წარმოადგენს. კინოინდუსტრია გარშემო მდებარე ადგილებშია მიმოფანტული, როგორებიცაა ბერბანკი და ვესტსაიდი, მაგრამ დამატებითი ინდუსტრიები (როგორიცაა: სამონტაჟო, ეფექტების, პოსტწარმოების და განათების კომპანიები) ჰოლივუდში რჩება.

ჰოლივუდის ბევრი ისტორიული თეატრი საკონცერტო სცენებად და ძირითადი თეატრალური პრემიერებისთვის გამოიყენება, ისინი ასევე კინოაკადემიის დაჯილდოების ცერემონიალს მასპინძლობენ. ჰოლივუდი პოპულარული ტურისტული ღირსშესანიშნაობაა და სწორედ ჰოლივუდშია სახელგანთქმული დიდების ხეივანი...






ჰოლივუდის ინდუსტრია, რომელსაც მსოფლიოს კინომოყვარეები ხშირად „ოცნების ადგილად" მოიხსენიებენ, ამ ეტაპზე თავისთავად უამრავ კინოსტუდიას, დარბაზს, სასტუმროს და უდიდეს ლოკაციას მოიცავს. აქ მოხვედრაზე ყველა ხელოვანი ადამიანი ოცნებობს. ჰოლივუდური ფილმები თამამად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში კომერციულად ყველაზე მომგებიანი და მასობრივია. სწორედ ჰოლივუდს უკავშირდება ეგრეთ წოდებული „კინოვარსკვლავთა სისტემის" შექმნაც. ფლორენს ლორენსი, რომელიც მსოფლიოში პირველ კინოვარსკვლავად არის ცნობილი, კინოკომპანია „ბაიოგრაფის" შემდეგ ჰოლივუდში გადავიდა სამუშაოდ. სწორედ მან დაუდო სათავე ვარსკვლავების არსებობას კინოინდუსტრიაში (როგორებიც იყვნენ: მერლინ მონრო, გლორია სვენსონი, ოდრი ჰეპბერნი და სხვა).

## კინოფესტივალები

კინოფესტივალების არსებობის იდეა ჯერ კიდევ კინოკრიტიკოსთან ერთად გაჩნდა, როდესაც ფილმებზე ჟურნალებში წერა, მათი გარჩევა, საჯარო განხილვა და კრიტიკული ანალიზი დაიწყეს. როდესაც ყოველწლიურად არა ერთი, არამედ რამდენიმე

საინტერესო კინოსურათი იქმნებოდა, კინოდემონსტრატორებმა გადაწყვიტეს, ამ ფილმების და მათი რეჟისორებისთვის სტიმულის მიცემის მიზნით, საჩუქრის სახით ჯილდოები მიენიჭებინათ. იგულისხმებოდა ფილმების გარჩევა და მათი ადგილების მიხედვით დალაგება. პირველი სრულფასოვანი კინოფესტივალი 1932 წელს ვენეციაში ჩატარდა. 1935 წელს კი მსოფლიოში მეორე ოფიციალური ფესტივალი – „მოსკოვის ინტერნაციონალური ფესტივალი" გაიხსნა.

დღეისთვის მსოფლიოში უამრავი კინოფესტივალი არსებობს. თუმცა, რამდენიმე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და პოპულარულია. მაგ: კანის, ბერლინის, ვენეციის, ლოკარნოს, შანხაის, ვარშავის, სან სებასტიანის და სხვა... რა თქმა უნდა, აღსანიშნავია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი და პოპულარული დაჯილდოების ცერემონია „ოსკარი", რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე დიდი კინოცერემონია გახლავთ.



## ბერლინის ფესტივალი

ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალი ანუ „ბერლინალე", მსოფლიოში კინოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფესტივალია; ტარდება ყოველი წლის თებერვალში.

„ბერლინალე" მნიშვნელოვანი მოვლენაა კინემატოგრაფიასა და მასმედიაში. ყოველწლიურად მას ესწრება 76 ქვეყნის წარმომადგენელი 15 000 სპეციალისტი, მათ შორის 3 500 ჟურნალისტი. სეანსებზე დასწრება ფასიანია. ბერლინის ფესტივალი 1951 წელს დაარსდა. თავდაპირველად იგი ზაფხულში ტარდებოდა, 1978 წლიდან კი თებერვლის თვეში გადაიტანეს. პირველი ბერლინალეს გახსნა 1951 წლის 6 ივნისს, ალფრედ ჰიჩკოკის ფილმით „რებეკა" შედგა.

ბერლინის კინოფესტივალზე ფილმები მთელი მსოფლიოდან მოდის და მათი შერჩევა საერთაშორისო ხასიათისაა. საუკეთესო ფილმები „ოქროს დათვით" ჯილდოვდება, საუკეთესო რეჟისურის,

საუკეთესო ქალის როლისა და საუკეთესო მამაკაცის როლისათვის განკუთვნილია „ვერცხლის დათვი". საპატიო „ოქროს დათვი" გადაეცემათ კინოს სფეროში მოღვაწე პროფესიონალებს კინემატოგრაფიაში შეტანილი წვლილისათვის.

## ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალი

ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალი (იტალ. Mostra Internazionale d'Arte Cinematografica di Venezia)) – უძველესი საერთაშორისო კინოფესტივალია მსოფლიოში. ფესტივალი გრაფ ჯუზეპე ვოლპი დი მისურატას მიერ 1932 წელს, როგორც "Esposizione Internazionale d'Arte Cinematografica" დაარსდა, აქედან მოყოლებული, ფესტივალი ყოველ წელს აგვისტოში, კუნძულ ლიდოზე, ვენეციაში ტარდება. ეს არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული კინოფესტივალი და ვენეციის ბიენალეს ნაწილი, უდიდესი ბიენალეს გამოფენა და თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი. ფესტივალის ძირითადი პრიზებია Leone d'Oro („ოქროს ლომი"), რომელიც ფესტივალზე წარმოდგენილ საუკეთესო ფილმს გადაეცემა, და Coppa Volpi (ვოლპის თასი), რომლითაც საუკეთესო მსახიობი კაცი და ქალი ჯილდოვდებიან. 2002 წელს შეიქმნა ახალი ნომინაცია სან მარკოს პრიზი, რომელიც გადაეცემა ფილმს, რომელიც Controcorrente – სტერეოტიპების მსხვრევას ემსახურება.

## კანის საერთაშორისო კინოფესტივალი

კანის საერთაშორისო კინოფესტივალი (ფრანგ. Festival international du film de Cannes) ასევე ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული კინოფესტივალია მსოფლიოში. კანის ფესტივალი პირველად 1946 წლის 20 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე საკურორტო ქალაქ კანში, სანაპიროზე, ჩატარდა. მას შემდეგ ყოველწლიურად მაისის თვეში ტარდება. ყველაზე საპატიო პრიზი „ოქროს პალმის რტო" საუკეთესო ფილმს ენიჭება. არსებობს სხვა ჯილდოებიც:

„გრან-პრი", ჯილდო საუკეთესო მსახიობ ქალსა და მამაკაცს, რეჟისორსა და სცენარისტს, ჟიურის პრიზი, „ოქროს პალმის რტო" მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის და „ოქროს კამერა" საუკეთესო დებიუტისთვის.

## ოსკარი

„ოსკარი" კინემატოგრაფიულ ხელოვნებათა და მეცნიერებათა აკადემიის პრემია (Academy Awards) გახლავთ. სახელწოდება „ოსკარი" აღებულია იმ პატარა ქანდაკებისგან, რომელსაც ლაურეატებს გადასცემენ.

1929 წლიდან მოყოლებული, პრემია გადაეცემა ყოველწლიურად ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოსულ საუკეთესო ფილმებსა და სხვადასხვა კატეგორიაში მოღვაწე კინოხელოვანებს. ცერემონია ორგანიზებულია პროფესიული ასოციაციის მიერ, რომლის სახელწოდებაა Academy of Motion Picture Arts and Sciences (კინემატოგრაფიულ ხელოვნებათა და მეცნიერებათა აკადემია). ერთი ფილმის მიერ აღებული ოსკარების ყველაზე დიდი რაოდენობაა 11. ეს რეკორდი სამმა ფილმმა: „ბენ-ჰური", 1959, „ტიტანიკი", 1997 და „ბეჭდების მბრძანებელი", 2001 დაამყარა. „ბენ-ჰურის" რეკორდი ფილმმა „ტიტანიკი" მაინც ვერ გაიმეორა, რადგან მთავარი როლის შემსრულებლებს კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო არ მიუღიათ. 1959 წელს, კინოკრიტიკოსთა გადაწყვეტილებით, ჯეკ ლემონი „ოსკარის" გარეშე დარჩა, რომელმაც ასევე არაჩვეულებრივი პერსონაჟი შექმნა ფილმში „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან" (რეჟ.:ბილი უაილდერი).

ქანდაკებამ, რომელსაც ცერემონიალზე გადასცემენ, სახელწოდება აკადემიის ერთ-ერთი წევრის, მარგარეტ ჰერიკისაგან მიიღო, რომელმაც მიიჩნია, რომ იგი ძალიან ჰგავდა ბიძამის ოსკარს. ქანდაკება გაკეთებულია ბრიტანიუმისაგან და მოოქრულია. მისი ავტორი სედრიკ გიბონი გახლავთ.

და, რა თქმა უნდა, არ უნდა გამოგვრჩეს ჩვენი ქვეყნის, საქართველოს, კინოფესტივალი...

## თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის ისტორია

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი 2000 წელს დაარსდა. პირველი ორი წლის განმავლობაში ის ხელოვნების ფესტივალის „საჩუქარი" ფარგლებში ტარდებოდა, რომელსაც ბევრი სპონსორი და მხარდამჭერი ჰყავდა და, შესაბამისად, კინოფესტივალის პროგრამაც მრავალფეროვანი და საინტერესო იყო. 2002 წელს „საჩუქარს" დახურვის საფრთხე დაემუქრა, ამიტომ რამდენიმე თანამოაზრემ (გაგა ჩხეიძე, ნინო ანჯაფარიძე, ლაშა ბაქრაძე, დავით ბუხრიკიძე, ბესიკ დანელია, გუგა კოტეტიშვილი, გაგა ლომიძე, გიორგი ყაჯრიშვილი) კინოხელოვნების ცენტრი „პრომეთე" დააარსა, რომლის საქმიანობის მთავარი მიზანი, სხვა პროექტების განხორციელების გარდა, თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის შენარჩუნება იყო. 2002 წელს კინოხელოვნების ცენტრმა „პრომეთემ" კინოფესტივალი დამოუკიდებლად, მცირე ფინანსებით ჩაატარა.

დროთა განმავლობაში „პრომეთემ" თავისი საქმიანობით სახელმწიფო სტრუქტურების დაინტერესებაც შეძლო. 2004 წელს თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი კერძო სპონსორებთან ერთად საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა დააფინანსა. მომდევნო წლებში კინოცენტრს თბილისის მერია და კულტურის სამინისტროც შეუერთდა.

კინოფესტივალის მთავარი მიზანია, მაყურებელს მსოფლიო და ქართული კინემატოგრაფიის ახალი, მაღალი მხატვრული ღირებულების მქონე ნამუშევრები, მსოფლიო კინოს ახალი ტენდენციები გააცნოს და ხელი შეუწყოს ქართული კინოინდუსტრიის განვითარებას.

პროფესიული შეხვედრები, უორკშოპები, მასტერკლასები, რეტროსპექტივები და სხვა ინდუსტრიული ღონისძიებები, რომლებიც ფესტივალის ფარგლებში ყოველწლიურად იმართება, რეჟისორებს სტიმულს აძლევს. არსებობის მანძილზე ფესტივალმა საერთაშორისო მასშტაბით დიდი მნიშვნელობა შეიძინა. წლიდან

წლამდე ფესტივალზე ფილმის წარდგენისა და მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა მატულობს.



# გამოყენებული და დამოწმებული ლიტერატურა:


ბასილაძე, მ. (2010 წლის 25 აპრილი). *ინტერვიუ ელდარ შენგელაიასთან.* Retrieved 2015 წლის 23 ივლისი from 24 საათი: http://www.24saati.ge/weekend/story/5595-tsisferi-ambavi-anu-daujerebeli-filmi

ბასილაძე, მ. (2010 წლის 25 აპრილი). *ცისფერი ამბავი ანუ დაუჯერებელი ფილმი.* Retrieved 2015 წლის 23 ივლისი from 24 საათი: http://www.24saati.ge/weekend/story/5595-tsisferi-ambavi-anu-daujerebeli-filmi

ბიბლიოთეკა, ს. ე. (2009 წლის 23 ნოემბერი). *ეკატერინე გაბაშვილი – ბიოგრაფია.* Retrieved 2015 წლის 23 ივლისი from ბურუსი: https://burusi.wordpress.com/2009/11/23/ekaterine-gabashvili-2/

გელაშვილი, ლ. (2011). რეალური სამოსიდან კინოკოსტიუმამდე (კინოფილმ „ქეთო და კოტე" მიხედვით). დისერტაცია ხელოვნებათმცოდნეობის (PhD) დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, საქართველო.

გვახარია, გ. (2009 წლის 29 ნოემბერი). *„ელდარ შენგელაია".* Retrieved 2015 წლის 23 ივლისი from ბურუსი: https://burusi.wordpress.com/2009/11/29/eldar-shengelaia-3/

გვახარია, გ. (2010 წლის 8 ნოემბერი). *„ვერის უბნის მელოდიები" – რა გვინდა წარსულისგან?* Retrieved 2015 წლის 23 ივლისი from რადიო თავისუფლება: http://www.radiotavisupleba.ge/content/article/2214144.html

გორგილაძე, დ. (2009 წლის 24 აპრილი). *ქუჩის დღეები ანუ მავნე ქიმია.* Retrieved 2015 წლის 23 ივლისი from ინტერნეტგაზეთი „კათედრა": http://mastsavlebeli.ge/index.php?action=page&p_id=12&id=197

დოლიძე, ზ. (2007). *მსოფლიო კინემატოგრაფიის ისტორია: უხმო კინო.* თბილისი: კენტავრი.

ელოშვილი, ე. (2013 წლის 23 სექტემბერი). *ჩემი გრძელი და ნათელი დღეები.* Retrieved 2015 წლის 23 ივლისი from „კინოკულტურა": http://wis.ge/2013/09/23/in-bloom/

ენციკლოპედია (2013 წლის 13 მარტი). *17 სექტემბერი – დაიბადა სესილია თაყაიშვილი*. Retrieved 2015 წლის 23 ივლისი from საჯარო ბიბლიოთეკა: http://www.nplg.gov.ge/print.php?type=historical_calendar&id=139

თარხნიშვილი, ნ. (2013 წლის 8 მარტი). *ნათქვამი „უთქმელი ისტორიები".* Retrieved 2015 წლის 23 ივლისი from რადიო თავისუფლება: http://www.radiotavisupleba.ge/content/utqmeli-istoriebi/24922887.html

ლეკბორაშვილი, მ. (2002 წლის 7 ოქტომბერი). *„გიორგობისთვე" 40 წლის შემდეგ*. Retrieved 2015 წლის 23 ივლისი from ბურუსი: https://burusi.wordpress.com/2009/10/07/giorgobistve/

ლეკბორაშვილი, მ. (2004). *საზღვარგარეთის კინოს ისტორია.* თბილისი: კენტავრი.

ნიჟარაძე, თ. (2010 წლის 9 მარტი). *როგორ ცხოვრობს თედო ბექაური ორბეთში და რაში დახარჯა მან „გაღმა ნაპირში" აღებული ფული.* Retrieved 2015 წლის 23 ივლისი from თბილისელები: http://tbiliselebi.ge/?mas_id=5669&rubr_id=24&jurn_id=33

უცნობი (2011 წლის 7 დეკემბერი). *სესილია თაყაიშვილი Pink Floyd-ის კლიპში*. Retrieved 2015 წლის 23 ივლისი from ITV : http://itv.ge/?CID=19775&m=16

უცნობი (2013 წლის 4 დეკემბერი). *ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ტრადიცია იუნესკოს არამატერიალური კულტურული ძეგლების სიაში შეიტანეს.* Retrieved 2015 წლის 23 ივლისი from GeoNews: http://geonews.ge/geo/news/story/48024-qvevris_gvino_iuneskos_wignshi_sheitanes

ფილმოგრაფია, ე. (ნ.დ.). *ქართული კინოები.* Retrieved 2015 წლის 23 ივლისი from ქართული კინოს ოფიციალური ვებგვერდი: http://www.geocinema.ge

ჯილაიტი, პ. (1978 წლის 5 ივნისი). „ფიროსმანი". *The New Yorker*.

Volk, S. (2013). Kinowissenschaft. ბერლინი, გერმანია.

წარმოდგენილი სახელმძღვანელო ერთ კონკრეტულ მიზანს ემსახურება – ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების რთულ პროცესში გამოვიყენოთ ყველა საშუალება, მათ შორის კინოხელოვნება. როგორც ცნობილია, ხალხთა შორის კეთილ ურთიერთობას საუკუნეთა მანძილზე ათასგვარი დაბრკოლება ელობებოდა – ენობრივი ბარიერი, რელიგიური, ეროვნულ–კულტურული განსხვავებულობა და სხვ. ამ ურთიერთობათა გაიოლება, მათ შორის, ენობრივი ბარიერის დაძლევა, ცხადია, პროგრესული მოვლენაა. საქართველოს არაქართულენოვანი მოსახლეობისათვის ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების საუნივერსიტეტო პროგრამაც ამ პროგრესული მოვლენის პრაქტიკულ განხორციელებას ემსახურება. სწავლების სწორად წარმართვისათვის არაერთი სახელმძღვანელო დაიწერა. თითოეულის დანიშნულება მკაფიოდაა განსაზღვრული. მათ რიცხვს კიდევ ერთი, სხვათაგან გამორჩეული შეემატა, რომელიც ამ პროცესში კინოხელოვნების როლის ჩართვას ისახავს მიზნად.

**ფილ. დოქ. მზია შენგელია**

მეთოდი, როდესაც ენის შესწავლა ხდება არა მხოლოდ ნაბეჭდი სახელმძღვანელოს მეშვეობით, დღესდღეობით ძალზე გავრცელებულია მთელ მსოფლიოში. ფილმის ჩვენებით სალაპარაკო ენის სწავლა კი თვით ამ პროცესს ემოციურ განცდას მატებს, რაც კიდევ უფრო იოლს ხდის მსმენელისთვის ენის აღქმას და სიტყვათა დამახსოვრებას, რასაც აზროვნების განცდაც ემატება.

**რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი**

სახელმძღვანელოს ღირებულება უდავოდ მაღალია – განსაკუთრებით იმ სტუდენტებისათვის, რომელთაც საშუალო სკოლაში უკვე განვითარებული აქვთ ელემენტარული ენობრივი უნარები და ესაჭიროებათ ამ უნარების დახვეწა-განვითარება... სახელმძღვანელო აშკარად ინოვაციურია და იგი სასარგებლო იქნება სტუდენტებისათვის როგორც წმინდა ენობრივი, ასევე – ქართული კულტურის მიღება-გათავისების თვალსაზრისით.

**ანა თოდუა**

გამომცემლობის რედაქტორი **მარინე ვარამაშვილი**
კომპ. უზრუნველყოფა **ლალი კურდღელაშვილი**

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Chavchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel 995(32) 225 14 32
www.press.tsu.edu.ge